


INTERCULTURAL RELATIONS SOCIETY

№31
2019



კულტურათაშორისი კომუნიკაციები
INTERCULTURAL COMMUNICATIONS
МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ

ISSN 1512-4363

INTERCULTURAL RELATIONS SOCIETY

ISSN 1512-4363

საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა
International scientific periodical edition
Международное научно-периодическое издание

კულტურათაშორისი კომუნიკაციები

INTERCULTURAL COMMUNICATIONS

МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ



№31

თბილისი – Tbilisi – Тбилиси
2019

UDC (უკ) 008 (100)

კ-897

მთავარი რედაქტორი

Editor-in-chief

Главный редактор

ინდირა ძაგანია

Indira Dzagania

Индира Дзаганя

რედაქტორები

ლირა გაბუნია

ოლლა პეტრიაშვილი

მარინე ტურავა

ირინე ჯობავა

ირმა ზაქარაია

Editors

Lira Gabunia

Olga Petriashvili

Marina Turava

Irina Jobava

Irma Zakaraia

Редакторы

Ли́ра Габу́ния

О́льга Пе́триашви́ли

Ма́рина Ту́рава

И́рина Дžóбава

И́рма Зака́рая

კომპიუტერული

რედაქტირება

რობერტ მესხი

Computer

Editing

Robert Meskhi

Компьютерное

редактирование

Роберт Месхи

პასუხისმგებელი

მდივანი

ლიანა გვასალია

Executive

Secretary

Liana Gvasalia

Ответственный

секретарь

Лиана Гвасалиа

სარედაქციო საბჭო

ვეინ ჯეიკობი (აშშ), იან კე (ჩინეთი), ბილალ დინდარი (თურქეთი), ირადა ჰუსეინოვა (აზერბაიჯანი), ენდრიუ ჰარისი (დიდი ბრიტანეთი), მარია კორნელია ბარლიბა (რუმინეთი), დორის ფეგელი (ავსტრია), სვეტლანა ტერ-მინასოვა (რუსეთი), ნილაკში სურანარაიანი (ინდოეთი), გიორგი პოპა (მოლდავეთი), ილონა მანელიდუ (საბერძნეთი), ილიას უსტუნერი (თურქეთი), ანა აგრანატი (ისრაელი), ლალა ახმედოვა (აზერბაიჯანი), აიტენ მუსტაფაევა (აზერბაიჯანი), დავით გოცირიძე (საქართველო), ლეონიდე ჯახაია (საქართველო), მიხეილ ბოგუტსკი (პოლონეთი), ირენა კუდლინსკა (პოლონეთი), ირინა მატიაში (უკრაინა), ვილემ პენდრიკ დე ბოფორტი (ნიდერლანდების სამეფო), ვენტა კოცერე (ლატვია), ჟანა ტოლისბაევა (ყაზახეთი), მერი მადარშახი (საფრანგეთი), რობერტო რიჩი (იტალია), იორდან ლუცკანოვი (ბულგარეთი), რეგინა კარველინე (ლიტვა), ალექსანდრე გრუშა (ბელარუსია), მარია ჰუნკალ გუტიერეს მანგადო (ესპანეთი), გიორგი აგოსტონი (უნგრეთი), ენრიკე კერო ხორვილია (ესპანეთი).

Editorial Board

Wayne Jacoby (USA), Yang Ke (China), Billal Dindar (Turkey), Irada Huseynova (Azerbaijan), Andrew Harris (Great Britain), Maria Cornelia Barliba (Romania), Doris Fögel (Austria), Svetlana Ter-Minasova (Russia), Neelakshi Suryanarayan (India), Gheorghe Popa (Moldova), Ilona Manelidu (Greece), Ilyas Ustunyer (Turkey), Ann Agranat (Israel), Lala Akhmedova (Azerbaijan), Ayten Mustafaeva (Azerbaijan), David Gotsiridze (Georgia), Leonid Jakhiaia (Georgia), Mikhael Bogutski (Poland), Irena Kudlinska (Poland), Irina Matyash (Ukraine), Willem Hendrik de Beaufort (the Netherlands), Venta Kotsere (Latvia), Jhana Tolisbaeva (Kazakhstan), Mehri Madarshahi (France), Roberto Righi (Italy), Yordan Lyutskanov (Bulgarian), Kamal Makili-Aliyev (Azerbaijan), Irina Andriushenko (Ukraine), Maria Dimasi (Greece), Ritsuko Inoue (Japan), Ala Sainenco (Moldova), Manuel Filipe da Costa (Portugal), Roman Dyakon (Latvia), Regina Karveliėne (Lithuania), Alexander Grusha (Belarus), Maria Juncal Gutierrez Mangado (Spain), Gyorgy Agoston (Hungary), Enrique Quero Gervilla (Spain).

Редакционный совет

Вэйн Джекоби (США), Ян Кэ (Китай), Билял Диндар (Турция), Ирада Гусейнова (Азербайджан), Эндриу Харрис (Великобритания), Мария Корнелия Барлиба (Румыния), Дорис Фегель (Австрия), Светлана Тер-Минасова (Россия), Нилакши Сурьянараян (Индия), Георгий Попа (Молдова), Илона Манелиду (Греция), Ильяс Устуньер (Турция), Анна Агранат (Израиль), Лала Ахмедова (Азербайджан), Айтен Мустафаева (Азербайджан), Давид Гоциридзе (Грузия), Леонид Джахия (Грузия), Михаил Богутский (Польша), Ирэна Кудлинска (Польша), Ирина Матяш (Украина), Виллем Хендрик де Бофорт (Нидерланды), Вента Коцере (Латвия), Жанна Тольсбаева (Казахстан), Мери Мадаршахи (Франция), Роберто Ричи (Италия), Йордан Люцканов (Болгария), Кямал Макили-Алиев (Азербайджан), Ирина Андриушенко (Украина), Мария Димаси (Греция), Ритсуко Иноуэ (Япония), Алла Сайиненко (Молдова), Мануэль Филипе де Коста (Португалия), Роман Дьякон (Латвия), Регина Карвелине (Литва), Александр Груша (Белоруссия), Мария Хункал Гутиэрэз Мангадо (Испания), Гиорги Агостон (Венгрия), Энрике Керо Хорвиллья (Испания).

EAN 9771512 43 6007

რუსულან ხომერიკი
(საქართველო)

პოსტმოდერნიზმის ზოგიერთი ნიშან-თვისება თურქულ ლიტერატურაში

„თურქულმა ლიტერატურამ, რომელიც თითქოსდა მე-20 საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის პერიფერიაზე იყო დარჩენილი, 80-იანი წლებიდან სამართლიანად დაიკავა ადგილი ღირებულ და გავლენიან ეროვნულ ლიტერატურათა შორის“ (1). ამ მოვლენას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი თურქულ ლიტერატურაში პოსტმოდერნისტული მიმართულების დამკვიდრებამ. დღეისათვის თურქულ ლიტერატურაში პოსტმოდერნიზმმა დაკარგა სიახლის ეფექტი, მაგრამ ის კვლავ რჩება „უცნაურ“ მოვლენად. მან თურქულ ლიტერატურაში თავი იჩინა 80-იან წლებში, ამერიკულ და ევროპულ პოსტმოდერნიზმზე თითქმის ოცი წლით გვიან. ასეთი „დაგვიანება“ გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, თურქული საზოგადოების სულიერი მდგომარეობით, რომელიც უფრო გვიან აღმოჩნდა ჩათრეული გლობალიზაციის პროცესში, რამაც კულტურაში სწორედ პოსტმოდერნიზმის სახით პოვა გამოხატულება. მეორე მხრივ კი, ეს იყო თურქულ ლიტერატურაში მძლავრად ფეხმოკიდებული სოციალური რეალიზმი, რომელიც სერიოზულ დაბრკოლებად იქცა თურქულ ლიტერატურაში დასავლური კულტურისა და უნიფიცირებული იდეების გავრცელებისთვის და, აგრეთვე, სუსტად გამოხატული მოდერნიზმი, რომელიც, პრინციპში, არც იყო „სუფთა“ გაგებით მოდერნიზმი.

მოდერნიზმმა თურქულ ლიტერატურაში ვერ პოვა სათანადო განვითარება, თუმცა ის იმ დოზით და ფორმით იყო წარმოდგენილი ლიტერატურაში, რომ ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა პოსტმოდერნიზმის ჩასახვას. მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს თურქულ ლიტერატურაში მოდერნიზმმა მიიღო „კრიზისული ლიტერატურის“ (ბუნალ მ) სახელწოდება, რაც გამოწვეული იყო სამხედრო გადატრიალების შედეგად პროგრესის მოლოდინში მყოფი საზოგადოების იმედგაცრუებით. თურქი მწერლების ახალგაზრდა თაობა წინ აღუდგა რა ლიტერატურის მიზანმიმართულ პოლიტიზაციას და მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში პრობლემების აქტუალიზაციას, დაიწყო ახალი ფორმებისა და გამოხატვის საშუალებების ძებნა. თურქი პოსტმოდერნისტები ამუშავებდნენ ახალ ხერხებს, მიდგომებს, წერის ტექნიკას, რისი საშუალებითაც შეძლებდნენ წარსულის აწმყოსთან დაკავშირებას ისე, რომ წარსული არ დაკარგულიყო და არ გაფერმკრთალებულიყო მისი ხსოვნა.

წარსულთან და ტრადიციებთან კავშირის გაწვევტა იმ პირობებშიც კი, როცა ეფექტურად ტარდებოდა მოდერნიზაციის პროექტები (თურქეთში, ჩინეთში), უფრო რადიკალური აღმოჩნდა, ვიდრე კოლონიალურ ქვეყნებში (ინდოეთი). ამის გამო აღმოსავლურ ქვეყნებში ტრადიციებსა და თანამედროვეობას შორის კავშირი ატარებს თავისებურ ხასიათს: როცა გეგონია, რომ მოდერნისტული დეტრადიციონალიზტიური პროექტი უახლოვდება დასასრულს და გლობალიზაცია შთანთქავს ადგილობრივი ცხოვრების წესებსა და ტრადიციებს, მოულოდნელად და მოულოდნე-

ლი ფორმით კვლავ ჩნდება წარსულის ნოსტალგია. ეს არის ჰარმონიის ძიება სუბიექტურობასა და თანამედროვეობას შორის და უფრო სურვილი წარსულის დღევანდელ პრიზმაში გატარებისა, ვიდრე წარსულში დაბრუნებისა (2, 41).

მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე თურქული ლიტერატურა ვითარდებოდა პოლიტიკური და სოციალური მოვლენების პარალელურად. ყოველი ასეთი მოვლენა უმაღლეს აისახებოდა ლიტერატურაში. რესპუბლიკის გამოცხადება, მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლა, 1960, 1971 და 1980 წლების სამხედრო გადატრიალებები და მათი შედეგები გამოძახილს პოულობდა თურქულ ლიტერატურაში. დასავლური ლიტერატურის მოდერნისტული ტენდენციების გავლენის ქვეშ მყოფ თურქულ ლიტერატურაში ჟანრობრივ-სტილისტური მოდელის ცვლილება შეინიშნება „12 მარტის რომანის“ მოვლენის კვალდაკვალ, რაც იყო თურქი რომანისტების რეაქცია ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასა და სამხედრო გადატრიალებებზე.

თურქულ ლიტერატურაში აისახებოდა თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკური ისტორიის ყოველი ეტაპი. თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ომმა, ევროპული და შემდეგ უკვე ამერიკული კულტურის ზეგავლენამ, ეკონომიკურმა კრიზისებმა, სამხედრო გადატრიალებებმა გამოძახილი პოვეს ისეთი მწერლების შემოქმედებებში, როგორებიც იყვნენ ჰალიდე ედიფ ადივარი, რეშათ ნური გიუნთექინი, საბაჰათინ ალი, სევეი სოისალი და სხვები.

თურქული ლიტერატურის კრიტიკოსთა დიდი ნაწილი 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალებას მიიჩნევს თურქულ ლიტერატურაში დიდი ცვლილების მიზეზად, რასაც მოჰყვა ლიტერატურის დეპოლიტიზირება. ცნობილი ლიტერატურათმცოდნე ილდიზ ეჯვეითის აზრით, „1980 წლის სამხედრო გადატრიალებამ გზა გაუხსნა სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებს, რამაც თავის მხრივ ლიტერატურაში გააჩინა რიგი ტენდენციები. ეს იყო პარტიების დახურვისა და საზოგადოების დეპოლიტიზირების მოთხოვნის პერიოდი“ (3, 89)

ამ მხრივ პოსტმოდერნიზმს თურქულ ლიტერატურაში ნოყიერი ნიადაგი დახვდა. თურქულ ნიადაგზე პოსტმოდერნიზმის აღმოცენებას მრავალი მიზეზი განაპირობებდა. პირველ რიგში, ეს იყო ესთეტიკური რეაქცია იმედგაცრუებაზე სოციალურ-ისტორიული, ფილოსოფიური, სამეცნიერო თუ მხატვრული თვალსაზრისით მანამდე საზოგადოებაში არსებული ყველა ტიპის უტოპიაზე. თურქულმა ლიტერატურამ ნელ-ნელა დაიწყო გათავისუფლება სოციუმის მარწუხებისგან, დაიწყო თვითგამორკვევა და თამაშის წესების განსაზღვრა.

თურქულ პოსტმოდერნიზმს, რომელიც გამოირჩევა თავისი მრავალფეროვანი ტენდენციებით, უჭირავს შუალედური მდგომარეობა დასავლური (ამერიკულ-დასავლეთ ევროპული) და აღმოსავლური (აღმოსავლეთ ევროპული) პოსტმოდერნიზმის მოდიფიკაციებს შორის. მაგრამ უნდა აღინიშნოს მისი უფრო მეტად აღმოსავლურ (რუსულ, პოლონურ, მაკედონიურ) მოდიფიკაციებთან სიახლოვე, რაც გამოიხატება ტექსტის პოლიტიზირებასა და პესიმიზმში. (4)

თურქი ლიტერატურათმცოდნეები: ბერნა მორანი, ილდიზ ეჯვეითი, ბულენტ ქაჰრამანი, გურსელ აითაჩი, აჰმეთ ქაბაქლი და სხვები ლიტერატურულ პოსტმოდერნიზმს განიხილავენ პოსტმოდერნისტული ფილოსოფიისგან განცალკევებით, რამდენადაც მისი წარმოშობის მიზეზებს ძირითადად უკავშირებენ თურქეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიზისს. ამ აზრს არ იზიარებს თურქოლოგი მ. რეპენკოვა,

რომელიც ერთ-ერთ ძირითად შეცდომად განიხილავს თურქული პოსტმოდერნიზმის ჩასახვის დაკავშირებას თურქეთის პოლიტიკურ ვითარებასთან, რომელიც შეიქმნა 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალების შედეგად. მას მიუღებლად მიაჩნია აზრი, რომლის მიხედვითაც, თურქული პოსტმოდერნიზმი არის რეაქცია გადატრიალებაზე. აგრეთვე, არ ეთანხმება თურქი კრიტიკოსების შეხედულებას, რომ მოდერნიზმთან მიმართებაში თურქული პოსტმოდერნიზმი არის „მეორეხარისხოვანი“ მოვლენა (4).

საწინააღმდეგო ვერსიით, პოსტმოდერნის საფუძვლების კვლევისას, მისი განვითარების „ანამნეზში“ დევს პოლიტიკური ფაქტორებიც: 1947 წელს ისტორიკოსი არნოლდ ტონბი წიგნში „ისტორიის წვდომა“ პოსტმოდერნს ანიჭებს კულტუროლოგიურ მნიშვნელობას: პოსტმოდერნი რელიგიასა და კულტურაზე დასავლეთის ბატონობის დასასრულის სიმბოლო ხდება. იგი ამ ენციკლოპედიურ ნაშრომში, „პოსტმოდერნი“, აღნიშნავდა ევროპული კულტურის განვითარების იმ ხანას, როცა ეროვნული სახელმწიფოს კატეგორიებზე დაშენებულ აზროვნებას ჩაენაცვლა საერთაშორისო ურთიერთობის გააზრებაზე აღმოცენებული პოლიტიკა. „და თუმცა ტონბის ეს ტერმინი არ აუვსია იმ შინაარსით, რომელსაც დღეს დებენ მასში, უნდა ითქვას, რომ მან მაინც იწინასწარმეტყველა გლობალიზაციისა და იმ პოსტმოდერნის უმაღლესი ურთიერთკავშირი, როგორადაც დღეს ესმით ეს ორივე ცნება“ (5, 45).

თანამედროვე თურქული რომანისტიკის მიმართ ინტერესი მოტივირებულია ამ ჟანრის საკმაოდ სწრაფი და ეფექტური განვითარებით. თურქეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის სურვილი, რომ აელორძინებინა ნაციონალური ხელოვნება, მოედინა ორიენტირება კულტურული პარადიგმების ცვლილებებზე და შეექმნა ისეთი ლიტერატურა, რომელსაც შეეძლო აესახა თანამედროვე სამყაროს აღქმა – რეალიზდა მე-20 საუკუნის ბოლოს კონცეპტუალურად ახალი რომანის გამოჩენით. ახალი მხატვრული საშუალებებისა და სტილისტური დომინანტების ექსპერიმენტულმა ძიებებმა, ტრადიციული ნარატიული პრინციპების დეკონსტრუქციამ და ჟანრობრივმა მოდიფიკაციებმა შექმნა პოსტმოდერნისტული ლიტერატურა, რომელიც გვთავაზობს თურქული ლიტერატურისთვის პრინციპულად ახალ კონცეფციას პიროვნების შესახებ და აქედან გამომდინარე, გვთავაზობს ახალ პერსონაჟს, რომელიც უარს ამბობს აბსურდზე და ჭეშმარიტების ძიებაში მისწრაფვის სამყაროსთან პარმონიისკენ. თურქი პოსტმოდერნისტი მწერლების – ორჰან ფაშუქის, ლატიფე თექინის, მეთინ ქაჩანის, ფინარ ქიურის, ემინე იშინსუს გმირები განიცდიან თვითიდენტიფიკაციის პრობლემებს და მიდიან იმ გაგებამდე, რომ ჭეშმარიტების გზაზე შემდგარი ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობის პროცესი გაიგივებულია საკუთარი თავის შეცნობის პროცესთან, რამდენადაც ჭეშმარიტება თვით ადამიანშია, რომელიც თავის თავში იტევს მთელ სამყაროს (6, 47).

თურქული ლიტერატურული პოსტმოდერნიზმი არის მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან და 21-ე საუკუნის დასაწყისის თურქული ლიტერატურის ახალი მიმართულება, რომელსაც წარმოადგენს 80-იანელი მწერლების მცირე ჯგუფი. თავიდან თურქმა ლიტერატურათმცოდნეებმა ყურადღება არ მიაქციეს ამ მოვლენას. პოსტმოდერნიზმის თემაზე განხილვები მხოლოდ 90-იანი წლებიდან დაიწყო. კამათში მონაწილეები მას ხან „ავანგარდულ მოვლენად“, ხან – „ძალიან ახალ რომანად“ ნათლავდნენ. თურქი მკვლევრები ხშირად აკუთვნებდნენ პოსტმოდერნისტებს იმ მწერ-

ლებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ წერის არასტანდარტული მანერით, მაგრამ არაფერი ჰქონდათ საერთო პოსტმოდერნიზმთან. ასეთ მწერლებს მიეკუთვნებიან: ოლუზ ათაი, უსუფ ალთიგანი, დუიგუ ასენი. მაგრამ მაინც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამ მწერლების, განსაკუთრებით მოდერნისტი მწერლის, ნოველისტისა და პიესების ავტორის, ოლუზ ათაის, გაგლენა თვით ნობელიანტ ორჰან ფამუქზე, მკამეთ ბაიდურზე, ბუქეთ უზუნერზე, ელიფ შაფაქზე, ლატიფე თექინსა და სხვა პოსტმოდერნისტი მწერლებზე, მათ შემოქმედებაზე და მსოფლმხედველობისა თუ წერის მანერის ჩამოყალიბებაზე. ოლუზ ათაის შემოქმედება გახდა მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმზე გადასვლის ერთგვარი შემობრუნებისა და ათვლის წერტილი.

თურქი კრიტიკოსების დიდი ნაწილი (ბ. მორანი, მ. დოდანი, ა. ქაბაქლი, ჰ. ქაჰრამანი, ფ. ნაჯი, ჰ. იაუუზი და სხვ.) თვლის, რომ პოსტმოდერნიზმმა შეცვალა მოდერნიზმი, ანუ დაიკავა მისი ადგილი. მცირე ნაწილი ემხრობა აზრს ამ ორი მიმდინარეობის ერთდროულად, პარალელურად არსებობის (გ. აითაჩი), აგრეთვე, მათი ერთიანობის/შერწყმის (ფ. აქათლი, ი. ეჯვეითი, ს. გუმუში) შესახებ. მ. რეპენკოვას აზრით, თურქი მკვლევრებისთვის გაუგებარი რჩება ის მთავარი ფაქტი, რომ თურქული პოსტმოდერნიზმის თავისებურება მდგომარეობს არა მის ჩამოშორებაში მოდერნიზმიგან (რომელმაც ისეც ვერ პოვა სათანადო განვითარება თურქულ ლიტერატურაში), არამედ მის ჩამოშორებაში რეალიზმიდან, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში დომინირებდა თურქულ ლიტერატურაში ჯერ კრიტიკული რეალიზმის (1930-40 წწ.), შემდეგ კი სოციალური რეალიზმის (1940-80 წწ.) სახით (7, 7).

თურქი ლიტერატურათმცოდნეები რატომღაც გაურბიან თურქული პოსტმოდერნიზმის, როგორც მსოფლიო პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი დამოუკიდებელი განშტოების, ლოკალურ ხასიათზე საუბარს და მასში ხედავენ მხოლოდ დასავლური ნიმუშების მიმბაძველობას, მაშინ როდესაც დასავლური კრიტიკა აღიარებს თურქული პოსტმოდერნიზმის თვითმყოფად და ორიგინალურ ხასიათს, რისი ნათელი დადასტურებაც 2006 წელს ორჰან ფამუქისთვის ნობელის პრემიის მინიჭება იყო.

მიუხედავად თურქული ლიტერატურათმცოდნეობის სუსტი თეორიული ბაზისა, 90-იან წლებში მისმა წარმომადგენლებმა მაინც შეძლეს პოსტმოდერნისტული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი მხატვრული თავისებურებების განსაზღვრა. ესენია: ინტერტექსტუალობა, პლურალიზმი, ავტორის თამაში და ირონია. ლიტერატურის მკვლევარს ილდიზ ეჯვეითს ასე ესმის ტერმინის, „ინტერტექსტუალობის“, შინაარსი: თანამედროვე მწერალს არ ძალუძს ადეკვატურად გადმოსცეს თავის ნაწარმოებში საკუთარი მოსაზრებები სამყაროზე, რომელშიც ის ცხოვრობს, რამდენადაც ეს სამყარო სულ უფრო და უფრო აუხსნელი ხდება, ამიტომ არჩევს მიმართოს სხვის გამოცდილებას, ანუ წინამორბედი ლიტერატურული ტრადიციებით შექმნილ ნაწარმოებებს. ასეთი ფორმით ჩნდება კავშირი ტექსტებს შორის. სხვისი იდეებით ნასაზრდოები პოსტმოდერნისტი მწერალი, სთავაზობს რა მკითხველს გამოცანას (რომელ ტექსტებს ეყრდნობა ის თავის რომანში), იწყებს თამაშს მკითხველთან და ისე კარგად ახერხებს შენიღბვას, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ნაწარმოებს საერთოდ არ გააჩნია ავტორი და ის თვითონ ქმნის საკუთარ თავს. ილდიზ ეჯვეითის აზრით, ზუსტად ავტორის ეს „დამალობანას“ თამაში წარმოადგენს პოსტმოდერნისტული თხრობის მთავარ ინსტრუმენტს (8, 18-19).

90-იან წლებში თურქულ ლიტერატურულ-კრიტიკულ ჟურნალში „ვარლიქ“ აქტიურად განიხილებოდა თურქულ ლიტერატურაში პოსტმოდერნიზმის, როგორც ახალი კულტურული ფენომენის, დამკვიდრების საკითხი. თურქი ლიტერატურის კრიტიკოსები თანხმდებოდნენ, რომ პოსტმოდერნიზმი დასავლეთიდან შემოვიდა თურქულ ლიტერატურაში, მაგრამ 90-იან წლებში ვერ გახდა ისეთი გამორჩეული და მასიური მოვლენა, როგორც დასავლეთში. კრიტიკოსი მეჰმეთ ჰ. დოდანი ამას ხსნის იმ გარემოებით, რომ თურქულენოვანი თარგმანების არარსებობის გამო თურქ მკითხველს ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი დასავლური პოსტმოდერნისტული ფილოსოფიური და ლიტერატურული ტექსტებისადმი (9, 16).

თურქულ ლიტერატურულ პოსტმოდერნიზმს გააჩნია ისეთივე მოდიფიკაციები, რომლებიც სავსებით მიესადაგება მსოფლიო პოსტმოდერნისტული ხელოვნების საზოგადოდ აღიარებულ კლასიფიკაციებს. ესენია: ნარატიული (ფ. ქიური), ლირიკული (ნ. ერაი, ბ. ქარასუ), შიზონალიტიკური (მ. მუნგანი), მეტანქოლიური (ო. ფამუქი). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თურქული პოსტმოდერნიზმის „პირველ ტალღაში“ აშკარად დომინირებს „ლირიკული ხაზი“ (7, 8)

თურქული პოსტმოდერნიზმის თავისებურებას, პირველ რიგში, განსაზღვრავს თვით თურქული ენა (როგორც პირველადი სემიოტიკური სისტემა), როგორც ლიტერატურული ენის შექმნის საშუალება; აგრეთვე, ტექსტებში აღმოსავლური და კერძოდ, თურქული კულტურის დეკონსტრუირებული ციტირება, თურქეთისათვის მნიშვნელოვან, ანუ ეროვნულ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება, ეროვნული აზროვნება, იუმორისა და ირონიის გამოხატვის ფორმები.

თურქი ლიტერატურათმცოდნე პროფ. გიურსელ აითაჩი ამ პერიოდის ძირითად მხატვრულ თავისებურებებს შორის გამოჰყოფს ისეთი ხერხების გამოყენებას, როგორებიცაა: ცნობიერების ნაკადი, შინაგანი მონოლოგი, მონტაჟი, ინტერტექსტუალობა, ავტორის ინტროსპექცია და ქრონოტოპული ფუნქცია, რეტროსპექტულისა და პერსპექტიულის აღრევა, მოგონებების ფრაგმენტულობა (10, 86).

პოსტმოდერნისტული ნაწარმოებების განხილვა შეიძლება სხვადასხვა ჭრილში. ეს დამოკიდებულია იმ კოდსა თუ კოდებზე, რომელთა ამოხსნასაც გვთავაზობს ნაწარმოები. როგორც წესი, ასეთ ნაწარმოებებში წინა პლანზე წამოწეულია დეტექტიური [ორჰან ფამუქის „შავი წიგნი“ (1990), „მე წითელი მქვია“ (1993), ფინარ ქიურის „ერთი მკვლელის რომანი“ (1989)], სათავგადასავლო (ორჰან ფამუქის „თეთრი ციხესიმაგრე“), ან ფანტასტიკის ელემენტებით გაჯერებული სიუჟეტები [მაჰირ ოზთაშის „მთვარის დაცვის კომიტეტი“ (1987), ნაზლი ერას „შეყვარებული თუთიყუშის ბარი“ (1995), „სიყვარულით შემოსილი ადამიანი“ (2001)]. ავტორები ასეთი ტიპის სიუჟეტებით ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მკითხველი მიიზიდონ და ჩართონ საკვანძო სიტყვების, კოდებისა თუ აზრების დაუსრულებელ თამაშში, გაშიფრული აზრების რაოდენობა კი დამოკიდებულია თითოეული მკითხველის ინტელექტუალურ დონეზე.

პირველი პოსტმოდერნისტული ნაწარმოების გამოჩენა თურქულ ლიტერატურაში უკავშირდება 1985 წელს ორჰან ფამუქის რომანის, „თეთრი ციხესიმაგრის“, პუბლიკაციას. თურქი მკითხველი, რომელიც მანამდე არ იცნობდა ამ მიმართულებას, არ აღმოჩნდა მზად ამ სიახლისთვის. ეს იყო წმინდა პოსტმოდერნისტული ნა-

წარმოები, რომელიც წარმოადგენს ორიენტალისტურ, აღმოსავლურ თემებზე შექმნილი ევროპული ნაწარმოებების პაროდირებას.

თურქულ პოსტმოდერნისტულ რომანებში შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილება ავტორის წარსულთან დამოკიდებულებაში, მისი შეხედულებაში ისტორიაზე და ისტორიული წარსულის გადმოცემაში. ისტორიის აღქმის რადიკალური ცვლილების პირობებში გაჩნდა წარსულის მხატვრული გააზრების პრობლემა თანამედროვე ისტორიულ რომანებში.

თურქი პოსტმოდერნისტების (ო. ფამუქი, თ. იუჯელი, ი. ო. ანარი და სხვ.) შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოსტისტორიულ პრობლემატიკას. ისინი თურქეთის ისტორიას განიხილავენ სხვადასხვა რაკურსში და ცდილობენ, თავი აარიდონ ამ რთული ფენომენის ერთმნიშვნელოვნად გააზრებას და უპირატესობას ანიჭებენ მრავალმხრივობასა და ვარიანტულობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გვთავაზობენ ქვეყნის ისტორიის პოსტმოდერნისტულ ადეკვატს.

თუ მოდერნისტების საზოგადოებისგან გაუცხოებული, გაუბედავი და მარტო-სული პერსონაჟები ხსნას ირონიაში პოულობენ, პოსტმოდერნისტები დასცინიან თვით ირონიას. ცნობილი თურქი პოეტისა და მწერლის ჰილმი იაფუზის თქმით: „ოღუზ ათაის შემოქმედებაში ირონია არის „დაკარგული“ და გაუბედავი გმირებისთვის წამალი. მაგრამ ჩვენ პოსტმოდერნისტები, რომლებმაც აღმოვაჩინეთ ეს დამანგრეველი და პიროვნებისათვის საყრდენის გამომცლებელი ძალა, დავცინით უკვე თვით ირონიას“ (9, 15-16).

1980-იანი წლების ბოლოს ორჰან ფამუქის კვლადაკვალ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩნდა პოსტმოდერნისტთა მთელი პლეადა (ფინარ ქიური, ჰილმი იაფუზი, ლატიფე თექინი, მურათჰან მუნგანი, მაჰირ ოზთაში, ნაზლი ერაი, მეჰმეთ ბაიდური, ბილგე ქარასუ, ინჯი არალი, ბუქეთ უზუნერი). თითოეული მათგანი პოსტმოდერნისტული პოეტიკის მრავალფეროვნებას მატებდა საკუთარ ინდივიდუალურ და განუმეორებელ შტრიხს. ისინი უფრო აქტიურად და რადიკალურად იყენებენ პოსტმოდერნისტული ნარატივის სტილურ ელემენტებს, განსხვავებით უფროსი თაობისგან (ბ. ბაქარსუ, ა. ალაოდლუ, ო. ათაი), რომლის პოსტმოდერნისტული პროზაული ტექნიკა კომბინირებულია საკუთარ, ინდივიდუალურ ტექნიკასთან, რომელიც უფრო ახლოა მოდერნიზმისა და რეალიზმის ტენდენციებთან.

პოსტმოდერნისტ მწერალთა პირველი პლეადის წყალობით თურქულ ლიტერატურაში დამკვიდრდა ახალი მხატვრული აზროვნება, ახალი ფილოსოფია, ახალი ესთეტიკა და ახალი ენა, მათ ჩაუყარეს საფუძველი ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელიც 2000-იან წლებში იქცა მთავარ ნაციონალურ მხატვრულ პროცესად. თურქული ლიტერატურული პოსტმოდერნიზმი, რომელიც წარმოადგენდა სხვადასხვა სახის მოდიფიკაციით: ნარატიული, ლირიკული, მეტანქოლიური თუ შიზო-ანალიტიკური, გახდა მსოფლიო პოსტმოდერნისტული ლიტერატურის ნაწილი, როგორც ორიგინალური ნაციონალური მოვლენა.

ლიტერატურა:

1. Сулейманова А., Постмодернизм в современном турецком романе (на примере творчества Орхана Памука), Санкт-Петербург, 2007.
<http://www.dissercat.com/content/postmodernizm-v-sovremennom-turetskom-romane-na-primere-tvorchestva-orkhana-pamuka>

2. Рзаева Р., Постмодерн и мультикультурализм: междисциплинарный дискурс Научная монография. Баку, 2015.
3. Egevit Y., Türk Romanında Postmodern Açılımlar, İletişim Yayınları, İstanbul, 2001.
4. Репенкова М. М., Турецкий постмодернизм (на примере новеллистики Муратхана Мунгана), 2009.
<http://naukarus.com/turetskiy-postmodernizm-na-primere-novellistiki-murathana-mungana>
5. მუმლაძე დ., პოსტმოდერნული ეპოქა რუსთაველის თეატრში, „თეატრი და ცხოვრება“, 2004, №6.
6. Репенкова М. М., Некоторые тенденции в турецкой романистике 80-х - начала 90-х годов, Вестник Московского университета. Серия 13. Востоковедение, 1997, №1.
7. Репенкова М. Постмодернизм в литературе Турции, Москва, 2010.
8. Egevit Y., Orhan Pamuk'u Okumak, İstanbul, 1966.
9. Soruşturma. Edebiyatımızda bir Postmodern Durumdan söz edilir mi? “Varlık” Edebiyat ve Sanat Dergisi, İstanbul, 1992, Aralık ayı.
10. Aytaç G., Çağdaş Türk Romanları Üzerine İncelemeler. Ankara: Gündoğan yayınları, 1999.

Rusudan Khomeriki

Some features of postmodernism in Turkish literature

Summary

Turkish postmodernism is distinguished by its diverse tendencies, which holds intermediate position between the Western (American-Western European) and Oriental (Eastern European) postmodernism modifications. Thanks to Turkish postmodernist writers, a new way of thinking, a new philosophy, new aesthetics, and a new language were established in the Turkish literature. Turkish literary postmodernism, which is presented with different modifications: narrative, lyrical, melancholic, or schizo-analytical, became a part of the world postmodernist literature, as an original national event. The article presents the peculiarities of postmodernism in Turkish literature, its classifications, causes of conception, the forms of revealing, and the points of view of literary critics regarding this event.

Русудан Хомерики

Некоторые особенности постмодернизма в турецкой литературе

Резюме

Турецкий постмодернизм, отличаясь своими разнообразными тенденциями, занимает промежуточное положение между модификациями западного (американо-западноевропейского) и восточного (восточноевропейского) постмодернизма. Благодаря первой плеяде турецких писателей-постмодернистов, в турецкой литературе утвердилось новое мышление, новая философия, новая эстетика и новый язык. Турецкий литературный постмодернизм, представленный различными видами модификаций: нарративный, лирический, меланхолический или шизо-аналитический, – стал частью мировой постмодернистской литературы, как оригинальное национальное явление. В статье рассмотрены особенности постмодернизма в турецкой литературе, их классификации, причины зарождения, формы проявления и, в связи с этими явлениями, соображения литературных критиков.

Лилиана Джанашия
(Грузия)

ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ПЕРЕВОД И ЛИТЕРАТУРНАЯ КОМПАРАТИВИСТИКА

Художественный перевод, являясь самостоятельной дисциплиной, имеющей собственную теорию и практику, остаётся актуальной и активной исследовательской сферой для компаративистики, ведь основной функцией художественного перевода признаётся установление и развитие межлитературных и межкультурных взаимодействий. Активное участие обеих дисциплин – сравнительного литературоведения и переводоведения – в процессе взаимодействия литератур представляет собой наиболее важную грань их соприкосновения.

Зарубежные исследователи давно утверждают необходимость рассматривать теорию художественного перевода как независимую, отдельную от компаративистики дисциплину, указывая на то, что в процессе исторического развития теория перевода отделилась и оформилась в самостоятельную категорию: «Теория перевода зародилась и в своей первоначальной фазе развивалась как эмпирический сравнительный метод на почве традиционной литературной компаративистики» (1, 33).

Известный словацкий ученый, А. Попович подчеркивает, что: «Теория художественного перевода в узком смысле слова основана на пересечении таких четырех дисциплин: сопоставительная лингвистика, сопоставительная стилистика, теория литературной компаративистики, теория литературы» (1, 34). Этот факт часто способствует тому, что ученые, увлекаются тенденциями междисциплинарных исследований в ущерб очевидной самостоятельности теории и практики художественного перевода. Подобно компаративистике, переводоведение всё еще находится в стадии самоопределения и, имея богатейшую практику, активно обрастает быстро развивающейся теорией. При этом, некоторые учёные видят в такой обособленности наук, с которыми соприкасается компаративистика, тенденцию, ведущую к тому, что сравнительное литературоведение всё более теряет характер некоей обособленной научной дисциплины, со своим строго очерченным, лишь ей одной присущим предметом и своей столь же единичной методологией исследования. Оно превращается, скорее, в особый подход, приложимый к освещению очень различных сфер и аспектов международной литературной жизни и, шире, художественной культуры (в виде осмысления взаимодействия литературы с другими видами искусства) (2, 289). Известный румынский литературовед и критик А. Марино в своей статье «Необходимо пересмотреть сравнительное литературоведение» следующим образом оценивает ситуацию, сложившуюся в современной зарубежной науке. «Создаётся впечатление, – отмечает он, – что понятие компаративистики треснуло, стало в буквальном смысле слова свалочным местом, понятием без берегов» (3, 10).

Существует западноевропейская традиция, которая успешно сочетает научное изучение художественного перевода и как самостоятельной дисциплины, и в рамках сравнительного литературоведения.

История развития науки показала, что «спор о статусе теории перевода - является ли она компаративистской дисциплиной или нет - оказался совершенно бесплодным, поскольку уже сама практика включает теорию перевода в компаративистику» (1, 33). При этом, отрадно заметить, что именно специалисты по художественному переводу отмечают, что: «соче-

тание в одном лице теоретика перевода и компаративиста принесло бы очень плодотворные результаты для обеих уровней компаративистики - конкретного и общего» (1, 35).

Один из наиболее известных мировых авторитетов в области теории художественного перевода Дьёрдь Радо в своей работе «Теория перевода с точки зрения переводчика» отмечает, что многочисленные труды теоретиков перевода, несомненно, «хороши, важны и полезны для лингвистики и компаративистики...» (2, 13).

Анализ развития художественного перевода и литературной компаративистики в разных странах приводит к интересным выводам о явных совпадениях периодов интенсивности динамики в обеих сферах филологической науки.

В становлении и развитии теории художественного перевода, как и литературной компаративистики, можно выделить несколько наиболее памятных дат, к примеру, середина 1950-х годов, когда сформировалась Международная Ассоциация переводчиков и было принято решение о создании Международной Ассоциации сравнительного литературоведения; штаб-квартиры обеих Ассоциаций находятся в Париже. Важное значение для дальнейшего развития обеих научных и учебных дисциплин имело воздействие на них учения о семиотике. Развивая определенные положения новой теории, Р. Якобсон связал некоторые понятия с областью художественного перевода. В частности, он «ввел понятие «перевод» как одно из основополагающих в семиотику, используя его далеко за пределами языковых процессов и, представив перевод с одного языка (естественного) на другой как частный случай функционирования знаковых систем вообще.

С различными разработками в области семиотики тесно связан и другой термин - «интертекстуальность», который был введен в 1967 году французской исследовательницей, теоретиком постструктурализма Юлией Кристевой. Он используется для обозначения всеобщего свойства текстов, состоящего в наличии определенных взаимосвязей, которые позволяют частям текста ссылаться друг на друга. Причем ссылки могут быть как явными, так и не явными. Интертекст - это диалогическое взаимодействие сочинений, соотношение определенного текста с другим, которое обеспечивает раскрытие нужного автору смысла. Это главный способ и вид построения художественного произведения в модернизме и постмодернизме. Его суть состоит в том, что текст создается из реминисценций и цитат к другим произведениям. Первоначальный вариант «диалога между текстами» принадлежит философу и мыслителю, теоретику европейского искусства, Бахтину Михаилу Михайловичу. Сегодня интертекстуальность активно используется в художественных и научных текстах и стала пограничным понятием, наряду с другими терминами, в период расцвета междисциплинарного подхода к наукам, найдя свое применение и в теории перевода. К примеру, понятие «интертекста» является базовым для исследователя М. Новиковой, которая строит на нем свои заключения о «множественности» интерпретаций любого текста в процесса перевода. В частности, Новикова детально изучает процесс художественного перевода в его движении от текста к контекстам и предлагает использовать в качестве практической методики анализа, при изучении переводов, поликонтекстуальный анализ.

С этим тезисом солидарен и французский компаративист Анри-Даниэль Пажо, который пишет: «Перевод - это достаточно странный вид деятельности, когда в результате чтения иностранного текста создается другой текст, дубликат первого текста. Продолжение чтения порождает письменный текст, который подобен узнику со стороны разных требований: с одной стороны, необходимо уважение к тексту-оригиналу, тексту-источнику, с другой - неизбежно производство другого, переводного, вновь созданного текста. Пере-

водной текст представляет собой некоторую утопию, ... которая вовсе не адекватна тексту-источнику, и абсолютно не аналогична текстам, непосредственно написанным на самом переводном языке. Переводческая деятельность приводит к трансформации переводного текста в своеобразный интертекст» (4, 18).

Для переводчика интертекст чаще всего становится почти непреодолимой проблемой. Большинство исследователей подчёркивают, что не стоит настаивать на принципе тотальной переводимости. В переводе вообще нет готовых решений, однако методы компенсации и замены позволяют частично найти утешение в этом искусстве потерь. В случае же с интертекстом аллюзивность становится масштабной и новые смыслы генерируются на уровне целого текста или отрезка текста. Главное препятствие заключается в том, что переводить с одного языка на другой приходится для чужой относительно оригинала культуры, а это значит, что национально-прецедентные интексты становятся непроницаемыми для иноязычного реципиента.

Какие бы работы по переводу интертекстуальных фрагментов мы ни взяли, в них в лучшем случае рассматриваются удачные случаи перевода; большей же частью исследователи ограничиваются констатацией потерь при переводе, лишь подтверждая тщетность попыток переводчиков преодолеть культурные барьеры. Одной из целей исследования интертекста в аспекте перевода может стать выявление некоторых закономерностей в установлении культурных параллелей. Это позволит определиться с выбором стратегии перевода в зависимости от типа прототекста. Суть обсуждаемой здесь стратегии перевода интертекстуальных фрагментов заключается в попытке смоделировать процесс трансляции ассоциаций в инокультурный семиозис. Такого рода моделирование идет по пути вычленения опорных информационных узлов, как семантических, так и прагматических. Иными словами, это тот же процесс минимизации смыслов с целью обнаружить то типическое (прототипическое), что позволит отыскать аналог прецедентного феномена в переводящей культуре. Применение этой стратегии возможно только в тех случаях, когда интертекстуальный фрагмент основан на универсально прецедентном феномене (теме, ситуации), обладающем одинаковым или схожим эмоционально-оценочным компонентом в переводной и переводящей культурах.

Прекрасным примером служит, например, творчество Татьяны Толстой, которое с большим трудом поддается трансляции в другую культуру. Существующие переводы на английский язык ее рассказов и романа «Кысь» не дают представления о глубине всех тех культурных пластов, которые лежат в основе мировидения автора. В вышедших в США сборниках рассказов Толстой читатель не найдет перевода рассказа «Сюжет», практически целиком построенного на отсылках к фактам русской культуры и непрямом цитировании. Роман «Кысь» написан в форме сказа и уже поэтому интертекстуален. Не только цитирование национально-прецедентных текстов составляет сложность в переводе (материальная, вербализованная сторона интертекстуальности), но и отсылки к национально-прецедентным феноменам. Например, в романе «Кысь» вождельные, но коварные огнецы не просто выдуманные вкусные плоды, а часть русской картины мира - страсть русских к собиранию грибов и ягод (кстати, ежегодно приводящая к трагедиям, как и в случае с матерью Бенедикта). «Голубчики», транслитерированные в переводе, не сообщают англоязычному читателю унизительно-покровительственного отношения к тем, кого так называют. И почему «на запад тоже не ходи» понятно лишь тем, кто знает историю русской эмиграции, а выдача товара со Склада - не просто картинка из страшного будущего, а

аллюзия к знакомой ситуации с распределителями и очередями из прошлого. Таким образом, прецедентная ситуация оказывается более сложной для передачи, чем лексический блок. Смыслы, порожаемые отсылками к прецедентным явлениям, гораздо богаче суммы значений слов, составляющих текст.

Таким образом, мы смогли убедиться, что перевод с точки зрения компаративистики, предстает в качестве социальной и коммуникативной практики и в этом аспекте наиболее интересен для исследователей.

Лიტერატურა:

1. Попович А., Проблемы художественного перевода. М., 2013.
2. Виппер Ю. Б., О некоторых теоретических проблемах истории литературы [Текст], Ю. Б. Виппер, Виппер Ю. Б. Творческие судьбы и история: О западноевропейских литературах XVI - первой половины XIX века. М., 2000.
3. Чернец Л. В., Актуальные проблемы современного литературоведения: Основные тенденции и перспективы развития литератур [Электронный ресурс] / Л. В. Чернец. Электронные данные. Режим доступа: http://uzswlu.datasite.uz/data/Module/actual_problems_of_literature.pdf
4. Комиссаров В. Н., Общая теория перевода: Проблема переводоведения в освещении зарубежных ученых [Текст]: учебное пособие, В. Н. Комиссаров; отв. ред. Б. А. Ольховский. М., 2014.

ლილიანა ჯანაშია ***მხატვრული თარგმანი და ლიტერატურული კომპარატივისტიკა*** **რეზიუმე**

მხატვრული თარგმანი დამოუკიდებელი დისციპლინაა, რომელსაც საკუთარი თეორია და პრაქტიკა აქვს და ამდენად, კომპარატივისტიკისათვის ის კვლავაც აქტუალური და აქტიური კვლევის სფეროდ რჩება, ვინაიდან მხატვრული თარგმანის ძირითად ფუნქციად ლიტერატურათაშორისი და კულტურათაშორისი კავშირების დამყარება და განვითარება მიიჩნევა. ორივე დისციპლინის – შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობისა და თარგმანის თეორიის – აქტიური ჩართულობა ლიტერატურებს შორის კავშირების დამყარების პროცესში მათი ურთიერთკავშირის უმთავრესი გამოსატყულებაა.

Liliana Janashia ***Literary translation and comparative literature*** **Summary**

Being an independent branch of science with its own theory and practice, literary translation continues to be a topical and active sphere of research for comparative literature, as the main function of literary translation is believed to be the establishment and development of communications between literatures and cultures. The active involvement of both branches - comparative literature and theory of translation - is the most important aspect of their contacts in the process of communications between literatures.

Emma Kilanova
(Georgia)

ON SOME DISTRIBUTIVE FEATURES OF THE STRUCTURES WITH THE FINITE FORMS OF PASSIVE IN MODERN ENGLISH LITERARY DIALOGUE

The present article is devoted to the analysis of the morphological level of the constructions with the finite forms of the passive voice which is a level of speech verbalization in relation to the syntactic level and the level of the components of the conceptual situation. The actuality of the description of the morphological level both with the theoretical view and for the practical aims of teaching languages is obvious.

The morphological level is interpreted here in the terms of the left-hand and the right-hand distributions in relation to the verb in the finite form (to the predicate on the surface-syntactic level and so the predicate on the semantic level) which is the core of the considered passive constructions. The distributive properties of the passive constructions depend, in the first place, on the type of the diathesis (3, 18-25; 4, 18-25; 2, 89-92) and also on the semantic characteristics of the verb-predicate. An additional factor influencing the distributive parameters is the tense-aspect form of the verb-predicate. Besides, an essential role is played by the entry of the passive structure into larger discourse formations (complex sentences, super-phrasal units). Taking into consideration that all these factors are interdependent and are manifested in different ways in diverse language subdivisions and even in individual styles it will be obvious how hard it is to describe adequately the investigated structures on the morphological level and how impossible it is to do it within the bounds of a single research, even if one limits himself to one sublanguage division – the literary dialogue.

In the present article we shall describe only the most essential distributive varieties of the passive constructions for all the observed types of diatheses and in some cases the semantic properties of the verb-predicates will be taken into consideration. All the other factors mentioned above will exceed the limits of the present work.

The left-hand and the right-hand distributions of the passive constructions (as of the verb-predicates in general) have a strongly marked specificity. In the investigated material two tendencies were revealed. On the one hand, there manifested itself a general linguistic tendency of a much more information loading of the right-hand distribution of the verb-predicates as compared with the left-hand one. The composition of the left-hand distribution of the verb in the passive voice practically always correlates with the subject (or its part), and the latter with the objects of the conceptual (semantic, deep-syntactic) scheme, i.e. with the patient, the addressee, or the resultative (2, 89-92; 5). More rarely in the left-hand distribution there also occur parts (participants) expressing adverbial modifiers (circumstances in the conceptual scheme). Naturally, the amount of information and the diversity of the distributive variants here are not great, the more so, as in certain diatheses the patient is represented by the formal subject “it”, the content of which is disclosed in the right-hand part (6, 95-101). The content of the left-hand distribution with the diatheses with a complex subject is also revealed in the right-hand distribution (1, 70-77). The right-hand distribution correlating with the prepositional and non-prepositional object, with the essential part of the complex subject, adverbial modifiers, may contain much richer and much more diverse information about the characteristics (attributes) of the predicate and the patient, of the subjects of the conceptual (semantic) scheme – the agent and the experiencer, of the instrumental

and also of the conditions of coercion or perception act proceeding (circumstances). As a rule, the rheme of the utterance is expressed exactly in the right-hand distribution, and naturally, the types of the right-hand distribution are much more various than those of the left-hand distribution and consequently they are to be described in more detail.

But the above-mentioned tendency is restricted by another tendency, to a certain extent the contrary one, which is stipulated by a considerable share (57.2%) of one-member diatheses and which probably characterizes the dialogue in contrast to other language subdivisions. This in a way reduces the general number of examples with the substantial right-hand distribution but does not affect their diversity. But it should be taken into consideration that the circumstances – adverbials which are not relevant for the description of the diatheses – are most considerably displayed on the morphological level and nearly always in the right-hand distribution at that. In the prevailing part of one-member diatheses there is a non-zero right-hand distribution just owing to the adverbial modifiers.

We shall consider some common features of the left-hand distribution of the verbs in the passive voice registered in the literary dialogue.

In the left-hand distribution of the verbs in the passive voice there are manifested its two varieties: simple and combined.

The simple left-hand distribution contains a morphological representation of one semantic role correlating with the subject, the formal (introductory) subject or a part of a complex subject in the surface structure. It makes 97,7% of all the left-hand distribution of the passive structures. The simple left-hand distribution may be represented either by a single word (82,7%) or by a nominal or pronominal phrase (17,3%). Below are given examples where the left-hand distribution is underlined:

I. The simple left-hand distribution expressed by a word –

1. “The troops are being moved from the district... they’re being sent somewhere a long way off”.
2. “The prisoners are given lunch by the sheriff”.

II. The simple left-hand distribution expressed by a phrase –

1. “The language of the gutter is understood anywhere that anyone ever fell in it”.
2. “A footprint in the dust was made by the last person”.

A combined left-hand distribution is a unity of a morphological correlate of a subject with the morphological representation of adverbials correlating with circumstances in the conceptual scheme. The share of the combined left-hand distribution is insignificant – 2.3% which is indicative of the prevalence of adverbials in the right-hand distribution. The adverbial modifiers representing circumstances are expressed mainly by adverbs or nominal phrases.

Examples:

1. “By an extraordinary coincidence she was found late one night at the bottom of the stairs”.
2. “Yesterday his official request to be relieved had been forwarded to the Adjutant – General’s desk”.

In the cited examples the combined left-hand distributions of the verb-predicates are underlined. In the first sentence it is a nominal phrase with the preposition “by” correlating with the adverbial modifier and the personal pronoun – a representant of the subject, in the second sentence it is an adverb denoting the adverbial modifier and a nominal phrase correlating with the subject.

In the left-hand distribution, there may be a subject, a formal (introductory) subject or a part of a complex subject which, as mentioned above, represent various semantic actants (semantic

roles) – a patient, an addressee and a resultative. At the same time the given semantic roles may represent a person or a non-person, i.e. they are animate and inanimate objects or notions. A person in the left-hand distribution was discovered in 58,7% of the whole amount of the excerpt and a non-person, accordingly, makes 41,3%. The correlation of a person and a non-person in the left-hand distribution essentially depends on the type of a diathesis. In the diathesis ДI in which the patient correlates with the subject, the shares of a person and a non-person in the left-hand distribution differ little from each other (a person – 57,9%, a non-person – 42,1%). In the diathesis ДII, expressing the correlation of the addressee and the subject, in the left-hand distribution of the verb-predicates absolutely prevails the morphological expression of a person – 94%, whereas a non-person constitutes 6% of all the types of the left-hand distribution. In the diathesis ДIII, representing a correlation of the resultative and the subject, in the left-hand distribution absolutely predominates a non-person – 96,6% (a person – 3,4%). These correlations naturally arise from the essence of the considered diatheses.

In the left-hand distribution the most common are the following parts of speech or their combinations, correlating with the subject in the surface structure:

1. nouns and nominal phrases (35,3%),
2. pronouns and pronominal phrases (64,5%).

The latter were registered in the following varieties: personal (in the nominative case), indefinite, demonstrative, relative, interrogative and possessive. There prevail personal pronouns in the nominative case, the share of which is 82,3% of all the encountered pronouns in the function of the subject.

In the left-hand distribution there were also discovered numerals, the infinitive and subordinate clauses but their portion is very small – only 0,2%. We'll illustrate the most prevailing types of the left-hand distribution by the examples:

1. a noun -
“The book was given me by my sister”;
2. a personal pronoun –
“Ill be left alone in the house”;
3. a relative pronoun –
“That new house, you mean?”
“The one that is being built, yes”;
4. an indefinite pronoun -
“... Yes, everything that was mine was burnt”.

A particular type of the left-hand distribution is the anticipatory pronoun “it” (6, 95-101), correlating in three diatheses in the right-hand distribution of the predicate with the infinitive or the infinitive phrase, and also with the noun and the adjective or their combination with the infinitive with the verbs of mental activity and social relations. In some diatheses the left-hand distribution – the anticipatory “it” correlates with the subject subordinate clause with the verbs of communication and also to the lesser degree with the verbs of social relations and mental activity in the right-hand distribution.

Examples:

1. “It has now been agreed to signal London”.
2. “It has been rumored that he's in Europe”.
3. “... it was put to them that this was a wonderful chance”.
4. “... It's not usually considered unfortunate to be acquitted”.

5. “Is it permitted for one of us to join the police?”
6. “It is usually said that a rich man labours under the belief that he can buy everything and everywhere”.
7. “It’s forbidden by the Koran to divorce because of vanity”.

The underlined members in the right-hand distribution are correlates of the anticipatory “it”.

The portion of the anticipatory “it” is only 1,1% of the left-hand distributions.

The anticipatory “it” should be distinguished from the personal pronoun “it” which has the function of a real (not formal) subject: “... they sent you to reform school and it was run by those two people Mr. and Mrs. Swerlin.” In the given sentence the pronoun “it” is an anaphoric personal pronoun (with the anticipatory “school”).

Literature:

1. კილანავა ე., ეგრეთ წოდებული „რთული ქვემდებარე“ თანამედროვე ინგლისურ ენაში. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, ტ. V, 2008.
2. Kilanava E., The passive Diatheses in Modern English Language. In: Intercultural Communications. Intercultural Relations Society. No. 1. Tb., 2007.
3. Холодович А. А., Залог. В кн.: Категория залога (Материалы конференции). Л., 1970.
4. Черкасс И. А., Функционально-семантическое поле залоговости в современном английском языке. К/д. Ростов-на-Дону, 1992.
5. Киланова Э., Семантика предикатов пассивных диатез в современном английском литературном диалоге, Тб., 2012 (Монография).
6. Киланова Э., Дистрибутивные свойства пассивных диатез с формальным вводным подлежащим “it” в современном английском литературном диалоге. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, XV, თბ., 2016.

ემა კილანავა

პასივის პირიანი ფორმების სტრუქტურების ზოგიერთი დისტრიბუციული თვისება თანამედროვე ინგლისურ ლიტერატურულ დიალოგში რეზიუმე

ნაშრომი ეხება ინგლისური ლიტერატურული დიალოგის პასიური კონსტრუქციების მარცხენა დისტრიბუციების ზოგიერთი თვისების გამოკვლევას. მარტივი მარცხენა დისტრიბუცია მოიცავს ერთი სემანტიკური როლის (პაციენსის, ადრესატის ან რეზულტანტის) მორფოლოგიურ გამოხატვას, რომელიც კორელირებს ქვემდებარესთან, ფორმალურ (შემყვან) ქვემდებარესთან ან რთული ქვემდებარის ნაწილთან ზედაპირულ სტრუქტურაში. კომბინირებული მარცხენა დისტრიბუცია ძალზედ უმნიშვნელოა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გარემოებითი წევრები ჭარბობენ მარჯვენა დისტრიბუციაში. მარცხენა დისტრიბუციის სახეობების აღწერისას, ზოგ შემთხვევაში, სემანტიკური თვისებებიცაა გათვალისწინებული.

Эмма Киланава

Некоторые дистрибутивные свойства структур с личными формами пассива в современном английском литературном диалоге

Резюме

В статье исследуется состав левой дистрибуции глагола в пассиве в современном английском литературном диалоге, который практически всегда коррелирует с подлежащим (или его частью), а последнее – с объектами понятийной схемы, то есть с пациенсом, адресатом или результатом. Реже в левой дистрибуции встречаются также члены, выражающие обстоятельства (циркумстанты в понятийной схеме).

В данном исследовании описываются наиболее существенные дистрибутивные разновидности пассивных конструкций для всех наблюдаемых типов диатез, причем в ряде случаев учитываются семантические свойства глаголов-сказуемых.

თამარ დიასამიძე
(საქართველო)

კომუნიკაციის ლინგვოკულტუროლოგიური ბუნება

ენობრივი კომუნიკაციის მთავარი მიზანია სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაცე-
ვლა. ცხადია, რომ ურთიერთობა სორციელდება არამარტო ენის საშუალებით. უძვე-
ლესი დროიდან ადამიანთა საზოგადოებაში გამოიყენებოდა ურთიერთობისა და ინ-
ფორმაციის გადაცემის დამატებითი საშუალებები, რომელთა უმრავლესობაც დღემდე
არსებობს. მაგალითად, აფრიკის ძირეული მოსახლეობა იყენებს სტვენის, სიგნალე-
ბის, დაფდაფების, ზარების, გონგისა და სხვა ამის მსგავს ხმებს როგორც ურთიერთო-
ბის საშუალებებს. „ყვავილთა ენა“ გავრცელებულია აღმოსავლეთში, აგრეთვე, იმ ინ-
ფორმაციის გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს, რომელთა გადმოცემა ზოგ შემ-
თხვევაში სიტყვებით შეუძლებელია. მაგალითად, ვარდი სიყვარულის სიმბოლოა, სა-
პოვნელა – ხსოვნის და ა. შ.; საგზაო ნიშნები, შექნიშნის სიგნალები, სიგნალების გა-
დაცემა აღმების მეშვეობით და ა. შ. – ყველა მათგანი ინფორმაციის გადაცემის საშუა-
ლებებია, რომელიც ავსებს ადამიანთა ურთიერთობის ძირითად საშუალებას – ენას.

თანამედროვე კომუნიკაციური სივრცე საკმაოდ რთული სისტემაა, რომელშიც
ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი კომუნიკაციის სხვადასხვა ტიპს უჭირავს. ადა-
მიანი ამა თუ იმ სიტუაციაში განსხვავებულად იქცევა და ადამიანებთან განსხვავებულ
ურთიერთობას ამყარებს. გარდა ამისა, კომუნიკაციის ბუნებასა და თავისებურებებს
განსაზღვრავენ ინფორმაციის გადაცემის საშუალებების მიხედვით, კომუნიკაციის სუ-
ბიექტებით და ა. შ. კომუნიკაციის სახეების რაოდენობა სხვადასხვა წყაროში საკმაოდ
განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამავე დროს, ამ საკითხთან ფუნქციური მიდგომა საშუ-
ალებას იძლევა გამოვყოთ კომუნიკაციის შემდეგი სახეები: ინფორმაციული, ფუნქციო-
ნალურ-შემფასებლური, რეკრეაციული, დამაჯერებელი და სარიტუალო.

ინფორმაციული კომუნიკაცია წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემის პროცესს
გარე სამყაროს შესახებ, რომელშიც ცხოვრობს კომუნიკატორი და რეციპიენტი. ინ-
ფორმაციული შეტყობინება არის შეხედულება განხილულ ფაქტორებზე. კომუნიკაცი-
ის ამ სახეობას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა, ვინაიდან ჩნდება ახალი ინფორმა-
ციული წყაროები, რომელთა შორის ყველაზე გლობალურია ინტერნეტი. ინტერნეტის
წყალობით ხელმისაწვდომი ხდება მსოფლიოს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ნებისმიერი
გაზეთი, უკანასკნელი სიახლეები.

აფექტურ-შემფასებლური კომუნიკაცია ემყარება დადებით ან უარყოფით გრძნო-
ბებს სხვა ადამიანებთან მიმართებაში. კომუნიკაციის ამ სახეობაში ფაქტები ობიექტუ-
რად არ არის ჩამოყალიბებული, აქ არის სუბიექტურობა. ყველა ეს ფორმა არის აფექ-
ტურ-შემფასებლური კომუნიკაცია. ეს კომუნიკაცია წარმოადგენს შესაძლებლობას გა-
აძლიეროს ან შეასუსტოს შეფასება და გრძნობების გამოხატვა, რაც ინფორმაციული
კომუნიკაციის შემთხვევაში შეუძლებელია. აფექტური კომუნიკაციის მნიშვნელოვან
შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ემპათია. ემპათია გამოიხატება ორ ფორმაში: პირ-
ველ რიგში, ის არის უნარი გრძნობების ვერბალური და არავერბალური გამოხატვისა;

მორე – ის არის ემოციაზე პასუხის გაცემა იმგვარად, როგორც ეს საჭირო და შესაძლებელი იქნება მოსაუბრისთვის.

რეკრეაციული კომუნიკაცია ურთიერთობის სხვადასხვა ფორმას მოიცავს, რომელიც მოსაუბრეს განტვირთვისა და დასვენების საშუალებას აძლევს. ამგვარ კომუნიკაციას ადამიანები ქმნიან წარმოსახვით სიტუაციებში, როდესაც აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას, ყვებიან ამბებს, ანეგდოტებს და ა.შ. რეკრეაციული კომუნიკაციის მეტნაკლებად გავრცელებული ფორმებია: სხვადასხვა სახის დისკუსია, კონკურსები, ოლიმპიადები და ა. შ.

დამაჯერებელი კომუნიკაცია წარმოადგენს კომუნიკაციის ისეთ სახეობას, რომელიც მიმართულია რომელიმე მოქმედების სტიმულირებისაკენ. ის გამოიხატება ბრძანებაში, თხოვნასა და რჩევაში. ამგვარ კომუნიკაციაში მონაწილეები ზემოქმედებენ ერთმანეთზე. კომუნიკაციის ამ ფორმათაგან ერთ-ერთი ცნობილი არის რეკლამა. მასში ყველაზე მნიშვნელოვანი მანიპულაციის ელემენტია სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას გადასვლა. მნიშვნელოვანია კულტურული დიალოგის ლექსიკაც. მაგალითად, საუბრისას ჩვენ ვიღივებით ან ვამბობთ „გთხოვთ“ ან „მადლობა“, არ ვაჩვენებთ მოსაუბრეს ჩვენს განწყობას. გარეგნული მხარეც, ასევე, დამაჯერებელ ფუნქციას ასრულებს. მოუწესრიგებელი, უსუფთაო შესახედაობით ჩვენ განზრახ უკუვაგდებთ სხვებს. მოწესრიგებულობით კი პირიქით, ვცდილობთ ჩვენ მიმართ კარგად განვაწყობთ ისინი, ვისზეც დამოკიდებულია ჩვენი წარმატება. ფერთა პალიტრა ასრულებს როგორც აფექტურ-შემფასებლურ, ასევე დამაჯერებელ როლს, რადგანაც გვეხმარება ზეგავლენა მოვახდინოთ პარტნიორზე.

სარიტუალო კომუნიკაცია გამოიხატება სოციალურად დადგენილ ქცევათა შესრულებაში. მაგალითად, ავიღოთ მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა. როცა მასწავლებელი შედის კლასში, ყველა ფეხზე დგება. ნაცნობები ერთმანეთს ესალმებიან ხელის ჩამორთმევით.

კომუნიკაციის კვლევისას გამოჰყოფენ მასობრივ, პიროვნებათშორის და შიდაპიროვნულ კომუნიკაციებს. ეს სახეები შეიძლება დაეუკავშიროთ მხოლოდ პიროვნებათშორის და მასობრივ კომუნიკაციებს, რომლებიც წარმოადგენს ურთიერთობის ორ პოლუსს. პიროვნებათშორის კომუნიკაციურ სიტუაციაში უდიდეს როლს ასრულებს კომუნიკანტთა კულტურული წარმომავლობა. კულტურა ვერ იარსებებს ადამიანთა ურთიერთობის პროცესის გარეშე (2, 113).

ნებისმიერი კულტურის მატარებელი ყოველთვის ადამიანია. ყოველი ინდივიდის შედარება შეიძლება „კულტურულ აისბერგთან“, მისი ქცევა ხომ განისაზღვრება ინკულტურაციის პროცესში ღირებულებით და კულტურული ნორმებით. ისინი განსაზღვრავენ ვერბალურ, არავერბალურ და პარავერბალურ კომუნიკაციურ საშუალებებს. ჩვენ მიერ გამოყენებულ ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს ხშირად კომუნიკანტი ავტომატურად იგებს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაძაბულობა იქმნება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანთა შორის ურთიერთობა განსხვავდება ცხოველთა ურთიერთობისაგან, რადგან პირველი განსხვავებული წარმატებითა და ეფექტურობით მიმდინარეობს. კომუნიკაციის წარმატება განისაზღვრება რიგი მაჩვენებლებით

ბით, რომელთა შორის უმთავრესია პრაგმატიკული და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები.

სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დაკმაყოფილება თვით ამ პროცესით, როდესაც არაა გრძელი პაუზები. კომუნიკაციის წარმატება ვლინდება პარტნიორთან კონტაქტის შენარჩუნებაშიც.

ამრიგად, კომუნიკაციის წარმატებულობას განაპირობებს ადამიანის კომუნიკაციური ქცევის ინტეგრალური ხასიათი. ამ კონტექსტში პიროვნებათშორისი კომუნიკაცია პროცესია, რომელიც რეგულირდება როგორც გარკვეული სოციალური კანონზომიერებით, ასევე კულტურულად დადგენილი წესებით. ეს პროცესი განისაზღვრება როგორც გარეგნული ზეგავლენით, ასევე ადამიანის შინაგანი მდგომარეობით.

ურთიერთობასა და კომუნიკაციაში გაგება აუცილებელია ყველასათვის. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პიროვნებას აქვს უნარი სხვადასხვა სიტუაციაში გაუგოს მოსაუბრეს. კომუნიკაციური გაგება მით მაღალია ადამიანისთვის, რაც უფრო მიდრეკილია მარტოობისკენ, ცხოვრობს სოციალურ იზოლაციაში.

ამრიგად, თვითიზოლაციისაკენ მიდრეკილი ადამიანი უფრო სწორად აღიქვამს მოსაუბრეს, ვიდრე სოციალურად წარმატებული და თავდაჯერებული ინდივიდი.

კომუნიკაციის პროცესში ურთიერთობის სტილი ინფორმაციის გადაცემის საშუალებაა. განასხვავებენ კომუნიკაციური სტილის შემდეგ ძირითად სახეებს:

დომინანტური - მცდელობა ურთიერთობაში სხვისი როლის დაკნინებისა;

დრამატული - შეტყობინების ემოციური შეფერილობის მომატება;

სადავო - აგრესიული ან მტკიცებითი;

შთამბეჭდავი - მოსაუბრეზე ზემოქმედების მოხდენა;

ზუსტი - ურთიერთობაში სიზუსტისა და აკურატულობისკენ მისწრაფება;

ყურადღებიანი - მოსაუბრის მიმართ ინტერესის გამოვლენა;

აღმაფრთოვანებელი - ხშირად არავერბალური საშუალებების გამოყენება;

მეგობრული - უბიძგო მოსაუბრეს სხვა მოსაუბრისკენ; საკუთარი აზრის და ემოციების ღია გამოსატყობა. ამ სტილის არჩევა დამოკიდებულია კულტურულ ღირებულებებზე, რომელშიც მიმდინარეობს კომუნიკაცია. გუდიკუნსტის აზრით, ამერიკაში უფრო განვითარებული და გავრცელებულია სადავო, დომინანტური და შთამბეჭდავი სტილი, იაპონიისათვის კი დამახასიათებელია დამამშვიდებელი და ღია სტილი (5, 38).

გარესამყარო გავლენას ახდენს ჩვენს მეტყველებასა და მოქმედებაზე. ჩვენ სხვადასხვაგვარად ვიქცევით სამსახურში, სასწავლებელში, ტრანსპორტში, საქმიანი ან მეგობრული შეხვედრების დროს. კომუნიკაციის ადგილი მიგვიითითებს თავისი ქცევის წესებზე. ამგვარად, დადგენილი და დაუდგენელი წესები არსებობს ყველა კულტურაში. თვით ის ადამიანები განსაზღვრავენ კომუნიკაციის ხასიათს, რომლებთანაც ვურთიერთობთ.

ადამიანთა ურთიერთობა ისევე უსაზღვრო და მრავალფეროვანია, როგორც თვით ადამიანთა საზოგადოება. ეს მრავალფეროვნება აისახება კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმაში, ტიპსა და სახეში. თანამედროვე კომუნიკატივისტიკაში გამოიყოფა კომუნიკაციის შემდეგი ფორმები: პიროვნებათშორისი, მასობრივი და კულტურათშორისი.

პიროვნებათშორისი კომუნიკაცია ნიშნავს ინფორმაციის გაცვლას და მის ინტერპრეტაციას ორი ან მეტი ინდივიდის მიერ, რომლებიც კონტაქტში შედიან ერთმანეთთან. პიროვნებათშორისი კომუნიკაციის განმსაზღვრელ ფაქტორად მათი ურთიერთობები მიიჩნევა.

კომუნიკაციის ბუნებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: დრო და მონაწილეთა რაოდენობა. პიროვნებათშორისი კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია კონტექსტის ცოდნა და საკუთარი პოზიციის აღქმა. ყოველი ადამიანი რამდენიმე სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნება. ასეთი ჯგუფებია: ოჯახი, ეროვნება, სქესი და ა.შ. მათში გაერთიანება ადამიანს დამოუკიდებლობას მატებს; თავიდან აცილებს მას სოციალურ იზოლაციას. კომუნიკაციის ეს ფორმა მთავარ როლს თამაშობს ადამიანის სოციალიზაციაში.

კომუნიკაციის პიროვნებათშორისი ხასიათი ითვალისწინებს, რომ აქ საქმე გვაქვს ადამიანთა მცირე ჯგუფის უშუალო ურთიერთობასთან, რომ ისინი ტერიტორიულად ახლოს ცხოვრობენ და აქვთ საშუალება განახორციელონ უკუკავშირი. პიროვნებათშორისი კომუნიკაცია ყოველთვის პიროვნულადაა ორიენტირებული, რადგანაც დაფუძნებულია პარტნიორის უნიკალურობაზე, ითვალისწინებს პარტნიორის ემოციურ მდგომარეობას, პიროვნულ თვისებებს და, თავის მხრივ, ელოდება საპასუხო ყურადღებას (1, 75).

როგორც კომუნიკაციის სხვა სახეები, ასევე პიროვნებათშორისი კომუნიკაცია შეიძლება იყოს ეფექტიანი ან უეფექტო. ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ეფექტიანობის ხარისხი დამოკიდებულია ურთიერთობის სიტუაციაზე. მაგალითად: ადამიანი შეიძლება იყოს წარმატებული კომუნიკატორი თანატოლებთან ან კოლეგებთან ურთიერთობისას, მაგრამ კრახი განიცადოს სხვა ასაკის ან სხვა სოციალური მდგომარეობის ადამიანებთან.

კომუნიკაციის ეფექტურობის კვლევის საკითხმა მეცნიერები (Smith, Samovar, Porter) მიიყვანა დასკვნამდე, რომ ეფექტიანი პიროვნებათშორისი კომუნიკაცია წარმოადგენს კონკრეტული ქმედებების, უნარების, ჩვევების სისტემას, რომლებიც გენეტიკური არ არის, ისინი უნდა ისწავლო. პიროვნებათშორისი კომუნიკაციის ხელშეწყობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად შეუძლია ადამიანს აღიქვას და განავითაროს ეს ქმედებები (3, 61).

ჩვევები, უნარები, თვისებები, რომლებიც აუცილებელია ეფექტიანი კომუნიკაციისათვის, აისახება „კომუნიკაციური კომპეტენტურობის“ ცნებაში. იგი შედგება შემდეგი ფსიქოლოგიური თვისებებისგან:

- ადამიანის უნარი, მოახდინოს კომუნიკაციური პროგნოზირება იმ სიტუაციაში, რომელშიც ურთიერთობა მოუხდება;
- კომუნიკაციური ხელშეწყობა, ე.ი. შესაძლებლობა იპოვო კომუნიკაციის თემის შესაბამისი ტაქტიკა და მოახდინო კომუნიკაციური ჩანაფიქრის რეალიზაცია;
- უნარი, გაერკვე საკუთარ თავში, საკუთარ და პარტნიორის ფსიქოლოგიურ პოტენციალში;
- თვითგანწყობის შექმნის უნარი, თვითრეგულირება ურთიერთობის პროცესში, ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვის უნარი, ემოციური განწყობა სიტუაციის შესაბამისად.

მასობრივი კომუნიაცია წარმოადგენს სხვადასხვა სოციალური სუბიექტის ურთიერთქმედებას, რომელიც ხორციელდება მასობრივი ინფორმაციის გაცვლით სპეციალური ტექნიკური საშუალებებით. მისი განმასხვავებელი ნიშნებია ტექნიკური საშუალებების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგულირებასა და ტირაჟირებას, ინფორმაციის დიდ სოციალურ მნიშვნელობას, მასობრიობას, ანონიმურობას და კომუნიკაციის მონაწილეთა გაფანტულობას, კომუნიკაციური საშუალებების მრავალარხიანობას.

მასობრივი კომუნიკაციის გაჩენა გამოიწვია ისეთმა ტექნიკურმა საშუალებებმა, როგორებიცაა: რადიო, ტელევიზორი, ტელეფონი, კაბელური და კომპიუტერული ქსელები. ამ გარემოებებმა განაპირობა კომუნიკაციის ამ ფორმების სპეციფიკურობა: შესაძლებლობა ერთდროულად რამდენიმე სოციალური ჯგუფის ურთიერთობისა, უშუალო ურთიერთობის არარსებობა პარტნიორებს შორის, ინფორმაციის ერთი მიმართულება და ფიქსირებული კომუნიკაციური როლები, მასობრიობა, სტიქიურობა, კომუნიკაციის ობიექტების ანონიმურობა. თავისი სპეციფიკური დანიშნულებისა და მნიშვნელობის გამო მასობრივი კომუნიკაცია ასრულებს სამ ფუნქციას: ინფორმაციულს, მარეგულირებელს და კულტუროლოგიურს (4, 98).

ერთი კულტურის მიერ სხვა კულტურის აღიარებასა და მიღება-გაზიარებას ან პირიქით, უარყოფას, კაცობრიობის არსებობის განმავლობაში ყოველთვის ჰქონდა ადგილი. ამგვარი განწყობა (მიდგომა) სხვა კულტურების მიმართ დღემდე შეინიშნება.

სპეციალისტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კულტურათშორის კომუნიკაციაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მართებული, თუკი ადამიანები განსხვავებული კულტურის წარმომადგენლები არიან და იმას, რაც მათ კულტურას არ მიეკუთვნება, სხვისად, მაგრამ არა მიუღებლად თვლიან.

ურთიერთობა კულტურათშორისია მაშინ, როცა მასში მონაწილეები ეცნობიან სხვათა ტრადიციას, ადათებს, ქცევის წესებს, ყოველდღიური ურთიერთობის ნორმებს. სწორედ ამგვარ ურთიერთობაში ვლინდება როგორც ჩვეული, ნაცნობი, ასევე უჩვეულო, უცხო თვისებები.

თავისი არსით კულტურათშორისი კომუნიკაცია პიროვნებათშორისია, როცა მისი ერთ-ერთი მონაწილე მეორის კულტურაში რაიმე განსხვავებულს, მისთვის უჩვეულოს აღმოაჩენს. ურთიერთობაში სირთულეს სწორედ ეს განსხვავება წარმოშობს (3, 11); რადგანაც მოცემულ შეტყობინებას გაშიფრავენ კომუნიკანტები, რასაც ისინი გაუგებრობაში შეჰყავს და დაძაბულობას, მუდმივ დისკომფორტს იწვევს. მაგალითად: ამერიკელისათვის ფეხის ფეხზე გადადება ჩვეულებრივი მოვლენაა, ამიტომ მისთვის ეს ძალზედ მოსახერხებელია, თუმცა აღმოსავლური კულტურის წარმომადგენლისათვის მოსაუბრის ასე ჯდომა შეურაცხყოფაა და ყოველად მიუღებელია.

ამგვარად, წარმატებული კომუნიკაციისათვის სხვა კულტურის წარმომადგენელთან ურთიერთობისას უნდა მოიქცე ისე, როგორც ისინი იქცევიან.

აქედან გამომდინარე, კულტურათშორისი კომუნიკაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც ურთიერთობის სხვადასხვა ფორმის ერთობლიობა, ან როგორც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა და მათ ჯგუფებს შორის ურთიერთობა.

ლიტერატურა:

1. Goddard C. and Wierzbicka A., Discourse and Culture, Discourse and Social Interaction, Discourse Studies: Volume 2, Sage Publication, 1997.
2. Gydikunst W., Culture and Interpersonal Communication. Beverly Hills, 1988.
3. Samovar H. A. and Porter R. E., Basic Principles of Intercultural Communication. USA, 1991.
4. Орлова Э. А., Культурная [социальная] антропология. М., 2004.
5. Соколов Э. В., Культурология, теория культур. М., 1994.

Tamar Diasamidze *Linguistic and cultural nature of communication* **Summary**

The modern communicational space represents a rather complex system, which plays one of the most important roles in different types of communication. A person acts differently depending on the situation and interacts with different people in various ways. Types of communication are multiple in forms and are presented differently in various sources. We can define several ways of communication: informative, functional, recreational, persuasive, and ritual.

Cultural belonging of the members of the communication process is very important for the communication itself. The culture cannot exist without communication between people. Every individual can be compared to the “cultural iceberg” as his/her actions in the process of cultural integration are defined by the cultural norms and values. They define verbal, nonverbal, and paraverbal means of communication.

Тамар Диасамидзе *Лингвокультурологическая природа коммуникации* **Резюме**

Современная коммуникация представляет собой довольно сложную систему, которая занимает одно из самых важных мест в общении различных коммуникативных типов. Человек в определенных ситуациях ведет себя по-разному и образует с людьми различные отношения. Кроме того, характер общения определяется особенностью формы передачи информации, субъектом информации и другими факторами. Типы коммуникации различных источников отличаются друг от друга. Функциональный подход к этим вопросам позволяет использовать коммуникаторы следующих типов: информативные, функционально-оценочные, рекреационные, убедительные и ритуальные.

Культурное происхождение коммуникантов играет решающую роль в любой ситуации общения. Культура не может существовать без человеческого взаимодействия. Любая культура - это всегда человек. Каждого индивида можно сравнить с «культурным айсбергом», его поведение определяется ценностями и культурными нормами. Они определяют вербальное, невербальное и паравербальное общение.

ნინო ხუბერაშვილი
(საქართველო)

**შესიტყვებების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები უცხო ენის
შესწავლის კუთხით ინგლისური ენის მასწავლებელთა**

შესავალი

უცხო ენის შესწავლის პროცესში, შესიტყვებების შესწავლას უმნიშვნელოვანესი როლი უკავია, რადგან შესიტყვებების ცოდნა მნიშვნელოვანი ფაქტორია სიტყვათშეთანხმებების სწორი გამოყენების კუთხით. შესიტყვების მნიშვნელობა გარკვეული დოზით არ მომდინარეობს მასში შემავალი ელემენტების მნიშვნელობისგან, შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ ცალკეულ ასპექტს ენის შესწავლის კუთხით. შესიტყვებების შესწავლის პროცესში უდიდეს როლს თამაშობს კონტექსტი და ლექსიკურ გრამატიკული მახასიათებლები. იქიდან გამომდინარე, რომ ენის სრულყოფილი ცოდნა გულისხმობს შესიტყვებების სათანადო ცოდნასა და გამოყენებას, რომლებიც, თავის მხრივ, საკმაოდ რთულ კომპონენტს წარმოადგენენ, ენის შემსწავლელებს ექმნებათ მთელი რიგი სირთულეები შესიტყვებების სწორად გამოყენების კუთხით, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სწორი მესიჯის დაკარგვას.

შესიტყვებები და უცხო ენის შემეცნება

მშობლიური ენის სრულყოფილი ცოდნა გულისხმობს შესიტყვებების ხშირ გამოყენებას, ეს პროცესი მიმდინარეობს თითოეულ ენაში, რადგანაც მოსაუბრეებს გააჩნიათ ათასობით სიტყვის მარაგი. გრამატიკული და ლექსიკური ცოდნიდან გამომდინარე, მათ შეუძლიათ გაიაზრონ და შექმნან ისეთი წინადადებები, რომლებიც იქამდე არ სმენიათ და არ გამოუყენებიათ. თუმცა ამისათვის უნდა შეაკავშირონ მთელი რიგი სიტყვათა წყვილები სხვადასხვა კუთხით, მათი კომუნიკაციური საჭიროებებიდან გამომდინარე. განმეორებადი გამოყენების შემთხვევაში, ენაში არსებული სიტყვები გადაიქცევა ერთეულების ერთ მთლიანობად. შესაბამისად, სიტყვების ერთად გამოყენებისას, ისინი მოიცავენ ერთიმეორის თანხლებას (10). პალმერმა გამოიყენა ტერმინი *შესიტყვება* ზემოთ აღნიშნული ფენომენის განსასაზღვრად და განმარტა, რომ ორი ან მეტი სიტყვის თანაგამოყენება უნდა შევისწავლოთ როგორც ერთი მთლიანობა. აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ შესიტყვებები დიდ როლს თამაშობენ უცხო ენის შესწავლის პროცესში (13).

შესიტყვებებთან დაკავშირებული შეცდომების გამომწვევი მიზეზები უცხო ენის შემეცნების კუთხით

შესიტყვებების შესწავლა უცხო ენის შესწავლის პროცესში უმეტესად ხდება იმ შეცდომების ანალიზიდან გამომდინარე, რომელსაც ამ კუთხით ვუშვებთ, ეს მიდგომა საკმაოდ გავრცელებულია სწავლების მეთოდის ბევრ მიმართულებაში. ამ კუთხით ინგლისური ენის შემსწავლელების მიერ დაშვებულ შეცდომებზე დაკვირვებით, ემპირიულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინგლისური ენის შემსწავლელები ვერ ახდენენ ინგლისური ენის სათანადო გამოყენებას (7; 8; 9).

მიუხედავად იმისა, რომ შესიტყვებების სწავლება უცხო ენის შესწავლის პროცესში უმნიშვნელოვანესია ენის სრულყოფილად დაუფლების კუთხით, ეს მომენტი

კვლევებში უგულვებელყოფილია და შესიტყვებების სწავლებას არ ეთმობა სათანადო ყურადღება არც ტრადიციულ მეთოდოლოგიაში და არც თანამედროვე მიდგომებში. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ჩატარდა არაერთი კვლევა შესიტყვებებთან დაკავშირებით, თუმცა კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ის საკითხი, თუ რა დოზით უნდა მიეწოდოს შესიტყვებები ენის სწავლების პროცესში. ამ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა პრობლემებს ხვდებიან უცხო ენის შესწავლის პროცესში შესიტყვებების კუთხით.

პალმერის მსჯელობის შემდეგ შესიტყვებებთან მიმართებაში, მასწავლებლებმა დაიწყეს საუბარი მასზე, როგორც პრობლემასა და გამოსავალზე (12). დეჩერტი და ლენონი თავიანთ ნაშრომში განმარტავენ, რომ შესიტყვება შესაძლოა იყოს მიზეზი იმისა, რომ ათწლიანი სწავლის შემდეგ, როდესაც ინგლისურ ენას დაეუფლებიან ბოლო საფეხურზე, მაინც ვერ ახერხებენ ისაუბრონ თავისუფლად, როგორც მშობლიურ ენაზე მოსაუბრეები ახერხებენ ამას, რაც გადაიზრდება გაუგებრობაში. ეს განპირობებულია შესიტყვებებით (5). ზოგადად ეს სირთულეები ეფუძნება სხვადასხვა გარემოებებს, მაგალითად, შემსწავლელის მშობლიურ ენას, ასაკს, ხასიათსა და ა.შ. ფაქტობრივად, შესიტყვებები შესაძლოა განვიხილოთ როგორც მშობლიურ ენაზე მოსაუბრის ინტუიციური ცოდნა - თუ რომელი სიტყვები გვხვდება ურთიერთთან მიმართებაში და რომელი არა, შესაბამისად, არამშობლიურ ენაზე მოსაუბრეებს, კომუნიკაციური კომპეტენციის ნაკლებობის გამო, ამ კუთხით მთელი რიგი პრობლემები ხვდებათ. ინგლისური ენის ბევრ შემსწავლელს, ენის ბოლო საფეხურზეც კი, აქვს შესაბამისი ლექსიკური და გრამატიკული ცოდნა, თუმცა მათ მაინც არ შეუძლიათ შესიტყვებების სწორი გამოყენება.

ემპირიული კვლევებიდან გამომდინარე, არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რაც გავლენას ახდენს ინგლისური ენის შემსწავლელებზე სწორი შესიტყვების გამოყენების კუთხით. შესიტყვებებთან დაკავშირებული შეცდომები უმთავრესად განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: ტრანსფერი ანუ გადატანა (რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ინტერლინგუალურ ტრანსფერად და ინტრალინგუალურ ტრანსფერად), განზოგადება (რომელიც წარმოადგენს ინტრალინგუალური ტრანსფერის ქვეჯგუფს), პერიფრაზი და შესიტყვებების არასრული ცოდნა (1; 2; 4; 6; 7; 8; 9).

ტრანსფერი ანუ გადატანა მომდინარეობს ენებს შორის არსებული მსგავსებისა და განსხვავებებისგან. ეს განსაზღვრავს მოსაუბრის მშობლიური ენის ცოდნის გამოყენებას უცხო ენასთან მიმართებაში. არსებობს ორი ტიპის ტრანსფერი/გადატანა: პოზიტიური ტრანსფერი და ნეგატიური ტრანსფერი. პოზიტიური ტრანსფერის შემთხვევაში ერთ ენაში არსებული სტრუქტურა თანხვედრაშია მეორე ენაში მიღებულ ფრაზასთან და შედეგი მიღწეულია, ხოლო ნეგატიური სტრუქტურა გულისხმობს ამ თანხვედრის არარსებობას და, შესაბამისად, მესიჯი არასწორია (11).

ინტერლინგუალური ტრანსფერი გამოხატავს მშობლიური ენის ნეგატიურ გავლენას უცხო ენასთან მიმართებაში, რაც იმას გულისხმობს, რომ ენობრივი მომენტები და მახასიათებლები ხელს უშლის ახალი ენის მახასიათებლების დაუფლების პროცესში (3). “I am agree” წარმოადგენს თვალსაჩინო მაგალითს ქართულ ენასთან მიმართებაში.

ინტრალინგუალური ტრანსფერი გამოხატავს ერთეულების არასწორ გადატანას უცხო ენის შიგნით. ეს უკავშირდება ენის შესწავლის შეცდომებს, რაც არ უკავშირდე-

ბა მშობლიურ ენას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტრალინგუალური ტრანსფერი არის უცხო ენაში არსებული წესების არასწორი განზოგადება (3).

განზოგადება წარმოადგენს ინტრალინგუალური ტრანსფერის ქვეჯგუფს და გვხვდება მაშინ, როდესაც ინგლისური ენის შემსწავლელები ქმნიან დევიანტურ კონსტრუქციებს უცხო ენაში არსებულ სტრუქტურებზე დაყრდნობით (14). რაც იმას გულისხმობს, რომ ისინი ახდენენ დასწავლილი წესების განზოგადებას და აგებენ ახალ სტრუქტურებს არასწორი ფორმით. მაგალითად, ინგლისური ენის შემსწავლელებმა იციან, რომ წინადადებაში “She drives”, “s” ემატება მესამე პირთან მიმართებაში მხოლოდ რიცხვში. თუმცა ამ წესის განზოგადებას ახდენენ სხვა სტრუქტურებთან მიმართებაშიც, როგორცაა “She can drives”, რაც ინგლისურ ენაში გრამატიკულად არასწორია.

ბანსი და ელდოვი განმარტვენ, რომ მშობლიური ენის გადატანა არის უმნიშვნელოვანესი მიზეზი ინგლისური ენის შემსწავლელების მიერ შესიტყვებებთან დაკავშირებული შეცდომებისა (1; 2).

სიტყვის შემოტანა წარმოადგენს ერთგვარ პერიფრაზს ახალი სიტყვის კონტექსტში შემოტანისას. მაგალითად: “to see sun-down” ნაცვლად “to see the sunset” არის ამ ტიპის შეცდომა. ხოლო მიახლოებითი თარგმანი, რომელიც პერიფრაზის კიდევ ერთ სახეობას წარმოადგენს, გამოხატავს ისეთი ლექსიკური ერთეულების ან კონსტრუქციების არასწორ გამოყენებას, რომლებსაც გააჩნიათ სემანტიკური მახასიათებლები. მაგალითად: “middle exam” არის არასწორი შესიტყვება “midterm exam”-ის გამოსახატავად.

ნეგატიური ინტერლინგუალური ტრანსფერი ანუ გადატანა წარმოადგენს შესიტყვების პირდაპირი თარგმანით გამოწვეულ შეცდომას.

წესებით გამოხატული შეზღუდვების უგულვებელყოფა იწვევს არასწორი შესიტყვებების წარმოებას ინგლისური ენის შესწავლის პროცესში, როდესაც მოსაუბრე იყენებს ანალოგს და იმავდროულად არ ითვალისწინებს ენაში არსებულ წესებსა და შეზღუდვებს სტრუქტურებთან მიმართებაში. მაგალითად: “to make Tina embarrass” წარმოადგენს არასწორ ანალოგს გრამატიკული სტრუქტურისა ზმნა + ობიექტი + ინფინიტივი, რომელიც გამოიყენება “to make Tina embarrassed”-ის ნაცვლად.

სინონიმების გამოყენება არის კიდევ ერთი სტრატეგია. “Receive other people’s opinion” წარმოადგენს არასწორ შესიტყვებას, როდესაც ხდება სინონიმით ჩანაცვლება “accept other people’s opinion”.

არასწორი კონცეპტუალური ჰიპოთეზა გვხვდება, როდესაც ინგლისური ენის შემსწავლელები არაკონცეპტუალურად იყენებენ ისეთ ზმნებს, როგორებიცაა “do”, “make” და “take” და ახდენენ მათ ჩანაცვლებას სხვა ზმნებით, მაგალითად: “do plans” ნაცვლად “make plans”.

როდესაც ერთეულებს არ გააჩნიათ მკვეთრი კონტრასტი ინგლისური ენის შემსწავლელთათვის, ისინი მიმართავენ **განზოგადებას**. ეს გულისხმობს ერთი ფრაზის შექმნას ორი ფრაზის ნაცვლად მოსაუბრის მიერ. მაგალითად: “am used to something” “used to taking”-თან მიმართებაში გამოყენებულია არსწორი შესიტყვებით “am used to take” ნაცვლად “am used to taking”.

ლიუმ გამოჰყო შვიდი სტრატეგია, რომლებსაც ინგლისური ენის შემსწავლელები იყენებენ ლექსიკური შესიტყვებების შექმნის კუთხით წერის დროს (9).

ბიება გამოხატავს ენის შემსწავლელის უნარს მოიძიოს შესიტყვებები თავის მესსიერებაში. მეტწილად შემსწავლელებს არ ესმით ის გარემოება, რომ ენა შედგება არა სიტყვებისგან, არამედ ფრაზებისგან, შესაბამისად, ყურადღებას არ ამახვილებენ მათ მესსიერებაში არსებულ სიტყვათა კომბინაციებზე. კომუნიკაციის პროცესში სწორი შესიტყვების გამოყენების არარსებობა წარუმატებლობას განაპირობებს.

როდესაც ინგლისური ენის შემსწავლელი ვერ ახერხებენ შესიტყვებების გახსენებას, ისინი მიმართავენ სიტყვა-სიტყვით თარგმანს ერთი ენიდან მეორეზე. ამ სტრატეგიას ეწოდება **ლიტერატურული თარგმანი** და გამოიყენება მისაღები ან მიუღებელი შესიტყვებების შექმნის კუთხით.

კონცეპტის პერიფრაზს ერთი ენიდან მეორეზე ეწოდება **არაზუსტი თარგმანი**, როდესაც ინგლისური ენის შემსწავლელი იყენებს ინტუიციას თავად შექმნას შესიტყვება.

ინგლისური ენის შემსწავლელი დაუკვირვებლად იყენებენ **დელექსიკალიზებულ ზმნებს**, როგორებიცაა “do”, “make”, “take” და “keep” და ახდენენ ერთმანეთით მათ ჩანაცვლებას. არასრულფასოვანი ლინგვისტური ცოდნის გამო, ინგლისური ენის შემსწავლელი მიიჩნევენ, რომ დელექსიკალიზებული ზმნები წარმოადგენენ სიტყვებს, რომლებსაც კონტექსტს მიღმა არ გააჩნიათ ან ძალიან მცირე დოზით აქვთ მნიშვნელობა.

როდესაც ინგლისური ენის შემსწავლელს ხვდებათ ისეთი შესიტყვებები, რომელთა კონკრეტულებს ვერ ახერხებენ, მიმართავენ სინონიმების გამოყენებას, რათა გადაჭრან ლექსიკური პრობლემები. მეტწილად ისინი ქმნიან არასწორ კომბინაციებს სინონიმების შესახებ არასათანადო ინფორმაციიდან გამომდინარე.

გადამოწმებას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც ინგლისური ენის შემსწავლელი მიმართავენ ამ ენაზე, როგორც მშობლიურ ენაზე, მოსაუბრეს ან იყენებენ ლექსიკონს სწორი შესიტყვების მოსაძიებლად.

დახმარების თხოვნა, როდესაც ინგლისური ენის შემსწავლელი სხვა ადამიანს მიმართავენ დახმარებისთვის.

ლიტერატურა:

1. Bahns J. & Eldaw M., Should we teach EFL students collocations? System, 21 (1), 1993.
2. Bahns J. & Eldaw M., Lexical collocations: a contrastive view. ELT Journal 47, 1993.
3. Brown D., Principles of language learning and teaching. Englewood Cliffs: Prentice-Hall Regents, 1980.
4. Channel J., Applying semantic theory to vocabulary teaching. ELT Journal 35(2), 1981.
5. Dechert R. & Lennon S., Collocational blends of advanced second language learners. In S. Weigle (Ed.), Learning vocabulary for different purposes, 98-116. Oxford, UK: Pergamon Press, 1989.
6. Ellis R., Understanding second language acquisition, 47. Oxford: Oxford University Press, 1985.
7. Farghal M. & Obeidat H., Collocations: A neglected variable in EFL. IRAL, 33 (4), 1995.
8. Liu C. P., An analysis of collocational errors in EFL writings. The proceeding of the eighth International Symposium on English Teaching, 483-494. Taipei: The Crane Publishing Co. Ltd, 1999.
9. Liu C. P., A study of strategy use in producing lexical collocations. Selected papers from the tenth International Symposium on English Teaching, 2000. Taipei: Crane. Liu, C. P. An empirical

study of collocation teaching, Proceedings of the Seventeenth Conference on English Teaching and Learning in the Republic of China, 2000.

10. Namvar F., Analysis of collocations in the Iranian postgraduate students writings. The Southeast Asian Journal of English Language Studies, 18(1), 2012.

11. Oldin T., Language transfer: Cross-linguistic influence in language learning. Cambridge University Press, 1989.

12. Palmer H., Second interim report on English collocations. Tokyo: Department of Education, 1930.

13. Palmer H., Second interim report on English collocations. Tokyo, Kaitakusha, 1933.

14. Richards J. C., A non-contrastive approach to Error Analysis. English Language Teaching Journal, 25, 1971.

Nino Khuberashvili

Problems related to teaching collocations on the example of English language

Summary

Collocations are important in foreign language teaching as they provide fluent knowledge of the language, enriching mental lexicon and creating proper message. Due to the fact that collocations are a difficult phenomenon in language studies, but sufficient knowledge of collocations helps learners use the language appropriately and easily, it is really important to implement collocations in language teaching processes based on the mistakes in terms of language use. The analyses of mistakes that language learners face in proper use of collocations is a significant factor to be studied. Another important factor is considering cultural differences between native and foreign languages, as well as lexical and grammatical patterns in terms of collocation studies.

Нино Хуберашвили

К проблемам, связанным с использованием словосочетаний при изучении иностранных языков (на примере английского языка)

Резюме

Обучение словосочетаниям на уроках иностранного языка позволяет ученикам свободно овладеть языком, обогатить их ментальный лексический запас, правильно и эффективно использовать словосочетания в языке. Хотя словосочетания представляют сложный феномен языкознания, их изучение является необходимым для более эффективного и релевантного использования языка. Анализ ошибок, которых совершают ученики в процессе овладения словосочетаниями – важная проблема, которую стоит изучить. Другой важный фактор – рассмотрение культурного различия между родным и иностранными языками, а также изучение лексико-грамматических образцов при изучении словосочетаний.

Ирма Каранадзе
(Грузия)

ПСИХОЛИНГВИСТИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ ИЗУЧЕНИЯ РЕКЛАМНЫХ ТЕКСТОВ

Возросшее за последнее время значение текстов массовой коммуникации привлекает все большее число исследователей. По мнению Ю. В. Рождественского, «обращение к текстам возникло не случайно». XX век, особенно его вторая половина, характеризуется существенным прогрессом в языке. Этот прогресс выразился, во-первых, в том, что сложились средства массовой информации и информатика – новые виды языковой деятельности или новые виды словесности, рожденные научно – техническим прогрессом; во-вторых, в том, что с помощью этих новых видов словесности стали складываться и новые языковые отношения людей (9, 6).

В сфере массовой коммуникации, роль которого постоянно возрастает как основного средства общения, передачи информации и воздействия на широкую аудиторию, наиболее полно и ярко проявляются некоторые тенденции развития литературного языка в целом. Как справедливо отмечает В. В. Одинцов, «именно здесь в настоящее время происходят основные процессы изменения и развития литературного языка» (8, 4). А по мнению Н. И. Конрада «в сфере языка массовой коммуникации несомненно формируются новые черты языковой системы» (4).

Массовая коммуникация – это регулярное и целенаправленное информирование населения, и ее специфика как разновидности общения в том, что она в большинстве случаев представляет собой односторонний речевой акт. Коммуникатор имеет дело с большой группой людей, которых он не знает. Занимающийся массовой коммуникацией не владеет процессом коммуникации, в котором происходит восприятие его обращения. Отсутствие обратной связи мешает ему установить положительно ли воспринимается его сообщение, чтобы внести изменения в процесс общения, как например, при личной коммуникации.

Специфичность канала массовой коммуникации диктует необходимость особого подхода к его коммуникативной разновидности – рекламному тексту, который уже объявляют самостоятельным каналом массовой коммуникации наравне с телевидением, радио, прессой и т.д., и специфика которого связана с весьма своеобразным распространением информации.

Бурное развитие научно-технического прогресса немислимо без систематического использования различных средств массовой информации. На одно из первых мест в настоящее время выдвигается создание развитой торгово-экономической информации, главным образом, рекламной. Реклама и выступает как одно из оперативных средств распространения технической, экономической, технологической, эстетической и различного рода другой информации, поэтому, наверное, ученые, изучающие рекламу, одного из актуальнейших феноменов современности, применяют к ней такое определение, как «метод социальной информации».

Современный этап развития науки характеризуется появлением новых дисциплин, занимающихся проблемами передачи, обращения и восприятия информации. Возникают новые разделы в психологии: психология телевидения, психология печатного текста, психология рекламы и другие.

Определяя рекламу, как одно из наиболее распространенных средств массовой информации, И. Гриллихес сообщаемую рекламным текстом информацию подразделяет на три вида: смысловую или объективную, эстетическую или экспрессивную, и прескриптивную, и считает, что в основе создания рекламных текстов будут лежать факторы, обеспечивающие передачу перечисленных трех видов (3). Л. Рыбакова наряду с этими видами информации в рекламном тексте выделяет мотивационную информацию, отмечая, что любая деятельность человека побуждается мотивом, понимаемым как предмет потребности (10).

На протяжении всей книги «Реклама: теория и практика» авторы книг Ч. Сендидж, Ф. Фрайбургер, Р. Ротцолл для обозначения рекламного воздействия используют понятие «увещевание», а саму рекламу называют «увещевательной коммуникацией». Если вспомнить, что «увещевать» означает «уговаривать, склонять к чему – либо, убеждая, советуя», то не трудно будет отличить рекламное сообщение от информационных, так как увещевание предполагает целенаправленную активность коммуникатора, а информационное сообщение, как отмечается в книге, простое оповещение (11).

Весьма интересной и доказательной является мысль Д. З. Гоциридзе по этому вопросу: «Уже само указание на то, что реклама – «метод социальной информации» сближает ее с таким явлением, как объявление. Сопоставляя их, можно сказать, что объявления в известной степени могут обладать рекламным характером, а реклама, в свою очередь, обладает информативностью. Их различие касается лишь доминирующей функции в этой иерархии» (2, 118). Далее исследователь указывает на существенную деталь: «интересно, что попадая в сферу массовой коммуникации объявление должно было приобрести конкурирующую способность, чтобы привлечь к себе внимание, интерес и. т. д. Поэтому в настоящее время наблюдается стирание граней между рекламным текстом и объявлением, которое приобретает черты первого» (2).

М. Гвенцадзе в своей работе «Коммуникативная лингвистика и типология текста», сравнивая текст заметки и рекламного объявления, пишет: «Информационная заметка как констативный прагматический тип характеризуется еще одной особенностью: «поверхностное» оформление текста соответствует его «глубинному» коммуникативно – интенциональному содержанию. Именно этой особенностью текст заметки отличается от текста объявления рекламного характера, формальная структура которого нередко строится по правилам текста – констатива, интенциональное же содержание подразумевает побуждение к действию» (1, 160).

Как отмечает автор, оба текста – текст заметки и текст рекламного сообщения – однотипны с точки зрения формальной структуры и разнотипны с точки зрения «коммуникативно – интенционального содержания (первый – утверждение, второй – скрытое побуждение) ибо специфика и неповторимость любого текста любого текста обусловлены прежде всего внутренним своеобразием коммуникативных единиц и их сочетаемости. Но эта отличительная черта обусловлена не только конкретными лексико – синтаксическими наполнениями ориентированных единиц, но и закономерностями их построения, то есть своеобразием той логической формы мысли, которая лежит в их основе» (1).

А. А. Леонтьев в работе «Психолингвистическая проблематика массовой коммуникации» говорит об умении «построить и осуществить речь таким образом, чтобы она была оптимальной с данной точки зрения, то есть наилучшим образом приспособленной к задаче информирования, убеждения, наконец, внушения» (7, 8) Рекламный текст представляет

собой особую форму речевой (и неречевой) деятельности, в которой осуществляется побуждение к совершению определенного действия.

Реклама с лингвистической точки зрения представляет собой особую сферу деятельности, продуктом которой является рекламный текст, который в своей совокупности характеризуется:

1. определенными признаками содержания и внешнего оформления, позволяющими отличить его от других (нерекламных) текстов;
2. определенными функциональными признаками;
3. определенным местом, которое он занимает в общей совокупности текстов, созданных и создаваемых на некотором языке.

Итак, рекламная коммуникация представляет собой:

- по участникам коммуникации - общественную, то есть коммуникацию, направленную на массовую аудиторию;
- по характеру отношения между участниками - одностороннюю;
- по функциям сообщения - воздействующую (побуждающую).

Эти особенности рекламной коммуникации, а также прагматическая направленность рекламного сообщения (рекламная коммуникация целенаправленная коммуникация) определяют распределение информации в тексте.

Ч. Сэндидж, Ф. Фрайбургер, Р. Ротцолл в книге «Реклама: теория и практика» рассматривая рекламу как «форму коммуникации, которая пытается перевести качества товаров и услуг, а также идей на язык нужд и запросов потребителей» (11,54), называют ряд важных признаков рекламы, отличающих ее от других средств коммуникации.

Во-первых, рекламе присуща повторяемость. Мы не только снова и снова видим рекламу одного и того же рекламодателя, но и многократно встречаем одно и то же объявление.

Во-вторых, мы воспринимаем рекламу в остроконкурентном окружении. Одни рекламодатели призывают тратить, другие экономить, одни - курить, другие - бросить курить. И конечно же большинство из них хочет, чтобы мы что-то предприняли в отношении конкретного товара или услуги.

И в-третьих, реклама воспринимается как часть нашей повседневной общедоступной культуры. Много, о чем рассказывают рекламные объявления, мы принимаем «как должное», хотя во многих других видах коммуникации это показалось бы странным чудачеством.

Тот факт, что составитель рекламного текста должен обязательно достигнуть цели и то, что в рекламной деятельности отсутствуют средства обратной связи, позволяющие контролировать эффективность речевых действий, говорит о необычности рекламы как текста. Поэтому считается необходимым рассказать об условиях (факторах) успешной реализации коммуникативных интенций в области рекламной коммуникации.

Рекламная деятельность - сложная и многоаспектная деятельность, которая предполагает предварительное изучение неречевой рекламной деятельности, где образуется рекламный текст.

Целеустановка и сам характер рекламного текста оказывается обусловленным рядом социальных, экономических, психологических, идеологических и других факторов. В рекламировании принято считать, что эффективный рекламный текст может быть создан только в

том случае, если создатели текста будут иметь в своем распоряжении наиболее существенные сведения о рекламируемом товаре, о потенциальных потребителях и о целях рекламирования. На основании собранных сведений принимается решение о наиболее целесообразном способе рекламирования и создается соответствующий текст.

Практика показывает, что без текстового сопровождения ни демонстрация изделия, ни распространение фотографии не раскрывают до конца заложенные в них возможности, тогда как текст может успешно выполнять функцию рекламы даже без предъявления того, что рекламируется, то есть его невербального образа.

Создание эффективных рекламных текстов немыслимо без опоры на психологию. По мнению Клауса Бринкера, при составлении рекламного текста следует исходить из интенции высказывания отправителя текста и ожиданий со стороны получателя. Поэтому он считает необходимым сотрудничество между лингвистикой и психологическими дисциплинами (12).

В становлении специфики рекламной речи значительную роль играет эмотивный фактор, так как стремясь внушить определенную мысль, субъект речевого воздействия апеллирует прежде всего к эмоциям, чувствам. Как отмечает Ю. Рождественский, именно «эмоциональная сила текста является прямой формой побуждения» (9,161)

Как отмечает Кохтев (5) рекламный образ- это открытие потребителем каких – то новых сторон рекламируемого объекта, преломленных сквозь сознание составителя текста, окрашенных его отношением к этому объекту. Создаваемые рекламные образы затрагивают не только сферу сознания человека, но и сферу бессознательного и собственно эмоции. Действительно референтом рекламного текста является не сам предмет, а его образ, имидж. Как отмечает Л. Лебедева, наиболее характерно для рекламной речи употребление оценочных клише в группе прилагательных и наречий: новый, надежный, простой, экономный, легко, быстро, удобно и т.п. (6,15)

Итак, рекламный текст психологически организован. С одной стороны он характеризуется предметным мотивом, целенаправленностью, эвристическим характером, с другой – состоит из нескольких последовательных фаз: ориентировка, планирование, реализация плана. Реклама предназначена по воздействию не только на какую-то определенную аудиторию, а на широкие массы, на всю планету, поэтому рекламный текст является средством межструктурных связей. Рекламный текст представляет собой особый тип текста, специфика которого определяется особенностью его бытования, в первую очередь потребительского восприятия. Рекламный текст составляется на основе предположения о восприятии адресатом.

Реклама может быть активным помощником в борьбе за чистоту языка. Иностранные названия товаров часто дезинформируют потребителей, многие не могут правильно произнести трудные названия и часто не спрашивают о наличии этих товаров, чтобы не показаться смешными. Труднопроизносимое название может явиться причиной невысокого спроса на товар. самое первое требование к рекламному тексту - максимум информации при минимуме слов.

Основные свойства, которыми характеризуется в структурном плане рекламный текст, сводятся к следующему:

1. Прежде всего он должен быть конкретным, целенаправленным. Основная, главная мысль может быть выражена в форме рекламного лозунга. Все остальные рекламные сведения выражаются изобразительными средствами, броскими и яркими

2. Синтаксис рекламного текста неоднороден. Его неоднородность функционально обусловлена. В рекламе преобладают простые предложения, что связано с динамичностью, экспрессивностью рекламного текста, а также с влиянием разговорной речи. Рекламному тексту свойственно употребление восклицательных предложений, которые играют роль своеобразных сигналов, призывов к действию.

Для современной лингвистики все большее значение приобретает исследование процессов языковой коммуникации в наиболее значимых сферах нашего общества, в частности, в сфере бизнес-деятельности, не нашедшее глубокого однозначного толкования, поэтому нельзя считать удивительным то внимание, которое было уделено лингвистами рекламному тексту в последнее время.

Выявление специфических коммуникативных характеристик телерекламы и ее функционирования, которое допускает ряд вариантов телерекламы, открывает перспективу решения проблемы воздействия рекламы на адресата, обнаруживает те свойства, которые составляют ее лицо. Это особенно важно в настоящее время, когда так возросла роль средств массовой информации.

Телевизионная реклама ориентирована на массовую неоднородную аудиторию, тогда как компьютерная реклама пытается действовать через индивида. Каждый потребитель компьютерной рекламы психологически считает именно себя адресатом этой рекламы. В сущности и рекламные и политические лозунги имеют одну и ту же цель воздействовать на целевую аудиторию. Различие же составляет лишь содержание указанных лозунгов, ориентированных на покупателя с одной стороны – и на потенциального сторонника, - с другой стороны. Эффективность рекламы зависит от степени эмоционального воздействия рекламного текста.

В заключении можно сказать, что в последнее время наметился новый и перспективный подход к определению основных признаков каждого типа текста, то есть выделение закрепленных за определенным типом текста индивидуальных характеристик. Каждый текст представляет собой с лингвистической точки зрения самостоятельную по отношению ко всем другим текстам и отличающуюся от них структуру, специфика которой обуславливается влиянием для каждого текста комбинацией, действовавших при его порождении вне - и внутриязыковых факторов. С одной стороны, задача и условия сообщения, содержания текста, его жанр, объем, а с другой – соотношение и распределение языковых (неязыковых) средств.

Литература:

1. Гвенцадзе М. Л. Коммуникативная лингвистика и типология текстов. Тб., 1986.
2. Гоциридзе Д. З. Принципы типологической интерпретации фразовых текстов. Тб., 1988
3. Грилихес И. Прагматические и лексико-синтаксические особенности рекламных текстов. Дисс. канд. фил. наук. Киев, 1978.
4. Конрад Н. И. Предисловие к большому японско-русскому словарю. М., 1973.
5. Кохтев Н. Н. Ассоциации в рекламе. Русская речь, №3, 1991.
6. Лебедева Л. В. Особенности функционирования языка в печатной рекламе. Автореферат дисс. канд. фил. наук. М., 1981.
7. Леонтьев А. А. Психолингвистическая проблематика массовой коммуникации. В кн.: Психолингвистические проблемы массовой коммуникации. М., 1974.

8. Одинцов В. В. Стилистика текста. М., 1980.
9. Рождественский Ю. В. Введение в общую филологию. М., 1979.
10. Рыбакова Л. В., Способы оформления мотивационной информации в письменном общении. В кн: Актуальные проблемы прагмалингвистики. Воронеж, 1996.
11. Сэндидж Ч., Фрайбургер Т., Ротцолл Р. Реклама: теория и практика, М., 1983.
12. Brinker K., Aufgaben und methodendextextlingustik. Yn: WirkendezWort. Duseldorf, 1971.

ირმა კარანაძე
სარეკლამო ტექსტების შესწავლის ფსიქოლინგვისტური პრობლემები
რეზიუმე

ნაშრომში განსაზღვრულია თანამედროვე პირობებში სარეკლამო ტექსტის მზარდი როლი. სარეკლამო ტექსტი წარმოადგენს განსაკუთრებული ტიპის ტექსტს, რომელიც განისაზღვრება მომხმარებლის აღქმიდან გამომდინარე. სატელევიზიო რეკლამა ორიენტირებულია არაერთგვაროვან მასობრივ აუდიტორიაზე, ხოლო რეკლამის ეფექტურობა დამოკიდებულია მისი ემოციური ზეგავლენის ხარისხზე.

Irma Karanadze
Psycholinguistic problems of studying advertising texts
Summary

The paper describes the growing role of advertising text in modern age. Advertising text is a special type of text that is defined based on user perception. Television advertising is aimed at multidisciplinary mass audience. The effectiveness of advertising depends on the quality of its emotional impact.

ეკატერინე ახვლედიანი
(საქართველო)

რელიგიასთან დაკავშირებული ლემსიკის თარგმნის თაზისეზუმბუბო
(ორჰან ფამუქის რომანების ქართული თარგმანების მიხედვით)

რეციპიენტი ენისათვის უცხო ლექსიკის გადმოცემის პრობლემა თარგმანმცოდნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია და სათარგმნი მასალის რელიგიურ-ნაციონალურ-კულტურულ სპეციფიკასთანაა დაკავშირებული.

რელიგიური ლექსიკის თარგმანი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგანაც, ერთი მხრივ, უნდა მოხდეს ორიგინალი ენის ლექსიკის დაცვა და ამასთან, უნდა მაქსიმალურად შენარჩუნდეს ის ემოცია და მუხტი, რაც მწერალს აქვს ჩადებული. თარგმანის თეორიასთან დაკავშირებულ ლიტერატურაში ბოლო დროს იშვიათად იხმარება სიტყვა „ზუსტი“. მისი ჩანაცვლება მოხდა „ადეკვატურით“, რაც ა. ვ. ფიოდოროვის აზრით, თარგმანში ნიშნავს: 1) დედანთან ფუნქციური კავშირის არსებობას, 2) სათარგმნი საშუალებების სწორად არჩევას.

ა. ა. სმირნოვის სტატიაში „თარგმანი“ ასეთ ფორმულირებას ვხვდებით: „ადეკვატურად ჩვენ უნდა მივიჩნიოთ ისეთი თარგმანი, სადაც გადმოცემულია ავტორის ყველა ზრახვა, მათ შორის მკითხველზე იდეურ-ემოციური და მხატვრული გავლენა. შესაძლებლობისდაგვარად შენარჩუნებულია ავტორის მიერ შექმნილი ხასიათი, კოლორიტი, რიტმი და ა.შ. ამასთან, ეს უნდა იყოს განხილული არა როგორც მიზანი, არამედ ზოგადი ეფექტის მიღწევის საშუალება“ (4, 527).

ორჰან ფამუქი რომელიმე ქრისტიანული ქვეყნის ამბებს რომ გეიყვებოდეს, თარგმანში ეს პრობლემა არ დადგებოდა, მაგრამ რაკილა მწერალის შემოქმედების ეპიცენტრი სტამბოლი და თურქეთია, ამიტომ მისი პერსონაჟებიც მუსლიმები არიან და, შესაბამისად, ხშირად გვხვდება ისლამთან დაკავშირებული ლექსიკა. ამ კონტექსტში გამოვყოფ სიტყვა Allah-სა და მასთან დაკავშირებული გამოთქმების თარგმანს, რომელიც მის ყველა ნაწარმოებშია.

თურქულ ენაში არის სიტყვები Allah და Tanrı. ორივე მათგანი ღმერთს ნიშნავს. თეოლოგები დღემდე კამათობენ იმ საკითხზე, თუ რა შემთხვევაში უნდა იხმარონ Allah და როდის – Tanrı. მათი მოსაზრებით, Tanrı-ის ხმარება ისლამს ეწინააღმდეგება, რამეთუ ის არის ქრისტიანების ღმერთი.

მოკლედ შევეხები სიტყვა *ალაჰის* არსს ყურანში. ალაჰი, მუჰამედის სწავლებით, სამყაროში, დროსა და სივრცეში, კაცობრიობის ისტორიაში მთავარი და ერთადერთი „მოქმედი პირია“, რადგან ყველას და ყველაფერს იგი მართავს. ადამიანის ერთადერთი მოვალეობა და ვალდებულება ალაჰის რწმენა და მორჩილებაა. თვით „ალაჰი“ ყურანის ტექსტში 2697-ჯერაა ნახსენები. არაბულად „ალაჰი“ ნიშნავს არა „ღმერთს“, არამედ „ალაჰი“ არის „ის ღმერთი“ (ანუ კონკრეტული ღმერთი).

ამ ლოგიკით, ჭეშმარიტმა მაჰმადიანმა ყოველთვის ალაჰი (Allah) უნდა თქვას. ამ პოზიციას ისიც უმაგრებს ზურგს, რომ ყურანში მხოლოდ იმ ადგილებში იხმარება Tanrı (ღმერთი), სადაც ისლამის წინა პერიოდზე ან ბიბლიაზეა საუბარი. ისლამის მი-

ღების შემდგომი პერიოდიდან არაბები და ყველა მაჰმადიანი ღმერთს ალაჰად მოიხსენიებს.

ქართულ ენაში დამკვიდრებული ტრადიციით, Allah ითარგმნება როგორც ალაჰი და ღმერთი.

როგორც რომან „უმანკოების მუზეუმი“, ასევე რომანში „ჩემი უცნაური ფიქრები“, Allah ნათარგმნია ალაჰდაც და ღმერთადაც:

„დიდება ალაჰს, დიდება ალაჰს“, ჩაიბუტბუტა ყასაბმა (2, 57).

“Allahüekber, allahüekber”, dedi kasap (5, 42).

„მაღალი ღმერთი საწყალ გამყიდველს წყალობას არ მოაკლებს“ (3, 43).

“Cenab-ı Allah gariban bozaciya yardım eder” (6, 33).

„- მორწმუნე ხარ?

- დიახ, ღმერთის შიში მაქვს“ (3, 46).

“Sen dindar mısın?..” “Evet, ben Allah’tan korkarım” (6, 35).

- ყოველისშემძლე ალაჰო, დალოცე ეს ქორწინება! - თქვა ცერემონიის დასრულებისას ჯართის გამყიდველმა (3, 257).

“Allahım! Bu evliliği mübarek eyle!” dedi hurdacı töreni bitirirken (6, 183).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის ცნობილია, რომ ალაჰი არის „ის“ კონკრეტული ღმერთი, თარგმანში ყოველთვის ყურანისა თუ თარგმნელობითი თეორიის დაცვა და ალაჰის დაწერა ვერ ხერხდება. თუ რა შემთხვევაში უნდა ვთარგმნოთ “Allah” - ალაჰად და როდის ღმერთად, ამის კანონზომიერების დადგენა რთულია. მთარგმნელი თავად იღებს გადაწყვეტილებას ნაწარმოების კონკრეტული პასაჟის, პერსონაჟის მეტყველების სტილისა და ემოციის გათვალისწინებით.

ორჰან ფაშუქის თითქმის ყველა რომანში აღწერილია ისლამის უდიდესი დღესასწაული - „ქურბან ბაირამი“ (მსხვერპლშეწირვის დღესასწაული).

მსხვერპლშეწირვის დღესასწაულის (იიდ-ალ ადჰას) აღნიშვნის ტრადიცია დასაბამს ცნობილ ბიბლიურ სიუჟეტში იღებს, რომელიც აბრაამის მიერ მისი შვილის, ისააკის მსხვერპლად შეწირვის მცდელობაზე მოგვითხრობს. თუმცა პირველპატიარქ აბრაამის ნაცვლად, ყურანი წინასწარმეტყველ იბრაჰიმს იხსენიებს. მას სამსხვერპლოზე უფროსი შვილი, ისმაილი მიჰყავს და არა ისააკი, რომელიც ყურანის მიხედვით, იბრაჰიმის მეორე შვილია. მუსლიმთა წმინდა წიგნი გვიამბობს, რომ იბრაჰიმს ძილში ანგელოზი ჯაბრაილი (გაბრიელი) მოევლინა და ალაჰის სურვილი გადასცა. მას უზენაესისთვის საკუთარი პირმშო უნდა შეეწირა. იბრაჰიმი დამორჩილდა ღვთის ნებას, გაემართა იმ ადგილისკენ, სადაც დღეს მექა დგას და რიტუალის აღსასრულებლად სამზადისს შეუდგა. როდესაც ალაჰმა დაინახა, რომ იბრაჰიმი მზად იყო მსხვერპლად გაეღო ერთადერთი შვილი, კრავი მოავლინა და ისმაილის ნაცვლად სწორედ მისი შეწირვა მოსთხოვა წინასწარმეტყველს – ნიშნად იმისა, რომ იბრაჰიმმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა. ამ დღესასწაულს აღნიშნავენ მაჰმადიანი ქართველებიც.

რომანში „უმანკოების მუზეუმი“ ცალკე თავი ეძღვნება ამ დღესასწაულს. მე-11 თავს Kurban Bayramı ეწოდება, წესით უნდა თარგმნილიყო მსხვერპლშეწირვის დღესასწაულად, მაგრამ ის ტრანკრიფციით „ქურბან ბაირამად“ გადმოვიდა.

„1969 წლის 27 თებერვალი „ყურბან ბაირამის“ პირველი დღე იყო. ტრადიციისამებრ ჩვენს ნიშანთაშის სახლში ბაირამის აღსანიშნავად დილიდან ველოდებოდით სტუმრად ახლო და შორეულ ნათესავებს, რომლებიც ჰალსტუხებითა და კოსტიუმებით მოდიოდნენ ჩვენთან სადილზე“ (2, 55).

“27 Şubat 1969, Kurban Bayramı'nın ilk günüydü. Bizim Nişantaşı'ndaki evde bayram sabahlarında hep olduğu gibi, yakın ve uzak akrabalarından şık giyimli, kravatlı, ceketli, neşeli bir kalabalık öğle yemeğini bekliyordu” (5, 40).

რომანში „ჩემი უცნაირი ფიქრები“, იმის გათვალისწინებით, რომ ამ დღესასწაულს მაჰმადიანი ქართველები ყურბან ბაირამს უწოდებენ, ანუ ქართულში აქვს ისტორიულად დადგენილი შესატყვისი, გადმოვიდა, შესაბამისად, ყურბან ბაირამად, რაც მიმაჩნია, რომ უფრო სწორია.

„1974 წლის დასაწყისში ყურბან ბაირამის დილას, დუთთეფეს მეჩეთი ოფიციალურად გაიხსნა“ (3, 128).

“1974 başında Kurban Bayramı sabahı Duttepe Camii'nin bir çeşit resmi açılışı yapıldı” (6, 94).

რომანში „ჩემი უცნაური ფიქრები“ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლის - მეველუდის ცხოვრებაა აღწერილი და დატვირთულია რელიგიური ხასიათის ლექსიკით (ჰაჯი/ჰაჯად წასვლა, ნამაზი, ეზანი, იფთარი და ა.შ.), რაც თითქმის არ გვხვება „უმანკოების მუზეუმში“, სადაც მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლების ცხოვრებაა ასახული.

რომან „ჩემი უცნაური ფიქრების“ ერთ-ერთი პერსონაჟია ჰაჯი ჰამით ვურალი. მესამე ნაწილის მერვე თავში ჰაჯი ჰამით ვურალი თავის ამბავს მოგვითხრობს:

„ჰაჯად (მოსალოცად) პირველად რომ წავედი, ალაჰისა და მოციქულის სახელზე ვილოცე და მეჩეთის აშენებაც მაშინ გადავწყვიტე“ (3, 131).

“Hacca ilk gidişimde hem Allahıma, Hazreti Peygamber'e dua ettim hem de cami inşasını düşündüm“ (6, 131).

ჰაჯი („ალ-ჰაჯჯ“) გულისხმობს პილიგრიმობას მექაში, ქააბას, მუსლიმთა მთავარი სიწმინდის მოლოცვას, რაც წელიწადში ერთხელ, განსაზღვრულ დროს, მკაცრად დადგენილი წესის დაცვით ხორციელდება. ეს წესი მუჰამედმა 632 წელს დაადგინა. სამშობლოში დაბრუნებული პილიგრიმი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს – ჰაჯის საპატიო წოდებას ატარებს. ამ მიზეზის გამო ჰქვია ნაწარმოების ერთ-ერთ პერსონაჟს ჰამით ვურალს ჰაჯი ჰამით ვურალი.

თარგმანში ჰაჯის გვერდით ფრჩხილებში სიტყვა „მოსალოცად“ დაიწერა, რათა ქართველი მკითხველისათვის გასაგები ყოფილიყო ჰაჯობის არსი.

Ramazan - რამაზანი/რამაზანის თვე და მარხვა. ყურანში წერია: „ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, წერილ არს თქვენთვის მარხვა ისევე, როგორც წერილი იყო მათთვისაც, ვინც ცხოვრობდა თქვენზე უწინ, რომ ეგების ღვთისმშობლის ყოფილიყავით... რამადანის თვეა, როცა ზეგარდმოვედინა ყურანი ჭეშმარიტ გზად ხალხისათვის, ცხად მტკიცებად ჭეშმარიტი გზისა და განსხვავებისა. და იმ თქვენგანმა, ვინც დაესწრება ამ თვეს, იმარხულოს, ხოლო ვინც იქნება ავად, ან სამოგზაუროდ, მან იმარხულოს იმდენივე (დღეს) სხვა დროს. სურს ალაჰს თქვენი მოსვენება და არა სურს თქვენი გაწვადება. მაშ, გაასრულეთ (განსაზღვრული) რაოდენობა (დღეებისა) და განადიდეთ ალაჰი

იმისათვის, რომ ჭეშმარიტი გზით მიჰყავხართ, რათა ეგების მაღლი შესწიროთ... ჭამეთ და სვით, ვიდრე ცხადად შეგეძლებათ გაარჩიოთ განთიადის შავი ძაფი თეთრი ძაფისგან“ (2:179.181.183).

ლამით, მარხვის თვეს, მუსლიმი ერთხელ ვახშობს, რომელსაც ხსნილის ვახშამი „იფთარი“ ეწოდება და ერთხელაც საუზმობს („საჰურ“) მზის ამოსვლამდე, ალიონზე. მარხვის მიზანია აჩვენოს, რომ მორწმუნე მაჰმადიანი ღვთისმოსავია, ზომიერია, თავდაჭერილია, სწორად ესმის თანაფარდობა მატერიალურსა და სულიერ სიკეთეებს შორის. გავრცელებული წარმოდგენით, მარხვა რამაზანის თვეში წლის მანძილზე ჩადენილი ცოდვების მონანიების საუკეთესო საშუალებაა. მარხვის აუცილებლობის უარმყოფელი ურწმუნოდ მიიჩნევა.

რომანში „ჩემი უცნაური ფიქრები“ გვხვდება რამაზანიცა და იფთარიც. Ramazan ითარგმნება რამაზანადაც და რამადანადაც. ორივე სიტყვას საფუძვლად უდევს არაბული სიტყვა, რომლის არაბული დაწერილობაც ორივე მათგანს ჰგავს, ამიტომ ზოგ მაჰმადიანურ ქვეყანაში ამ მნიშვნელოვან დღესასწაულს უწოდებენ რამადანს, ზოგანაც - რამაზანს. იმის გათვალისწინებით, რომ თურქულ ენაში შესულია რამაზანად, ქართულ ენაშიც ის ტრანსკრიფციით რამაზანად გადმოვიდა.

„რამაზანის მარხვას მეველუდი დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ინახავს, მე კი 10 წლის ასაკიდან“ (3, 260).

“Mevlut, ilkokulu bitiridiği yıldan beri, ben ise on yaşımdan beri her Ramazan oruç tutuyoruz“ (6,185).

„ჰაზირი რამაზანზე სოფელში გაემგზავრა, სივასის მახლობლად და თავისი სამბორბლიანი ურიკა, გრძელტარიანი კოვზები და ხის კასრი მეველუდს დაუტოვა“ (3, 261).

“Mevlut üç tekerlekli dondurmacı arabasını, uzun saplı kaşıkları, tahta fıçısı Ramazan'da Sivas'a köyüne dönen Hızır'dan almıştı” (6, 186).

„გარდა ამისა ბევრი ითხოვდა ოფისის დაჯავშნას „ინის ღამისთვის“, ნიშნობის ცერემონიისთვის (ქორწილისთვის ის პატარა იყო), მანტით გამასპინძლებისა და იფთარისათვის – ხსნილის ვახშმისათვის რამაზანის თვეში“ (3, 593).

“Lokali kına geceleri, küçük nişanlar (düğün için çok küçüktü), mantı geceleri, iftar gibi faaliyetlerde kullanmak için gün, saat isteyenler artmıştı” (6, 418).

როგორც ზემოთ მოცემული მაგალითიდან ჩანს, ამ კონკრეტულ პასაჟში იფთარი თარგმნილია ტრანსკრიფციით, თუმცა იქვე მთარგმნელს ახსნილი აქვს იფთარის მნიშვნელობა.

რომანში „ჩემი უცნაური ფიქრები“ ხშირად არის ნახსენები ნამაზი და ეზანი. მუსლიმისთვის ღოცვა – არაბულად: „სალათი“, სპარსულად და თურქულად: „ნამაზი“ – ესაა მკაცრად განსაზღვრული ციკლი სალოცავი პოზებისა და მოძრაობებისა, რომლებიც ერთიმეორეს მისდევს და რომლებსაც ახლავს კონკრეტული ღოცვითი ფორმულები არაბულ ენაზე (თუნდაც მლოცველს არ ესმოდეს მათი შინაარსი). ღოცვა დღის განსაზღვრულ დროს აღესრულება, სასურველია, მეჩეთში. ალაჰის მორწმუნემ ყოველდღიურად ხუთი ასეთი აუცილებელი ციკლი უნდა შეასრულოს.

ხუთჯერადი ღოცვა მუსლიმის ცხოვრებაში უდიდეს როლს ასრულებს – განამტკიცებს მის რელიგიურ თვითშეგნებასა და შინაგან დისციპლინას, მის ცხოვრებას სრულიად გარკვეულ რიტმს ანიჭებს. ნამაზის შესრულება მაჰმადიანის პიროვნული

მოვალეობა, ანუ მისი სინდისის საქმეა, – ამას არავინ უკონტროლებს. იმისდა მიხედვით, ასრულებს თუ არა ამ მოვალეობას, მუსლიმს შეუძლია განსაზღვროს, სწამს ალასის თუ არ სწამს.

ეზანი ნამაზის საათებში იკითხება და მისი მიზანია, რომ ხალხს ღოცვის დროის დადგომა ამცნოს. თარგმანში ნამაზი თითქმის ყველაგან ტრანსკრიფციით „ნამაზად“ არის გადმოცემული, ეზანი კი - „ეზანად“.

„ორ საათში მეჩეთ „ფირუზალაში“ ნამაზის შემდეგ მეჩეთის ეზოში მამიდა ნასიბეს უსამძიმრებდნენ, მათ შორის იყვნენ ქალებიც, თუმცა ბევრი ხალხი არ მოსულა“ (2, 601).

“İki saat sonra Firuzâğa Camii'nde kılınan namazın ardından cami önünde Nesibe Halaya sarılıp kucaklayanlar arasında kadınlar vardı, ama kalabalık değildiler” (5, 495).

მაგრამ გვხვდება გამონაკლისიც, სადაც იდიომატურმა გამოთქმამ ნამაზის ღოცვად, ხოლო ეზანის – მოლას ძახილად თარგმნა უფრო მოიხდინა.

„ვისაც ღოცვა არ ახსოვს, ის მოლას ძახილსაც ვერ გაიგებსო-თქვა მოძღვარმა“ (3, 552).

“Namazda gözü olmayanın ezanında kulağı olmaz dedi” (6, 390).

შევეცადე ნაწილობრივ გადმომეცა რელიგიასთან დაკავშირებული ლექსიკის თარგმანის პრობლემატიკა და მთარგმნელობითი გადაწყვეტილებები. ამის საფუძველზე ჩამოვყალიბე შემდეგი მოსაზრება: სათარგმნი მასალის ეროვნულ-კულტურულ-რელიგიური სპეციფიკა თავს იჩენს კულტურათაშორისი ურთიერთობის პროცესში, რომლის ერთ-ერთ ნაირსახეობას მხატვრული კომუნიკაცია წარმოადგენს. ეს უკანასკნელი, ისევე როგორც განსხვავებული რელიგიისა და კულტურის წარმომადგენელთა ურთიერთობის პროცესი, პრაქტიკული ამოცანის წინაშე გვაყენებს: მკითხველამდე რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგით მივიტანოთ რეციპიენტი კულტურისათვის ნაკლებად ცნობილი მცნებები და შევინარჩნოთ ორიგინალში არსებული სტილისტური ნიუანსები.

ცნობილი მთარგმნელი ა. ანდერსი წერდა: „თარგმანის ხელოვნებაში, ისევე როგორც ხელოვნების სხვა სახეობებში, არ შეიძლება არსებობდეს მზა ეტალონები და ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული წესები და გადაწყვეტილებები“. გამომდინარე აქედან, თითოეული მთარგმნელი, თავისი გემოვნებისა და შეხედულებისამებრ იღებს გადაწყვეტილებას სპეციფიური ლექსიკის თარგმანთან დაკავშირებით.

ლიტერატურა:

1. ფანჯიკიძე დ., თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თბ., 1988.
2. ფამუქი ო., უმანკობის მუზეუმი, თბ., 2011.
3. ფამუქი ო., ჩემი უცნაური ფიქრები, თბ., 2017.
4. ლიტერატურული ენციკლოპედია, ტ. 8, 1934.
5. Pamuk O., Masumiyet Müzesi, İY, 2008.
6. Pamuk O., Kafamda Bir Tuhaflık, YKY, 2015.
7. Федоров А. В., Основы общей теории перевода. М., 1983.
8. Catford J. C., Linguistic Theory of Translation, Oxford University Press, 1965.
9. Eco U., Translation and negotiation, W&N, 2004.

Ekaterine Akhvlediani
The difficulties during the translation into Georgian of religious terms
(in according with Orhan Pamuk's novels)
Summary

The paper discusses the problems of translation of religious terms. According to the adopted tradition, religious terms are been translated word-by-word or by means of transcription. The aim of the interpreter is to bring the texts to the readers with the minor loss and keep the stylistic details which are in original text.

Екатерина Ахвледиани
Особенности перевода религиозной лексики
(На материале грузинского перевода романов Орхана Памука)
Резюме

В статье описаны сложности перевода религиозной лексики и установлено, что, следуя сложившейся традиции, переводчики при работе со словами, связанных с религией, либо транскрибируют их, либо дают их пословный перевод. Главная задача переводчика – донести смысловые нюансы до читателей, не владеющих языком страны автора, и при этом важно обеспечить легкую читаемость перевода.

დავით ახვლედიანი
(საქართველო)

თარგმანში ეკვივალენტობის მიღწევა

ტექსტის ერთი ენიდან მეორეში ზუსტად გადატანა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული გამოწვევაა, რომლის წინაშეც თარგმნელები უხსოვარი დროიდან დგანან. განსაკუთრებით რთულად გვაქვს საქმე იმ შემთხვევაში, თუ ეს ეხება ეკვივალენტობას. რა ხერხებითა და მიდგომებით არის შესაძლებელი ეკვივალენტობის შენარჩუნება სათარგმნ და ნათარგმნ ტექსტებს შორის? რა არის მთარგმნელის ინსტრუმენტი და რა გზებითაა შესაძლებელი ეკვივალენტობის მიღწევა? ცხადია, და ამაზე არც დავობენ, რომ ტექსტს ერთნაირი ზეგავლენა უნდა ჰქონდეს მკითხველზე, არ აქვს მნიშვნელობა, მას დედანში კითხულობს თუ თარგმანს. ხშირად მთარგმნელები სირთულეებს მაშინაც აწყდებიან, როდესაც საქმე ეხება საკუთარი არსებითი სახელის თარგმნას და სამიზნე ენაში მის გადმოტანას, როდესაც გადმოგვაქვს ისეთი ბგერები, რომელთა შესაბამისი ეკვივალენტი სამიზნე ენაში არ არსებობს.

თარგმანის ტექნიკის ტიპები

ფორმის ერთი განსხვავებული დამწერლობის მქონე ენიდან მეორე, სხვა ენაში გადასატანად, მთარგმნელი ან აკოპირებს იმავე სიტყვის იმავე ფორმას სამიზნე ენის ანბანის ასო-ბგერებით (ნებისმიერი საკუთარი არსებითი სახელი), ან ცვლის მას ტრანსფორმაციის მეშვეობით. დედანი ტექსტიდან მექანიკური დაკოპირება ან გადატანა მოიცავს:

- **ტრანსკრიფციას** ან სათარგმნ ტექსტიდან სიტყვების ბგერათა დაკოპირებას იმ ენაში არსებული ასო-ბგერების გამოყენებით. მაგალითად: Calendar - /'kalɪndə/, computer /kəm'pjju:tə/ და ა.შ.

თარგმანის ტრანსფორმაცია არის ნათარგმნი სიტყვების, ფრაზებისა თუ წინადადებების სრული ცვლილება. იგი შესაძლოა დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

- გრამატიკული ტრანსფორმაცია;
- ლექსიკური (სემანტიკური) ტრანსფორმაცია.

ტრანსკრიფციის თარგმანი

ტრანსკრიფცია არის სიტყვის ბგერებად ჩაწერის მეთოდი. აუცილებელია, რომ განვასხვაოთ ფონეტიკური ტრანსკრიფცია და პრაქტიკული (ან თარგმანის) ტრანსკრიფცია. ფონეტიკურ ტრანსკრიფციაში ბგერები გამოისახებიან სპეციალური სიმბოლოებით, მათი არტიკულაციისა და უღერადობიდან გამომდინარე. ფონეტიკური ტრანსკრიფცია არის ინტერლინგვისტური ოპერაცია, რადგან მას მხოლოდ ერთ რომელიმე ენასთან უწევს შეხება, მაგალითად: law [l ɔ:] – [კანონი], acquisition [ækwi'zɪʃ(ə)n] – [შეძენა].

პრაქტიკული ტრანსკრიფცია არის ინტერლინგვისტური ოპერაცია, ვინაიდან მას ერთდროულად ორ ენასთან უწევს შეხება: სათარგმნი ტექსტის სიტყვების ბგერები სამიზნე ენაში გადატანილია არსებული ბგერებით, მაგალითად: *Australia* – *ავსტრალია*, *Ireland* – *ირლანდია* და ა.შ. ვინაიდან ინგლისური (ლათინური) და ქართული ანბანები ერთმანეთს არ ემთხვევა, მთარგმნელმა უნდა იცოდეს, თუ როგორ გადაიტანოს ესა თუ ის ბგერა სამიზნე ენაში.

ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი წესები, რომლებიც მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს, არის შემდეგი:

1. ინგლისური სიტყვების ქართული ასო-ბგერებით ტრანსკრიბირება:
 - ინტერდენტალური ბგერა Th [θ, ð], ძირითად შემთხვევაში, ქართულად გადმოდის, როგორც ასო-ბგერა ტ ან თ. მაგალითად: Thames - ტემზა, Thermo - თერმო.
 - ინგლისური W [w] გადმოდის ასო-ბგერა უ-ს საშუალებით. მაგალითად: *William – ვილიამი, Walt Disney – უოლტ დისნეი და ა. შ.*
 - NG[ŋ] ქართულში გადმოდის ცალ-ცალკე ბგერა ნგ: *Jennings – ჯენინგზ ზ.*
 - A[æ] შეესაბამება ქართულ ჟ-ს: *Batman – ბეტმენი, Sam – სემი*, ქართული ბგერები, ინგლისურში გადადიან შემდეგნაირად:

კ	K	კოტე	Kote
პ	P	პეტრე	Petre
ჟ	Zh	ჟინვალი	Zhinvali
ტ	T	ტარიელი	Tarieli
ღ	Gh	ნაბეღლავი	Nabeghlavi
ყ	K	ყაზბეგი	Kazbegi
შ	Sh	შოვი	Shovi
ჩ	Ch	აჩიკო	Achiko
ც	Ts	ციცისვილი	Tsitsishvili
ძ	Dz	ვარძია	Vardzia
წ	Ts	წიწამური	Tsitsamuri
ჭ	Tch	ჭიათურა	Tchiatura
ხ	Kh	ხევსურეთი	Khevsureti

გრამატიკული ტრანსფორმაცია

გრამატიკული ტრანსფორმაცია არის ნათარგმნ ერთეულებში მორფოლოგიური ან სინტაქსური ცვლილებები. შესაძლოა მისი შემდეგ კატეგორიებად დაყოფა:

1. **გრამატიკული ჩანაცვლება**, როდესაც ნათარგმნი ერთეულის გრამატიკული კატეგორია იცვლება. მაგალითად, ვნებითი გვარი გადაითარგმნოს როგორც მოქმედებითი ან პირიქით: *The thief was arrested by police – პოლიციამ ქურდი დააკავა*; თუმცა არის უამრავი შემთხვევა, განსაკუთრებით კანონების თარგმნისას, როდესაც ორივე ენა ინარჩუნებს ერთსა და იმავე გრამატიკულ ფორმას, მაგალითად: *“Adults shall be granted Georgian citizenship under regular procedure if they meet the following requirements”* – „სრულწლოვან პირს საქართველოს მოქალაქეობა ჩვეულებრივი წესით მიენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს“ (1).

ხანდახან ხდება რიცხვის ჩანაცვლება, მხოლობითის მრავლობითით ან პირიქით, მაგალითად: *“They know the official language of Georgia within the established limits”* [მრავლობითი რიცხვი] – „დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს სახელმწიფო ენა“ (2) [მხოლობითი რიცხვი].

შეცვლილია გრამატიკული დროები: **“They have lawfully resided in Georgia for the last 10 consecutive years up to the day of applying for Georgian citizenship”** (წყვეტილი); „კანონიერ საფუძველზე უწყვეტად **ცხოვრობს** საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 10 წლის განმავლობაში“ (აწმყო).

2. სიტყვათა წყობის შეცვლა. ქართულსა და ინგლისურს აქვთ წინადადებების განსხვავებული სტრუქტურა, რაც ხშირად იწვევს თარგმნისას სიტყვათა გადანაცვლებას. მაგალითად: **There shall be a single citizenship in Georgia** [ადგილის გარემოება არის წინადადების ბოლოს], ეს წინადადება ქართულად გადაითარგმნება როგორც „საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა“ [ადგილის გარემოება არის წინადადების დასაწყისში] (3).

3. წინადადებათა დანაწევრება – ეს ხდება მაშინ, როდესაც მარტივი წინადადებები ნაცვლდებიან რთული წინადადებებით სამიზნე ენაში ან როდესაც რთული წინადადება იყოფა დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე რამდენიმე წინადადებად სტრუქტურული, სემანტიკური ან სტილისტური მიზნებიდან გამომდინარე. **“A child born in the territory of Georgia”** – ამ წინადადების შესაბამისი ქართული თარგმანია „ბავშვი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დაიბადა“; **“Parties having responsibilities”** – „პასუხისმგებელი მხარეები“ და ა.შ.

4. წინადადების ინტეგრაცია თავს იჩენს მაშინ, როდესაც ჩვენ გვინდა რამდენიმე წინადადება გავაერთიანოთ და მოვაქციოთ ერთ, შედარებით რთულ წინადადებაში. მაგალითად: **“States Parties recognize the right of the child to rest and leisure, to engage in play and recreational activities appropriate to the age of the child and to participate freely in cultural life and the arts”** (4) – „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის დასვენების უფლებას, იმ უფლებას, რომ მონაწილეობდეს თამაშებსა და გასართობ ღონისძიებებში, რომლებიც შეესაბამება მის ასაკს და თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებასა და ხელოვნებაში“ (5). ქართულში ეს მუხლი, ამონარიდი გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციიდან რამდენიმე წინადადებისგან შედგება, მაშინ როდესაც იგივე აზრი ინგლისურად შედარებით მოკლე წინადადებებითაა გადმოცემული.

5. გრამატიკული კომპენსაცია არის გრამატიკული ერთეულების განზრახ შეცვლა სხვა გრამატიკული ელემენტებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ ერთ-ერთ რომელიმე ენაში არ არსებობს შესაბამისი გრამატიკული სტრუქტურა. მაგალითად: **The parties shall undertake to build a shelter for any homeless child – მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ აუშენონ თავშესაფარი ნებისმიერ უსახლკარო ბავშვს.** ინგლისურ ენაში არ არის თემის ნიშნები მკვეთრად გამოხატული და, შესაბამისად, ნაცვლად „აუშენონ“ გამოყენებულია „ააშენონ მისთვის“.

ლექსიკური ტრანსფორმაცია

ლექსიკური ტრანსფორმაციები ცვლიან ნათარგმნი სიტყვის სემანტიკას. ისინი შესაძლებელია დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

1. ლექსიკური ჩანაცვლება არის ერთი სიტყვის მეორეთი ჩანაცვლება. ეს გამოწვეულია სათარგმნი და სამიზნე ენების განსხვავებული სემანტიკური სტრუქტურებით. მაგალითად: **განრიდება** – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი,

რომლის მიზანია არასრულწლოვანის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება – “Diversion – a form of release from criminal liability or an alternative mechanism of criminal prosecution which aims to promote the proper development and integration of minors into society and to prevent them committing new crimes” (6). ამ მაგალითში რამდენიმე სიტყვა არის ჩანაცვლებული სხვა სინონიმით, გამომდინარე იქიდან, რომ მათი ამ გარკვეულ კონტექსტში გამოყენება უფრო სწორი იქნება ფუნქციური და სტილისტური თვალსაზრისით. მაგალითად, სიტყვა liability (პასუხისმგებლობა), ნაცვლად responsibility; aims to promote (ხელშეწყობა) ნაცვლად facilitate, encourage და ა.შ.

2. კომპენსაცია არის ტექსტში განძრახ დამატებითი ელემენტების შეტანა, რათა უზრუნველყოს სამიზნე ტექსტში დაკარგული ელემენტების აღდგენა-დაბალანსირება. ასეთი ტრანსფორმაციის მთავარი მიზეზი კი არის სამიზნე ენაში საკამრისი ლექსიკის არქონა. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის ქართული თარგმანი. დედანში ვკითხულობთ: “The Secretary-General of the United Nations is designated as the *depositary* of the present Convention”, ხოლო მის ქართულ თარგმანში – „*გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი წინამდებარე კონვენციის დეპოზიტარად ინიშნება*“. გამომდინარე იქიდან, რომ სიტყვა depositary-ის შესაბამისი ქართული თარგმანი არ მოიძებნება, მთარგმნელს მოუწია იმავე სიტყვის ქართულად გადმოკეთება.

ლიტერატურა:

1. <https://matsne.gov.ge/en/document/view/2342552?publication=4>
2. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342552?publication=4>
3. <https://matsne.gov.ge/en/document/view/2342552?publication=4>
4. <https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/crc.aspx>
5. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>
6. <https://matsne.gov.ge/en/document/download/2877281/0/en/pdf>
7. Baker M., Routledge Encyclopedia of Translation Studies. London and New York: Routledge. 1998.
8. Proshina Z., Theory of Translation. Vladivostok: Far Eastern University Press, 2008.

David Akhvlediani
Achieving equivalence in translation
Summary

In order to achieve equivalence in translation, translators should simultaneously ponder about many crucial issues. How can one transform proper nouns in target language? How can one depict the sounds if they do not exist in target language? Another equally important topic that the translator should pay attention to is the sentence transformation in order to have the same impact on readers as it would have in original language. In order to maintain this, the translators should deliberate the text, evaluate it and utilize the most impressive method to attract the readers' attention.

Давид Ахвледиани
Достижение эквивалентности в переводе
Резюме

Чтобы добиться эквивалентности в переводе, переводчики должны одновременно задуматься над многими важными вопросами. Как можно преобразовать собственные существительные в целевой язык? Как можно изобразить звуки, если они не существуют на целевом языке? Другая не менее важная тема, на которую должен обратить внимание переводчик – это трансформация предложения, чтобы иметь такое же влияние на читателей, как и на языке оригинала. Чтобы сохранить это, переводчики должны обдумать текст, оценить его и использовать наиболее впечатляющий метод, чтобы привлечь внимание читателей.

ირინე ბრუნჯაძე
(საქართველო)

**ინტელექტუალური ნიშნების თარგმნის თავისებურებები ძირითად და
ინტელისურ ენებში 6. დუბაის „მე, ბაბია, ილიკო და ილარიონის“ მიხედვით**

მხატვრულ თარგმანს, ისევე როგორც თარგმანის სხვა ფუნქციურ სახეობებს, აქვს თავისი სპეციფიკა, მაგრამ მიუხედავად ყოველი ჟანრისათვის დამახასიათებელი თავისებურებებისა, ნებისმიერი ტექსტის კონსტრუირება, რომელიც შეიძლება გაერთიანდეს ზოგად ცნებაში – თარგმანი, შეიცავს ინვარიანტულ პრაგმატულ ნიშნებს. ესენია: ორიგინალის ინვარიანტის შენარჩუნება მეორე ენის ნიშნებში კოდიფიცირებულ ტექსტში და თარგმანის ტექსტის დამუშავების საჭიროება, განპირობებული, ერთი მხრივ, შეპირისპირებულ ენათა სისტემების არაიზომორფულობით, მათი ზოგადსტილისტური მახასიათებლების სპეციფიკურობით და, მეორე მხრივ, გარეენობრივი ფაქტორების (მათ შორის თარგმანის ადრესატის ფაქტორის) განსხვავებულობით (3, 33).

როგორც ვიცით, შემოქმედებითი მუშაობა ინტელექტის საქმეა. სხვადასხვა ელემენტები არა მარტო შემთხვევით უკავშირდებიან ურთიერთს, არამედ ჩვენ ვაერთიანებთ მათ ახალ კომბინაციებად და საბოლოოდ, მხოლოდ მას შემდეგ ვჩერდებით რომელიმე მათგანზე, როდესაც სათანადო შეფასების შემდეგ ვცნობთ მას შესაფერისად. მსგავსების ასოციაცია მხოლოდ მასალას აძლევს ჩვენს ფანტაზიას, თორემ წამყვანი როლი მას კი არა, უდავოდ, ინტელექტს ეკუთვნის. წყარო ტექსტში ჩადებული რთული ენობრივი კოდით გადმოცემული ინფორმაცია დაკავშირებულია გარკვეულ სიგნალთან იმპლიციტური წესის საშუალებით. ყოველ ინტელექტუალურ ნიშანსა თუ ფრაზაში შეიძლება აღმოჩნდეს გასაღები ამა თუ იმ ენიგმის ამოსახსნელად. კვალიფიციური მთარგმნელის გარეშე ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი შეიძლება შეუცნობელი დარჩეს მკითხველს, რომელსაც ვერ მოვთხოვთ ერთნაირად იყოს გათვინცობიერებული ბიოლოგიაში, ფილოსოფიურ ცნებებსა თუ კულტურის მრავალგვარ დეტალში.

ბოლო ათწლეულში კამათი მიმდინარეობს ინტელექტის ბუნებისა და შეფასების განსაზღვრასთან დაკავშირებით, გამორიცხავენ ენისა და ინტელექტის ურთიერთკავშირს. აშკარაა, რომ სუბიექტებს ახასიათებთ მეტი ან ნაკლები ინტელექტი, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქცევიან ისინი გარკვეულ სიტუაციებში და როგორ რეაგირებენ კონკრეტულ ამოცანებზე. არსებობს ინტელექტუალური ტესტირების ხანგრძლივი ტრადიცია, რომელშიც თავმოყრილია უამრავი დავალება სუბიექტის დონის დასადგენად და მათ შორის არსებული განსხვავების საჩვენებლად. მიღებული შედეგები ფართოდ გამოიყენება საგანმანათლებლო, კლინიკურ და სხვა კონტექსტებში (5, 22).

თუმცა ინტელექტის საზომებს შორის კორელაცია ყოველთვის მაღალი არ არის. მოსწავლეები, რომლებიც უმაღლეს ქულებს იღებენ ზოგიერთ ტესტში, სხვა სახის ტესტში ყოველთვის ვერ აგროვებენ მაღალ ქულებს. აქედან გამომდინარე, ყველა ფსიქოლოგი როდი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ინტელექტი არის ერთი ზოგადი უნარი, რომელიც გარკვეულწილად ყველა ადამიანს გააჩნია. მათი აზრით, ინტელექტის ბევრი სხვადასხვა ტიპი არსებობს: ადამიანებს შეიძლება სხვადასხვა სფეროში უფრო მეტი ან ნაკლები ინტელექტი, ანუ გონებრივი უნარი გააჩნდეთ (4, 135).

ინტელექტი (ლათ. intellectus – გაგება, შემეცნება, გონება) არის პიროვნების თვისება, რომელიც აზროვნების ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში მას აზროვნების დისპოზიციას უწოდებენ. ინტელექტის ზოგადი განსაზღვრა მას უპირისპირებს ქცევის თანდაყოლილ ფორმებს და თანდათანობითი წვრთნის შედეგად ახალი სიტუაციის შესატყვისი ქცევის შემუშავების უნარს, როგორც ინდივიდისათვის ახალი ამოცანის (ფართო მნიშვნელობით) გადაწყვეტისა და წვრთნის გარეშე ახალ სიტუაციასთან შეგუების უნარს. ინტელექტს, როგორც „ზოგად გონიერებას“, უპირისპირებენ ნიჭს ან ტალანტს, როგორც რომელიმე სპეციფიკურ დარგში (მათემატიკაში, ხატვაში, მუსიკაში, პოეზიაში, ტექნიკაში...) მოქმედების უნარს (2, 172).

ნაწარმოები, რომელიც ჩვენი განხილვის ობიექტად იქცა, ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონია“, რომელიც ინგლისურ ენაზე თარგმნილია რაისა ბორბოვას მიერ 1985 წელს. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

„ერთი ცხადია, რომ მისთვის ყველა და ყველაფერი ერთი უმთავრესი საზომით – სიკეთის ძალით იზომებოდა. ერთხელ, როდესაც სატელევიზიო გადაცემის დროს ინტერვიუერმა ჰკითხა, როგორ გგონიათ, რა თვისებები უნდა გააჩნდეს ინტელიგენტსო, ნოდარმა დაახლოებით ასე უცნაურად უპასუხა: ინტელიგენტი კაცის ნიმუშად ბაბუაჩემი, სოფელში მცხოვრები გლეხკაცი წარმომიდგენიაო. აქ მთავარი ის კი არ არის, რომ ასეთ განსაზღვრებაში წარმატებით ვედავოთ ავტორს, არამედ მთავარი ის გახლავთ, რომ ნოდარ დუმბაძისათვის ნებისმიერი პიროვნების, ადამიანთა ჯგუფის, სოციალური ფენის თუ მთელი საზოგადოების რაობის გასარკვევად უპირველესად სწორედაც გულისხმიერების და სიყვარულის უნარი მიიღება მხედველობაში. თავად კი მართლაც იყო ჭეშმარიტი ინტელიგენტის განსახიერება. იგი გარეგნული ნიშნებით კი არა (მაგალითად, ჰალსტუხით), თავისი ცხოვრების წესით იყო სულით ხორცამდე ინტელიგენტი...“ (1, 14).

„ბებიანები ბრძენი ქალია, ის მუდამ ასე მეუბნება: - ისწავლე, შე სასიკვდილე, თორემ უსწავლელი დარჩები“ (1, 43).

“My Granny is a wise woman”. She keeps telling me, “You must study, you rascal, or you’ll be no good for anything” (6, 5).

ამ და დანარჩენ რამდენიმე მაგალითში წარმოდგენილი ინტელექტუალური ელემენტები ზუსტი ან შესაბამისი ეკვივალენტებითაა დატვირთული თარგმანშიც.

„... როდესაც ზარი დილით რეკს, სწავლა - განათლება იწყება...“ (1, 70).

“In the morning they ring the bell for school” (6, 34).

მაგ., „სწავლა-განათლება“ შეცვალა „სკოლამ“, სადაც ვსწავლობთ და ვღებულობთ განათლებას; „სიმწიფის ატესტატი“ კი (1, 99) – “School leaving certificate” ან “Certificate maturity” (6, 68).

გეოგრაფიის მასწავლებელი: „- ვაშალომიძეს აქვს ერთობ რელიეფური ცოდნა“ (1, 46).

“The teacher of geography: Vashalomidze’s knowledge of geography is negligible. Either he is anomalous, or undernourished” (6, 7).

რელიეფური ცოდნა – negligible knowledge.

„პრეზიდენტში მასწავლებლები და ნიჭიერი მოსწავლეების მშობლები ისხდნენ“ (1, 103).

“*Teachers and parents of the best pupils sat on the platform*” (6, 66).

ნიჭიერი მოსწავლეები – ტრანსპონირებულია როგორც „საუკეთესო მოსწავლეები“. აქ მცირე უზუსტობა გაეპარა მთარგმნელს ინტელექტუარი ნიშნის განსაზღვრაში, რადგანაც ყველა ნიჭიერი მოსწავლე არ არის საუკეთესო. ნიჭიერება ფართო ცნებაა და კარგ აკადემიურ მოსწრებასთან ერთად ფართო ცოდნის ადამიანს მოიცავს, რასაც ვერ ვიტყვით ზარმაც ზურიკოზე, ვისი ბებიაც ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა ამ ამბავს, თორემ მისი ადგილიც პრეზიდენტში იყო განკუთვნილი. ზოგჯერ ვამბობთ: ნიჭიერია, მაგრამ არ სწავლობს.

ზურიკო მერის:

„- წაიკითხე? – არაფერი მითხრა. ამომხედა ჭკვიანი თვალებით და წავიდა“ (1, 90).

“*Did you read the letter?*”

Mary said nothing. She only gave me a thoughtful glance and went on her way” (6, 54).

ქართველისთვის ნაცნობი „ჭკვიანი თვალები“ ჩანაცვლდა ინგლისურენოვანი მკითხველისათვის ადეკვატური ფრაზით “**thoughtful glance**” ანუ „ჭკვიანი/ჭკვიანური მზერით“, ე.ი. გამოვლინდა თვალის ფუნქციური კავშირი და თვალი შეცვალა ფუნქციონამ „მზერამ“.

შემდეგი მაგალითი:

„- ზურიკელა, შენ ახლა **ნასწავლი** კაცი გქვია, მართალია დიდი წვალებით და ცოდვის ტრიალით, მაგრამ მაინც ხომ ვადაეთრიე მეცხრე კლასში? ჰოდა, **ნასწავლი** თუ არა, გაგონილი გექნება, რომ ჩვენი წინაპარი მაიმუნი ყოფილა.

- აბა, შენი წინაპარი სხვა ვინ უნდა ყოფილიყო, თუ იცი? – ჩაურთო ილარიონმა. ილიკომ ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო:

- ახლა მე დიდი **ნასწავლი** კაცი არ ვარ, მაგრამ არ მკონია სულ მთლად ასე ყოფილიყო“ (1, 94-95).

“*Zuriko, you’re an educated person. You have reached the ninth form, even though at the cost of great suffering to yourself and your teachers. Now, I wonder if you heard – perhaps even learnt – that man has descended from the ape*”.

“*What other creature could you have descended from if not the ape?*” Illarion put in.

“*I may not be very well versed in science, but I think this is not quite correct*” (1, 58).

სამივე შემთხვევაში წყარო ენის ავტორი იყენებს სიტყვა „ნასწავლს“. სამიზნე ენის ავტორი სწორად აგნებს მის მნიშვნელობას და ერთფეროვნების თავიდან აცილების მიზნით იყენებს სინონიმებს: **educated – learnt – very well versed**. თუმცა ეს სულაც არ გულისხმობს ორიგინალი ნაწარმოების ერთფეროვნებას. ეს ავტორის სამყაროა, მისი სტილია ასეთი, რაც მხატვრული სამყაროს ამღვლეველი მანერის მიგნების სპეციფიკური საშუალებაა.

მერის მიერ შეცდომით მოტანილი წერილის წაკითხვისას ქიმის მასწავლებელზე იკითხავს ბებია:

„- ცოტა შექანებული ხომ არაა?

- შექანებული კი არა, ჭკუით გატენილია!“ – მიუგო ზურიკომ (1, 88).

“Is he all there? I mean is he all right in the upper storey?”

“No, granny, not at all. **His brains drip out of his ears**”, I said (6, 51).

შესანიშნავადაა აქტივიზებული ეს ფრაზები თარგმანშიც. მართალია, წყარო ენის ერთ სიტყვა „შექანებულს“ ბევრად უფრო მძაფრი მხატვრულ-ირონიული შეფერილობა აქვს, ვიდრე სამიზნე ენაში გაშიფრული ფორმით ნახვენებ “I mean is he all right in the upper storey?”-ს, რაც აიხსნება შემდეგნაირად: „თავში ყველაფერი წესრიგში აქვს?“ თუმცა მხატვრულ-ირონიული ეფექტის დეფიციტს ანაზღაურებს „ჭკუით გატენილის“ ნაცვლად გამოყენებული “**His brains drip out of his ears**” – რაც შემდეგს ნიშნავს: „ტვინი ყურებიდან გადმოდის“.

პროფესიის არჩევისას ბებია:

„- რამე ისეთი არ არსებობს, **პირდაპირ პროფესორი** რომ გამოვიდეს? – იკითხა ბებიამ...“

- მე საარტიტო ზე მინდა! – ვთქვი უცებ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

- დამეფხოს თვალები, მრავალცოლიანი გინდა, გამოსვიდე? – შემიცხადა უცებ ბებიამ“ (1, 105).

“Isn’t there a college that makes you **a professor right away**?” Granny asked.

“I’ll be an actor!” I blurted out.

There was a deathly silence.

“May I lose the sight in my poor old eyes!” Granny wailed. “That he should lead a life of **debauchery!**” (6, 68).

როგორც ვიცით, ნ. დუმბაძის ამ ნაწარმოებს ფეხდაფეხ თან სდევს იუმორი, რომლითაც საესეა და ასე მომხიბლავია ეს სამყარო. იუმორი უმიზნო მხიარულებისათვის კი არა, განცდათა შესამსუბუქებლად აქვს მოხმობილი. ამიტომაც, რომ მოხუცი ბებიასთვის ზურიკელას უნივერსიტეტში მოწყოლა პირდაპირ პროფესორობასთან, ხოლო არტიტობა კი მრავალცოლიანობასთან ასოცირდება. მხატვრული სამყაროს ტრანსპოზიცია არ უნდა იყოს შეუძლებელი, მაგრამ ასეთი მაცდური უბრალოებით მოხიბლულებს გვავიწყდება, რომ მხოლოდ დიდი ნიჭისა და ოსტატობის წყალობით თუ მიიღწევა სამიზნე ენაში მათი შერწყმა, რაც ნათლად ჩანს აღნიშნულ მაგალითში.

„ უკვე ერთი თვეა ილარიონი ჩემთან ცხოვრობს, მას არ მოსწონს ჩემი ოთახი, არც ჩემი ბიბლიოთეკითაა მაინცდამაინც კმაყოფილი.

„- ბაღ ზაკი – „შავრენის ტყავი“, რომენ როლანი – „კოლა ბრუნინი“, პროსპერ მერიმე – „მატეო ფალკონე“, პიუგო – „პარიზის დვთისმშობლის ტაძარი“, ჯავახიშვილი – „კვაჭი კვაჭანტირაძე“, დიკენსი – „დავით კოპერფილდი“, გალაკტიონ ტაბიძე – „რჩეული ლექსები“, ომარ ხაიამი – „რობაიები“, **გამსახურდია – „მთვარის მოტაცება“ და „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“**, ილია აკაკი ვაჟა, ყაზბეგი, ჭონქაძე – აწეობს იგი ერთმანეთზე წიგნებს, მერე სათვალის ზემოდან მიყურებს და გაკვირვებული მეკითხება:

- ეგნატე ნინოშვილი რა უყავი, შე უპატრონო?

- ეგნატეს არაფრით ჩამოუვარდებიან მაგენი. – ვამშვიდებ ილარიონს.

- ვის? – მეკითხება იგი, - ეგნატეს? რომელი ერთი დოუდგება გვერდში?

- ყველა!

- ვინ? ნახევარის გვარი პირველად მესმის.

- წაიკითხე და ნახავ – გეუბნები მე. ილარიონი თავს აკანტურებს, დამცინავად მიუყურებს და წიგნებს უხალისოდ ფურცლავს“ (1, 140).

“ - Illarion has been living with me for a month. He does not like my room, nor my library.

“- Balzac – Shagren Skin, Romain Rolland – Colas Breugnon, Prosper Merimee – Mateo Falcone, Hugo – Notre Dame de Paris, Javakhishvili – Kvachi Kvachantiradze, Dickens – David Copperfield, Galaktion Tabidze – Selected Poems, Omar Khayyam – The Rubaiyat, **Gamsakhurdia – The Abduction of the Moon, Iliad... Akakya... Vazha... Kazbegi... Chonkadze...**” he mutters, fingering the books on my shelf, and then asks, looking at me wonderingly over his spectacles:

“Why haven’t you got anything by Egnate Ninoshvili?

“There are no worse than Egnate,” I reassure him.

“No worse? Which of them can compare with Egnate?”

“All of them!”

“Give me a name! Half of these are unknown to me”.

“Read the books, and you’ll come to know them”, I say.

Illarion looks at me ironically and leafs through the books casually“ (6, 104).

მთარგმნელს სქოლიოში მითითებული აქვს, რომ ეგნატე სწორედ იმ კუთხიდან იყო, საიდანაც ილარიონი, ამით კი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ილარიონის უმეცრებას ლიტერატურასთან მიმართებაში და საერთოდ ცოდნასთან, ინტელექტთან. მან მხოლოდ თავისი კუთხის მწერალი იცის და მას სცემს პატივს. გარდა ამისა, არაფერია ნათქვამი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაზე“, ტრანსპონირებულია მხოლოდ „მთვარის მოტაცება“ და მთარგმნელი პირდაპირ გადადის ილიაზე. ეს აიხსნება ორი მიზეზით: პირველი ის, რომ სამიზნე ენის ავტორმა ვერ მიაგნო წყარო ენის ისეთ მხატვრულ-ემოციური დატვირთვის, ღრმა კონოტაციის მქონე სიტყვის თარგმანს, როგორც „მარჯვენა“ და მეორე – არ მოეწონა (არ აღიარა) უკვე თარმნილი „The Hand of a Great Master“ – ანუ „დიდოსტატის ხელი“ ამ სათაურით და მკითხველისთვის ასეთი დამახინჯებული ფორმით მიწოდებას თავის არიდება არჩია.

„- გაიხედეთ ისევ მარჯვნივ, სვეტიცხოველი! – გამოერკვა გამყოლი. – ამის ამშენებელს მარჯვენა მოაჭრეს

- რატომ კაცო? – იკითხა ნესტორმა.

- თვითონ ამბობს, რომ „დამიჭირეს, მკვლავი მომჭრეს, კარგი რატომ ავივიაო“.

- ვგრეა, რა, სიკეთე არ უნდა ქნა ქვეყანაზე – თქვა ისევ მძღოლმა“ (1, 174).

“Look to the right!” the guide came to life. “Before you is Svetitskhoveli. Its architect had his right hand chopped off the order of the tsar”.

“Why so?” Nestor asked.

“An intrigue... Somebody informed against him...”

“**Must have stolen some building materials**”, said the driver” (6, 138).

წინა მაგალითისაგან განსხვავებით, აქ „მარჯვენა“ სიტყვა-სიტყვითაა აქტივიზებული სამიზნე ენაში, როგორც **“right hand”** ანუ „მარჯვენა ხელი“, რაც უფრო შეესატყვისება ქართულ მარჯვენას, ვიდრე უბრალოდ „ხელი“. გარდა ამისა, მთარგმნელს რუსულ სიტყვა „the tsar“-თან ჩაუმატებია ინფორმაცია: მეფის ბრძანებით მოაჭრეს ხე-

ლიო, მაშინ როცა წყაროს ავტორს არ უხსენებია მკვლავის მომჭრელის ვინაობა, იგი უბრალოდ ამბობს: „ამის ამშენებელს მარჯვენა მოაჭრეს“.

რაც შეეხება სიტყვა „მეფეს“, იგი ინგლისურად არის “king” და არა “tsar”. მთარგმნელმა ესეც არ იკმარა და ერთ-ერთი სტუდენტის მიერ დასმულ შეკითხვას – „რატომ მიაჭრესო?“

ასე ხსნის: „ინტრიგა... ვიღაცამ დააბეზდა...“

„შეიძლება სამშენებლო მასალები მოიპარა“, თქვა მძღოლმა....

“An intrigue... Somebody informed against him...”

“**Must have stolen some building materials**”, said the driver.

მაშინ როცა ორიგინალში შემდეგნაირადაა: „დამიჭირეს, მკვლავი მომჭრეს, კარგი რატომ ავიგიაო“. ხოლო „ეგრეა, რა, სიკეთე არ უნდა ქნა ქვეყანაზე“ – საერთოდ არ გადააქვს სამიზნე ენის ავტორს. ამით აშკარად იგრძნობა მთარგმნელის მცდელობა თავისი აზრი მოახვიოს უცხოელ მკითხველს, ტექსტის ჩამატებით არათუ დააზუსტა შეკითხვა, არამედ გასცდა წყარო ტექსტის საზღვრებს და საბოლოო ჯამში მივიღეთ სრულიად აბსურდული ინფორმაცია. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამ უცხო გარემოში და უცხო გმირებით სავსე მხატვრულ სამყაროში უცხოელი მკითხველი ჩვენთვის ნაცნობი ფიქრების, განცდებისა და ფაქტების თანაზიარი ვერ ხდება.

„როგორ მოვხვდი უნივერსიტეტში, როგორ ჩავაბარე მისაღები გამოცდა და როგორ გავხვდი სტუდენტს, ეს სასწაული დიდხანს იქნება საიდუმლოებით მოცული ილიკოსთვისაც, ილარიონისთვისაც და ჩემი ლექტორებისთვისაც, თორემ, მე რომ უნიჭიერესი კაცი ვარ დედამიწის ზურგზე და ჩემი ბადალი მარგალიტი არ გდია ზღვის ფსკერზე, ეს ბებიანებმა ხუთი თითივით იცის“ (1, 158).

“However, it will forever remain a mystery for Iliko, Illarion, my lecturers and even myself how I had managed to pass the entrance examinations and be enrolled at the University. The only person has always had unshakeable faith in **my phenomenal gifts** is my Granny” (6, 123).

ზუსტადაა ტრანსპონირებული ინფორმაცია თარგმანში, მაგრამ არ გააჩნია ისეთივე მხატვრული ეფექტი ინგლისურ **phenomenal gifts** – **ფენომენალურ ნიჭს**, როგორც წყარო ენაში გამოყენებულ ეპითეტს „ბადალ მარგალიტებთან“ შედარებულ ზურიკოს ნიჭს, რაც ესოდენ ამშვენებს და ასხივოსნებს ბიჭის ცოდნას.

შემის მოპარვაზე ილიკო ზურიკელას:

„ვიცი მე, ვისაც მიაქვს, მარა სანამ მჯიღში არ ჩაასკდება, ხომ ვერ ვათქმევინებ. ჰე, ჰე, ხომ ვარ, ზურიკელა, გენიოსი, ა? ხომ ვარ?“

- ილიკო, არ მოკლას ამან კაცი.

- ნუ გეშინია, არ მოკლავს, ისე იცოცხლე ნაცარს მიაყრის ცხვირში. ა? ხომ ვარ, ზურიკელა, გენიოსი?“ (1, 187).

“Of course I know who steals my firewood, but you can't accuse someone until you've caught him red-handed. Now I shall catch him. I am a **genius**, Zuriko”.

“Sure nobody's going to get killed?”

“Don't you worry, nobody will be killed, but he will have his behind roasted!”

“So long as nobody is really hurt...” (6, 149-150).

გამწარებული და თან გახარებული ილიკო ჩიგოგიძე, რომელიც შემაში ჩამაგრებული კაფსულებით შემის ქურდის დაჭერას ცდილობს, ამ ხერხს გენიოსობას უწო-

დებს, ხოლო თავის თავს კი ორჯერ გენიოსს, რითაც ისევ და ისევ ხაზს უსვამს თავისი ნიჭის ნამოქმედარს. სამიზნე ენის ავტორი კი მხოლოდ ერთხელ მოისხენიებს ილიკოს „გენიოსობას“, რითაც ის ასე ამაყობდა.

„მე უკვე ზურიკეა აღარ ვარ, მე ვარ უმაღლესდამთავრებული, ნახწავლი კაცი. ჩემს დიპლომში სწერია, რომ მე, ზურაბ ვლადიმერის ძე ვაშალომიძე, ვარ ეკონომისტი, რომ ჩემი დიპლომი და პროფესია ძალაშია საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, ყველა ქალაქში და მით უმეტეს ჩემს სოფელში“ (1, 210).

“I am no longer the village lad Zuriko. I am now an adult person with a higher education. My diploma says that I, Zurab Vladimirovich Vashalomidze, have been qualified as an economist and that my diploma is valid in all republics, cities, and villages of the Soviet Union” (6, 170).

ამ მაგალითში ადეკვატურადაა გადატანილი თარგმანშიც ინტელექტუალური ელემენტი „უმაღლესდამთავრებული“. თუმცა, როგორც ზემოთ განხილული რამდენიმე მაგალითი, ესეც კალკზე მიგვანიშნებს. სამიზნე ენაში შიგადაშიგ იგრძნობა რუსული ენის გავლენა, რასაც აშკარად ადასტურებს შუამავალი ენიდან გამოყენებული შემდეგი სიტყვები: **Tsar, Vladimirovich**.

მაშასადამე, ინტელექტუალური ნიშნების არაზუსტი ინტერპრეტაციით თარგმანში დაბრკოლებები ჩნდება მხოლოდ სპორადულად, ცალკეულ ელემენტთა სახით. მართალია, ეს არ ქმნის გლობალურ დაბრკოლებას ნაწარმოების კომუნიკაციური ეფექტის ანალოგიზაციისათვის, მაგრამ ნაწილობრივ აქვეითებს ინტელექტუალური ეკვივალენტურობის ხარისხს.

ამრიგად, თარგმანის პრაგმატული მოტივაციის განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული ინტელექტუალური ნიშნების გათვინცილობა თარგმანის პროცესის წინმსწრები აუცილებელი სტადიაა. ენობრივ-ინტელექტუალურ ნიშნებზე დაკვირვებით მივდივართ შემდეგ დასკვნამდე: უაღრესად რთული, თუმცა მართებული იქნება აზრობრივი, სტილისმიერი სიზუსტისა და ინტელექტუალური ნიშნების სრული შერწყმა თარგმანში.

ლიტერატურა:

1. დუმბაძე ნ., მე, ბებია, ილიკო და იალარიონი, თბ., 1988.
2. ნათაძე რ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1981.
3. საყვარელიძე ნ., თარგმანის თეორიის საკითხები, თბ., 2001.
4. ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., გორგოძე ს., განვითარებისა და სწავლების თეორიები, დამსხმარე სახემძღვანელო, თბ., 2011.
5. Crystal D., The Cambridge Encyclopedia of Language, New York; Port Chester; Melbourne; Sydney; Cambridge University Press, 1987.
6. Dumbadze N., Granny, Iliko, Ilarion and I, Moscow, 1985.
7. Hornby A. S., Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English, Volume II, Oxford University Press, 1982.
8. Manser H. M., Dictionary of Synonyms and Antonyms, “Chambers”, Edinburg, 2005.
9. Oxford Word power Dictionary, Oxford University Press, 1993.

Irine Brunjadze

Peculiarities of translation of intellectual signs into Georgian and English languages according to “Granny, Iliko, Ilarion and I” by N. Dumbadze

Summary

The article deals with the intellectual signs and their peculiarities of translation into Georgian and English languages according to the novel “Granny, Iliko, Ilarion and I” by N. Dumbadze. Definition of pragmatic motivation of the translation and comprehension of the related intellectual signs appear to be the necessary preliminary stage of translation. Based on the observation of linguistic-intellectual signs, it would be very hard but correct to have a complete confluence of style accuracy and intellectual signs in translation.

Ирине Брунджадзе

Особенности перевода интеллектуальных знаков на грузинский и английский языки по роману Н. Думбадзе «Я, бабушка, Илико и Илларион»

Резюме

В статье рассматриваются особенности перевода интеллектуальных знаков на грузинский и английский языки по роману Н. Думбадзе «Я, бабушка, Илико и Илларион». Примечательно, что определение прагматической мотивации перевода и понимание связанных с ним интеллектуальных знаков является необходимым этапом процесса перевода. Анализируя языковые и интеллектуальные знаки, становится ясно, что в переводе очень трудно достичь полное сочетание стилистической точности и интеллектуальных признаков.

ლოლა ბერიძე
(საქართველო)

თოქ-შოუ რობორც სატელევიზიო დისკურსის ჟანრი

სატელევიზიო მაუწყებლობის აზრობრივი სტრუქტურა რთული და მრავალფეროვანია და შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა სახეობას. ჟანრობრივი სტრატეფიკაცია სატელევიზიო დისკურსისთვის ისევეა დამახასიათებელი, როგორც ნებისმიერი სხვა დისკურსისთვის. სატელევიზიო დისკურსის ჟანრები: თოქ-შოუ, ინტერვიუ, დისკუსია, დებატები (4).

სატელევიზიო საუბრებს, კერძოდ, თოქ-შოუს თანამედროვე მედიადისკურსში დიდი ადგილი უჭირავს. თოქ-შოუ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე. რეციპიენტს მიეწოდება ამა თუ იმ კულტურაში მისაღები, მისაბაძი და სავარაუდო აზროვნების სქემები. გადაცემის ეს ფორმა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ტელეკერანებთან უამრავ ადამიანს იზიდავს, ამიტომ საქართველოშიც ტელევიზიის მესვეურები სულ უფრო მზარდ ინტერესს იჩენენ ამ ჟანრისადმი. თოქ-შოუ დამოუკიდებელი სატელევიზიო ჟანრია სხვადასხვა ქვესახით, რომელიც ბუნებრივ, არანჭირებულ, სულ მცირე, ცალმხრივად თავისუფალ, სერიულ საუბარს წარმოადგენს. მონაწილეები რეალურ, ყოველდღიურ და ლოკალურად ერთიან კონტექსტში მოქმედებენ. ის არის ორ პიროვნებას შორის მიმდინარე ან ჯგუფური, ეკრანზე ხილვადი ასიმეტრიული ინტერაქცია, რომელიც მოდერატორი განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ენობრივი გამონათქვამები კონკრეტულ მიზანს არ ემსახურება და თემატური დატვირთულობა საჯარო და პრივატულია. წინასწარ გათვლილი ორგანიზაცია და ბუნებრივი მიმდინარეობა მოქმედების ნათელ სტრუქტურას უზრუნველყოფს. თოქ-შოუში მიმდინარე დისკურსი გავლენას ახდენს მაყურებელთა ცნობიერებასა და ღირებულებებზე (2).

ტერმინი „თოქ-შოუ“ ლონგმენის ლექსიკონში შემდეგნაირადაა განმარტებული: ინგლ. talk – საუბარი; show – სანახაობა, სპექტაკლი; ნიშნავს „სასაუბრო წარმოდგენას“, „სასაუბრო სანახაობას“. თოქ-შოუ მასმედიაში მიმდინარე საუბარია, რომელიც არანჭირებულ, ბუნებრივ საუბარს მიეკუთვნება. იგი დამოუკიდებელი ჟანრია სხვადასხვა ქვეჟანრით და წარმოადგენს ტელევიზიაში განხორციელებულ სერიულ საუბარს, რომელიც ჰგავს ყოველდღიურ საუბარს, რადგანაც კომუნიკაციური სპონტანურობა ახასიათებს (7).

თოქ-შოუს, როგორც სატელევიზიო დისკურსის ჟანრის, მიზანია ტელეკომუნიკატორსა და ტელეაუდიტორიას შორის ისეთი დიალოგის წარმართვა, სადაც საზოგადოებრივად მნიშვნელოვან თემებზე, პირად, ოჯახური ცხოვრების პრობლემებზე მსჯელობისას ხდება სხვადასხვა პოზიციის გარკვევა და ერთობლივი გადაწყვეტილებების ძიება (6).

ლარინა თავის ნაშრომში გამოჰყოფს თოქ-შოუს ჟანრის შემდეგ ძირითად ექსტრალინგვისტურ ნიშნებს:

- 1) წამყვანი – ბრწყინვალე მეტყველებითი ნიჭის მქონე პიროვნება, რომელსაც შეუძლია საუბარი ნამდვილ სანახაობად აქციოს;
- 2) სტუდია, სადაც ხდება ძირითადი მოქმედება;
- 3) პროგრამის სტუმრები;
- 4) მსჯელობა კონკრეტულ თემაზე;
- 5) მაყურებლები სტუდიაში;
- 6) მუსიკალური ჩანართი, რომელიც თოქ-შოუს სავიზიტო ბარათს წარმოადგენს.

ჟანრის მეორეხარისხოვანი ექსტრალინგვისტური ნიშნებია:

1) დისკუსიაში ექსპერტების მონაწილეობა; 2) დისკუსიაში მაცურებლების მონაწილეობა; 3) თანაწამყვანები; 4) წამყვანის თანაშემწეები; 5) კენჭისყრის პულტები; 6) „სანახაობრიობის ეფექტის“ გამაძლიერებელი მეთოდები (აუდიო და ვიდეო მასალების, ტელე და კინოფილმების ფრაგმენტების, ფოტოსურათების ჩვენება; მუსიკალური ჩართვები; მომღერლების, მოცეკვავეების გამოსვლები; სტუდიაში სტუმრებისა და მაცურებლების პროფესიული ოსტატობის დემონსტრაცია და ა.შ.) .

თოქ-შოუს ჟანრში სატელევიზიო დისკურსის მონაწილეები არიან, ერთი მხრივ, თოქ-შოუს წამყვანი, ხოლო მეორე მხრივ – ტელემაცურებლები. თოქ-შოუს წამყვანი გამოდის სხვადასხვა სტატუსისა და როლის მახასიათებლის მქონე ორი ძირითადი სახით, ესენია: 1) წამყვანი-ინტერვიუერი; 2) წამყვანი-მოდერატორი (6).

თოქ-შოუს წარმატებისათვის „საუბრის უნარის მქონე“ სტუმრები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მოდერატორი. ეს უკანასკნელი თავის პროფესიონალიზმს, პირველ ყოვლისა, იმით ამტკიცებს, რომ შეგნებულად დგება ჩრდილში და სტუმრებს უფრო მეტი დისკუსიის საშუალებას აძლევს. თუმცა უამრავი თოქ-შოუა, რომელშიც წამყვანი დომინირებს.

სხვადასხვა ტიპის თოქ-შოუს კლასიფიცირება შესაძლებელია დღის იმ მონაკვეთის მიხედვით, როდესაც ის გადის ეთერში, ანუ დილის თოქ-შოუ, შუადღის თოქ-შოუ, საღამოს თოქ-შოუ ან ღამის თოქ-შოუ. გარდა ამისა, შესაძლებელია მათი კლასიფიცირება საუბრების შინაარსის მიხედვით, მაგალითად, ინფორმაციული თოქ-შოუ, გასართობი თოქ-შოუ ან პოლიტიკური თოქ-შოუ.

კრაუზე და გერინგი ასხვავებენ სამი კატეგორიის თოქ-შოუს: ინფორმაციულ-პოლიტიკური თოქ-შოუ (Meet the Press), გასართობი თოქ-შოუ (The Tonight Show) და სოციალურ საკითხებზე დაფუძნებული თოქ-შოუ (Sally Jesse Raphael, Oprah) (9).

ჰაარმანი ასხვავებს თოქ-შოუს სამ ფართო კატეგორიას:

- საღამოს ვარსკვლავური ფორმატის შოუ (Jay Leno's Tonight);
- საზოგადოებრივ საკითხებზე ორიენტირებულ ფორმატის შოუ (Oprah) ;
- აუდიტორიასთან დისკუსიის ფორმატს (Kilroy) (8).

რინარდსონისა და მენიჰოფის თვალსაზრისით, თოქ-შოუები იყოფა ორ ქვეტიპად: ექსპლუატაციური, მაგ., ჯერი სპრინგერი, რომელიც სწირავს ადამიანის ღირსებას მედიის გართობის მოთხოვნების დასაკმაფოლებლად და არაექსპლუატაციური, მაგალითად, ქილროი (10).

თიმბერგი თოქ-შოუს განვითარების ისტორიაში გამოჰყოფს თოქ-შოუს სამ ძირითად ქვეჟანრს:

1. გვიან-ღამის გასართობი თოქ-შოუ (The Late-Night Entertainment Talk Show) – ამ ტიპის თოქ-შოუსთვის დამახასიათებელია ახალი ამბების, გართობისა და კომედიური ჟანრის მონოლოგების ერთმანეთში შერწყმა.

2. დღის აუდიტორიის მონაწილეობით შექმნილი შოუ (The Daytime Audience Participation Show) – თოქ-შოუს ეს ტიპი სათავეს იდებს ამერიკაში. სწორედ იქ ჩამოყალიბდა თოქ-შოუ, როგორც სატელევიზიო ჟანრი. ამ ტიპის ჟანრში აუდიტორია პირდაპირ იყო ჩართული შოუში. ისინი საუბრობდნენ წამყვანთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად.

3. დილის ახალი ამბების ჟურნალის ფორმატის შოუ (The Early-Morning News Talk Magazine Show) – ნაზავია ახალი ამბებისა და გასართობი შოუსი. ამ ტიპის თოქ-შოუსათვის დამახასიათებელია რამდენიმე წამყვანი (11).

მკვლევარი გ. კუზნეცოვი თოქ-შოუს განმარტავს როგორც თავისებურ, გამოკვეთილ, დინამიკურ სპექტაკლს და ასახელებს ამ ჟანრის ნიშნებს: საუბრის სიმსუბუქეს, წამყვანის არტისტულობასა და აუდიტორიის აუცილებელ თანდასწრებას. ეს ნიშნები დამახასიათებელია, უპირველესად, მსუბუქი ჟანრისთვის – გასართობი თოქ-შოუსთვის, რომლის მიზანია ტელეაუდიტორიის გართობა (5).

გასართობი თოქ-შოუების გამაერთიანებელი ნიშანი სტუდიაში მოწვეული მრავალი სტუმარია. თემის შერჩევის პრინციპი არის საზოგადოებისათვის აქტუალური და მომგებიანი თემები, რაც გადაცემის მაღალ რეიტინგს უზრუნველყოფს. თითქმის ყველა თოქ-შოუ თითოეულ გადაცემაში უმეტესწილად ერთ თემას ირჩევს.

ყოველი გადაცემის ქრონომეტრაჟი საშუალოდ 90 წუთია, მაგრამ გამონაკლისს აქაც წარმოადგენს ზოგიერთი თოქ-შოუ, რომლის ქრონომეტრაჟიც, თემების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ხშირად 120 წუთს უახლოვდება და აჭარბებს. ყველა გადაცემა ცდილობს სიახლეთაგან რომელიმე პირველმა და ექსკლუზიურად მიაწოდოს თავის მაყურებელს. კითხვები უმეტესწილად მსგავსია და ხშირად პირადი ცხოვრების დეტალებს ეხება. მათი გამაერთიანებელი ნიშანია ექსკლუზივზე ნადირობა. ხშირია პარანორმალური მოვლენების, როგორც აპრობირებული რეიტინგული თემების, გაშუქებისა და მათ შესახებ საუბრის შემთხვევები (1).

რაც შეეხება გასართობი შოუს წამყვანს, ე.წ. შოუმენს, იგი გარდა იმპროვიზაციის უნარისა, უნდა ფლობდეს ჟურნალისტის ხელობას პროფესიულ დონეზე და მსახიობური მონაცემებიც უნდა გააჩნდეს. ალბათ, ამით აიხსნება ასეთი ტიპის შოუებში მსახიობების, მოდელების და სახელოვნებო დარგის წარმომადგენლების მოწვევა წამყვანებად.

თოქ-შოუ ფართოდ გამოიყენება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებით; მით უმეტეს, დღეს, საქართველოში, სადაც საზოგადოება ზედმეტად პოლიტიზირებულია, ამგვარი შოუები გამოირჩევა სიმძაფრით, დაძაბულობით და ვნებათაღელვით. თანაც, კარგად წარმოაჩენს საზოგადოების განწყობას, მის ინტერესს და მისწრაფებებს. გადაცემის მსვლელობისას განიხილება აქტუალური თემები, სადაც სამიზნე აუდიტორია მკვეთრად სეგმენტირებულია. ასეთ შოუებს უყურებენ და მათში მონაწილეობენ არა მხოლოდ რიგითი ადამიანები, არამედ მაღალი რანგის მოხელეებიც. შესაბამისად, მათი ხანგრძლივობაც არ არის მცირე, რადგან მასში ბევრი ადამიანი მონაწილეობს და უმეტესობას უნდა მიეცეს აზრის დაფიქსირების საშუალება. პოლიტიკური შოუს წამყვანი ძალიან ფრთხილი უნდა იყოს, ანალიტიკური გონების, ავტორიტეტული, სწორად უნდა დასვას აქცენტები, შეინარჩუნოს ობიექტურობა და ბალანსი. თოქ-შოუს წამყვანს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ყველზე მნიშვნელოვანია ე.წ. „დიალოგიური ერთიანობის“ გამოხატვა. საუბარი ვერ შედგება, თუ მონაწილეებს არ აინტერესებთ საერთო პრობლემა; შესაძლებელია, მისი გადაწყვეტის გზებზე განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეთ. დიალოგი არ არის რეპლიკების მექანიკური ჯამი, იგი ერთიანი, მთლიანი სტრუქტურაა და ამიტომ, აუცილებელია საუბრის მონაწილეთა სწორად შერჩევა, მათ კომპეტენციასა და ერუდიციასთან ერთად იმპროვიზაციის, საჯაროდ აზროვნების უნარის გათვალისწინება. ასეთი თოქ-შოუს აუცილებელი კომპონენტია პოლემიკა, ხო-

ლო პოლემიკის მთავარი მიზანია კონფლიქტი – ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისების შეჯახება, აზრის განვითარება და ბოლოს, ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტებით კონფლიქტის მოხსნა.

დისკუსიის, პოლემიკის კულტურა მოითხოვს იმის ცოდნას, რომ „ბრძოლა“ მიმდინარეობს არა პიროვნებების, არამედ იდეების წინააღმდეგ, რომლებსაც ოპონენტები იცავენ. მკვეთრი და მწვავე გამონათქვამები, ჩვეულებრივ, ახასიათებს პოლემიკას, მაგრამ იგი უნდა იყოს დასაბუთებული და გამართლებული და არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეურაცხყოფდეს მოწინააღმდეგის პიროვნულ თვისებებს, არ უნდა აღვივებდეს კონფლიქტს და მტრობას მოკამათებებს შორის. თავად წამყვანი უნდა იყოს ნეიტრალური, მიუკერძოებელი და იგი, როგორც მოდერატორი, კამათში არ უნდა მონაწილეობდეს, არ უნდა გამოთქვამდეს თავის შეხედულებებს რომელიმე მხარის სასარგებლოდ, მისი მიზანია ყველა მონაწილეს თანარად მისცეს აზრის გამოხატვის საშუალება (3, 59).

ლარინა თავის ნაშრომში პოლიტიკური თოქ-შოუს მონაწილეებად ასახელებს თოქ-შოუს წამყვანს - წამყვან-მოდერატორს და ტელემაყურებლებს.

წამყვანი-მოდერატორი უსვამს კითხვებს თოქ-შოუს მონაწილეებს, რომლებიც, როგორც წესი, იზიარებენ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს; აყენებს პრობლემას, მაგრამ არ გამოთქვამს საკუთარ აზრს. გარდა ამისა, მოდერატორი თვალს ადევნებს დროის სამართლიან განაწილებას, რომელსაც იყენებენ მსჯელობის მონაწილეები თავიანთი აზრების გამოთქმისთვის (6).

უდიდეს ინტერესს წარმოადგენს ე. უშვერიძის მოხსენებები საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი, დათარიღებული 1919 წ. 28 ნოემბრით (11; 12). მოხსენებაში №2 ე. უშვერიძე იძლევა ოდესაში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს ურთიერთობების შეფასებას ყველა მთავრობასთან, რომლებიც ხშირად იცვლებიან ოდესაში და მთლიანად უკრაინაში. მოხსენებაში აღწერილია საქართველოს რესპუბლიკის გენერალური კონსულის ოდესაში საქმიანობა საბჭოთა კავშირის მიერ დაპატიმრებულთა დასაცავად, საკონსულო დაწესებულებების პერსონალის და უცხოელი ქვეშევრდომების ევაკუაციისთვის, რისი ორგანიზების მთელი სიმძიმე დააწვა საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ საკონსულოს ოდესაში: „ევაკუაციის შესასრულებელი მთელი სამუშაო წილად ხვდა საქართველოს საკონსულოს, რომლის მოხელეებიც მუხლჩაუხრელად შრომობდნენ დღე და ღამე“ (12, 70).

¹ ე. უშვერიძე დაიბადა 1884 წლის 4 ნოემბერს ილარიონ ნიკოლოზის ძე უშვერიძისა და ლესია ლევანის ასულის ოჯახში ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფელ სეგულში.

² საქართველოს გენერალური საკონსულოს სხვა თანამშრომლებს შორის მოხსენიებული არიან ვ. ჟორჟოლიანი და ი. მუჯირი, რომელიც ხანდახან ასრულებდა გენერალური კონსულის მოვალეობას. 1919 წლის აგვისტოში საკონსულოს თანამშრომლებს შორის მოხსენიებულია პირველი მდივანი გ. ა. მეფერტი. 1919 წლის აპრილიდან აგვისტომდე საკონსულოს შემადგენლობაში შედიოდა ვ. ვ. თევზაია.

№2 მოხსენების ძირითად ნაწილს წარმოადგენდა უცხოელების, მოკავშირე, ნეიტრალური და კავკასიის სახელმწიფოების დიპლომატიური და საკონსულოს წარმომადგენლების ევაკუაციის ორგანიზება 1919 წელს – საბჭოთა კავშირის ხელისუფლების და ნებაყოფლობითი არმიის ხელისუფლების პერიოდში.

№2 მოხსენება სრულდება შემდეგნაირად: ჩემი მოხსენება არ იქნება სრული, თუ არ აღვნიშნავ იმ პოპულარობისა და გავლენის მიზეზს, რომელიც საკონსულომ შეიძინა ოდესაში საბჭოთა ხელისუფლების დღეებში. როგორც ანტანტას, ისე განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლებას სჭირდებოდა აპარატი, რომლის მეშვეობითაც შესძლებდა საჭირო მოლაპარაკებების წარმართვას. ასეთ აპარატს წარმოვადგენდი მე, როგორც საკონსულო კოლეგიის თავმჯდომარე“ (12, 85).

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულო ოდესაში გაიხსნა 1918 წლის სექტემბერში, საქართველოსა და უკრაინას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ (საქართველოს რესპუბლიკის საკონსულო გაიხსნა ხარკოვშიც) (16). ოდესაში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური კონსულის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ე.ი. უშვერიძე (8). მან დაამთავრა ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და გარკვეული დროის მანძილზე მსახურობდა ნაფიც რწმუნებულად (19). შესაძლებელია, სწორედ ამან მისცა მას გამოცდილება, შესაძლებლობები და კავშირები გადაერჩინა ათასობით ადამიანის სიცოცხლე ოდესაში ხელისუფლების ხშირი ცვლის პირობებში.

ოდესაში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს ძირითადი ამოცანები მდგომარეობდა საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვაში და, აგრეთვე, საქართველოსა და უკრაინას შორის სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში. „შემდეგი მორიგი ამოცანა – საქართველოსა და უკრაინას შორის სწორი სავაჭრო ურთიერთობების დამყარება ... ამ მიმართებით უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები უკრაინის მთავრობასთან. ახლო მომავალში ფორმალური ხელშეკრულება იქნება ხელმოწერილი...“ (8). მოღვაწეობის კიდევ ერთი მიმართულება იყო ოდესაში ქართული სათვისტომოს მხარდაჭერა: „ხვალ დილის 10½ საათზე საქართველოს გენერალური საკონსულოს შენობაში (გოგოლის ქ. 15) შედგება, წესდების მიღების შემდეგ, საქართველოს საზოგადოების პირველი შეკრება ოდესაში“ (5). ამ საკონსულო დაწესებულებისთვის საკმაოდ ორდინალური ამოცანების კორექტირება მოხდა დროითა და გარემოებებით. ჩვენს სტატიაში შევჩერდებით სწორედ ამ ექსტრაორდინალურ ამოცანებზე, რომლების გადაჭრაც უწევდა ე. უშვერიძეს არეულ დროში.

1. ოდესაში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს გახსნის მიზნების შესახებ იმ დროის საქალაქო პრესა წერდა: „საკონსულოს ოდესაში დაარსების უახლოეს ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს ქვეშევრდომი სამხედრო ტყვეებისთვის დახმარების აღმოჩენა, რომლებიც სამშობლოში ტყვეობიდან ბრუნდებოდნენ. საკონსულო ამ ადამიანებს უყოფდა საკონსულოსთან არსებულ პუნქტში ფართს დასვენებისთვის, უზრუნველყოფდა მათ ტანსაცმლით, საკვებით, ფულით და შეღავათიანი პირობებით მათ გამგზავრებას ფოთის პორტამდე. აღსანიშნავია, რომ საკონსულო დახმარებას უწევდა სხვა ეროვნების სამხედრო ტყვეებსაც მანამ, ვიდრე მოხდება შესაბამისი საკონსულო დაწესებულებების ორგანიზება“ (8).

ოდესაში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს მოსამსახურეებმა ხელისუფლების დახმარებით გაათავისუფლეს ტყვეობიდან და დააბრუნეს სამშობლოში პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ათასობით ქართველი: „საქართველოს საკონსულოს მომართავს უამრავი სამხედრო ტყვეობიდან მომავალი, კავკასიაში დაბადებული პირი, შუამდგომლობით სამშობლოში გამგზავრების შესახებ. ამ დღეებში საკონსულომ გაამგზავრა კავკასიაში დაბადებული რუსი ოფიცრების დიდი ჯგუფი“ (5).

საქართველოს მოქალაქეების ევაკუაციის სირთულეების აღწერისას ე. უშვერიძეს მოხსენება №2-ში მოჰყავს თავისი წერილი: „... რომელიც გაეგზავნა საფრანგეთის უმაღლეს სარდლობას კონსტანტინოპოლში, ხოლო ასლი ინგლისის სარდლობას: „უკანასკნელი კვირების მანძილზე, ვწერდი მე, ქართველი მოქალაქეები, სამხედრო ტყვეები და ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს უნივერსიტეტი, ჩამოვიდნენ ოდესაში უკრაინის სხვადასხვა ქალაქებიდან, ტრანსპორტის შემოსვლის მოლოდინში, რომელიც მისცემდა მათ საშუალებას გამგზავრებულიყვნენ თავის სამშობლოში, საქართველოში და არა ყუბანში. ყველა ეს პირები იმყოფებიან საშინელ პირობებში, საკვები მარაგების სიმწირის გამო. მსგავს პირობებში იმყოფებიან სომხები და აზერბაიჯანელები. გთხოვთ მომცეთ დასტური იმისა, რომ ეს პირები გამგზავრებულნი იქნებიან თავიანთ სამშობლოში“ (12, 74).

ე. უშვერიძე წერს ევაკუაციის სამ ტალღაზე. ევაკუაციის პირველი ტალღა შეიქმნა ოდესაში ბოლშევიკების ხელისუფლების დამყარებისთანავე: „ერთდროულად ჩემს მიერ, როგორც საკონსულო კოლეგიის თავმჯდომარის მიერ მიღებულ იქნა ყველა ზომა, ოდესაში თავმოყრილი, როგორც კონსულების, ისე უცხოელების უსწრაფესი ევაკუაციისთვის 2500 კაცზე მეტი ოდენობით“ (12, 69). ევაკუაციის ორგანიზების ძირითადი სამუშაო მთლიანად დააწვა საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ საკონსულოს ოდესაში.

გასამგზავრებელთა რეგისტრაციისთვის შეიქმნა პირველი საევაკუაციო კომისია პროფესორ ავალიანის თავმჯდომარეობით. გასამგზავრებელთა შორის იყვნენ ინგლისის, საფრანგეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის (12, 70) და სხვა სახელმწიფოების პირები. 1919 წლის 14 მაისს ოდესა დატოვა 600-მა უცხოელმა ქვეშევრდომმა, რომელთა შორის იყვნენ არც თუ ცოტა სხვადასხვა სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლები.

ევაკუაციის მეორე ტალღასთან დაკავშირებით წარმოიშვა სირთულეები როგორც საბჭოთა ხელისუფლებასთან, ისე საკავშირო სარდლობასთან. უკანასკნელნი ზღუდავდნენ კავკასიის მცხოვრებთა ევაკუაციას. შავ ზღვაზე ინგლისური ძალების მთავარსარდლისთვის მიწერილ წერილში, კავკასიის მცხოვრებთა ევაკუაციის უზრუნველყოფის თხოვნით, ე. უშვერიძე აღნიშნავდა, რომ „...მეორე ევაკუაცია ზედმიწევნით შეზღუდულია საფრანგეთის უმაღლესი საზღვაო სარდლობის მიერ“ (12, 74). ე. უშვერიძის ძალისხმევით მიუხედავად, მეორე ევაკუაცია შედგა 1919 წლის 12 მაისს. გემი „ლა-სკარპის“ გემბანზე დაუშვეს მხოლოდ ანტანტის ქვეყნების მოქალაქეები, 300 კაცამდე ოდენობით.

ევაკუაციის მესამე ტალღასთან მიმართებაში ე. უშვერიძე წერს: „მიმოწერა და ზრუნვა დაკავშირებული უცხოელების მესამე პარტიის ევაკუაციასთან, გრძელდებოდა ჩვეული ენერგიით, მიუხედავად წინააღმდეგობებისა ყოველ ნაბიჯზე. მაგრამ ამჯერად, მოკავშირეებსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის უკიდურესად გამწვავებული ურთი-

ერთობების გამო, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის გარემოებებით, მცდელობებმა ვერ მოიტანეს დადებითი შედეგები; საბჭოთა ხელისუფლებამ დაიჟინა და თავს არიდებდა უცხოელების გამგზავრების გადაწყვეტილებას თითქმის იმ მომენტამდე, ვიდრე ბოლშევიკებმა არ დატოვეს ოდესა და ძალაუფლება არ გადავიდა მოხალისეთა არმიასზე. მესამე ევაკუაცია, და ისიც მხოლოდ საქართველოს და აზერბაიჯანის მოქალაქეებისა, მოხდა მოხალისეთა არმიის პირობებში, როცა აღდგა სანაოსნო მიმოსვლა შავი ზღვის პორტებში“ (12, 80-81), 1919 წლის სექტემბერში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს ოდესაში ევაკუაციასთან ერთად.

2. ოდესაში ხელისუფლების გაუთავებელი ცვალებადობის ზოგიერთ მომენტებში, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულო ოდესაში რჩებოდა ერთადერთ საკონსულო დაწესებულებად, რომელსაც გადასცემდნენ ხოლმე უფლებამოსილებას სხვა საკონსულო დაწესებულებები თავიანთი ქვეშევრდომების საკონსულო უფლებების დასაცავად: შვეციისა და პოლანდიის კონსულების საქმეები, რომლებიც გაემგზავრნენ თავიანთ ქვეყნებში, და აგრეთვე სხვა უცხოური საკონსულოებისა, გადაცვა საქართველოს საკონსულოს“ (12, 71).

ამ სიტუაციას ე. უშვერიძე თავის №2 მოხსენებაში შემდეგნაირად ახასიათებს: „ოდესაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ გამოიწვია ქალაქის დატოვება სამხედრო-პოლიტიკური წარმომადგენლების, დიპლომატიური მისიების და კონსულების მიერ, ძირითადად, მათ მიერ, ვისაც უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ანტანტის ზოგად პოლიტიკასთან სამხრეთ რუსეთში და, ნაწილობრივ, იდგნენ მის მიერ ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ მოღებული ზომების ცენტრში. დანარჩენები დარჩნენ გაურკვეველი დროით, მათ შორის დავრჩი მეც, განვაცხადე რა ჩემი სრული ნეიტრალიტეტის შესახებ ბოლშევიკების მიმართ. ოდესაში დარჩენილმა კონსულებმა აიღეს თავის თავზე საპასუხისმგებლო მისია იმ უცხოელების დაცვაზე, რომლებმაც ვერ შეძლეს ოდესიდან გამგზავრება, რომელთა მდგომარეობაც, ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ დამოკიდებული გახდა ზოგადპოლიტიკურ გარემოებებზე, რომელიც განსაკუთრებით მძაფრად გამოიხატა ოდესაში მოკავშირეთა ფლოტის მიერ შავი ზღვის სანაპიროს ბლოკადის შემდეგ, რომელთა წყალობით კონსულებს მოუწიათ არა მხოლოდ საკუთარი და უცხო სახელმწიფოების მოქალაქეების, არამედ საკუთარი თავის დაცვაც“ (12, 67-68).

ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ, ოდესაში იხურებოდა საკონსულო დაწესებულებები და დროის გარკვეული მომენტისათვის საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულო ოდესაში რჩებოდა ერთადერთ ფუნქციონირებად საკონსულო დაწესებულებად. საქართველოს რესპუბლიკისადმი განსაკუთრებული მოპყრობის მიზეზი იმდებოდა ... „უკრაინისა და საქართველოს მსხვილ ეკონომიკურ ინტერესებში“ (12, 68) და, სავარაუდოდ, თავად კონსულის პიროვნებაში.

კონსულები, რომლებიც ტოვებდნენ ოდესას, თავიანთი ქვეშევრდომების უფლებების დაცვის მისიას გადასცემდნენ ე. უშვერიძეს და 1919 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულო ოდესაში იცავდა უცხოელების უფლებებს, რომლებიც იმყოფებოდნენ ოდესაში და ახლომდებარე ქალაქებში.

ოდესაში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა, აგრეთვე, დახურული საკონსულოების არქივების დაცვა, რომ-

ლებიც №2 მოხსენებიდან გამომდინარე, გადაეცა ინგლისისა და საფრანგეთის გემების სამხედრო მეთაურებს.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ დოკუმენტებში არსებობს მთელი რიგი სახელმწიფოების კონსულების მიმართეები ე. უშვერიძისადმი თხოვნით, დაეხმაროს მათი სახელმწიფოების ქვეშევრდომების დაცვაში. ამაზე მოწმობს ნორვეგიის სამეფოს კონსულის წერილი, გამოგზავნილი კიევიდან, თხოვნით დაიცვას საკონსულოს მდივნები და, აგრეთვე, დაცვის ქვეშ მყოფი ნორვეგიელი, სერბი, ბერძენი და რუმინელი ქვეშევრდომები (30, 4); წერილი თხოვნით დახმარება და დაცვა აღმოუჩინოს იტალიის კონსულის მდივანს და დახმარება გაუწიოს მას იტალიელი ქვეშევრდომების ევაკუაციაში (29, 5-6); ფინეთის საქმეებში რწმუნებულის წერილი თხოვნით მფარველობა გაუწიოს „ფინეთის ქვეშევრდომებს და აგრეთვე საკონსულოსა და საელჩოს და გამგზავრების შეუძლებლობის შემთხვევაში უარი არ უთხრას საელჩოსა და საკონსულოს თანამშრომლებს თავის მფარველობაში“ (33, 34); წერილი აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლის უკრაინაში თხოვნით „მიიღოს თავისი მფარველობის ქვეშ ყველა ოდესაში დარჩენილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე“ (26, 35). შვეიცარიის მისიის ბრიტანეთის ატაშეს წერილი რუსეთში (24, 2).

ვახდენთ სპარსეთის საიმპერატორო კონსულის წერილის ციტირებას, რომლის ზოგიერთი ფრაზაც იმსახურებს ყურადღებას: „ბოლშევიკური კოშმარისა და ტერორის უძიმეს დღეებში მე, ისევე როგორც თქვენ, არაერთხელ მომმართავდნენ არა მხოლოდ ჩვენი ქვეშევრდომები, არამედ რუსი მოქალაქეებიც, და ამ მომენტისათვის რთულ შემთხვევებშიც, თქვენ ოდესის საკონსულოების საბჭოს თავმჯდომარის რანგში, ყოველთვის აღმომიჩენდით ხოლმე მე ყველაზე ფართო დახმარებას, როგორც კოლეგა“ (27, 20).

3. საქართველოს საკონსულო იყო სხვა სახელმწიფოების კონსულების თავშესაფრის, მათი საერთო პოზიციის შემუშავებისა და ოდესაში და საკონსულო წრეებში მიმდინარე მოვლენებზე რეაგირების ადგილი მრისხანე რევოლუციურ წლებში. სარგებლობდა რა დიდი ავტორიტეტით ოდესაში აკრედიტებულ სხვა სახელმწიფოების კონსულებს შორის, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური კონსული ოდესაში ე. უშვერიძე არჩეული იყო ოდესის კონსულთა საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო საქართველოს გენერალური საკონსულოს შენობაში არაერთხელ ტარდებოდა კიევის, ხარკოვისა და ოდესის საკონსულო კოლეგიების გაერთიანებული სხდომები ე. უშვერიძის თავმჯდომარეობით (37; 38; 39; 40; 41).

1919 წლის 9 აპრილის სხდომაზე „ოდესაში დარჩენილი კონსულების ინიციატივით“ გადაწყდა „კრებას მისცემოდა მუდმივი ხასიათი...“ სხდომა გაიხსნა განცხადებით „...საჭიროებისამებრ, თავმჯდომარე, აღნიშნული წარმომადგენლების საბჭოთა ხელისუფლებისადმი ნეიტრალიტეტის გამო, და აგრეთვე საერთაშორისო სამართლის პრინციპების გამო, - შევიდეს მუშათა დეპუტატების ოდესის საბჭოში შუამდგომლობით ქონების დაცვაზე საქმიანობის და სახელმწიფოების მოქალაქეთა პიროვნების დაცვის სანქციის შემოღების თაობაზე“ (37, 88-89).

ე. უშვერიძე, როგორც ოდესის კონსულების საბჭოს თავმჯდომარე, არაერთხელ გამოსულა საკონსულოს წარმომადგენლების, საკონსულოს შენობებისა და ქონების ხელშეუხებლობის დასაცავად. ამას მოწმობს უამრავი დოკუმენტი ოდესაში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური კონსულის არქივიდან. მოვიყვანთ ერთ-ერთ ამონა-

რიდს: „[გერმანიის კონსულის დაპატიმრების შემდეგ] მას შემდეგ, რაც განვაცხადე, რომ მე წინააღმდეგობას გავუწევ ამ დაპატიმრებას მთელი დემოკრატიული ევროპის წინაშე, მე შევძელი პატიმრობის ადგილას შეღწევა და პატიმრობისთვის საუკეთესო პირობების მოპოვება. როცა დააპატიმრეს პოლანდიის და შვედეთის კონსულები, მე მოვითხოვე ჩემი საკუთარი დაპატიმრება, რის შემდეგაც დასახელებული კონსულები დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეს“ (12, 69).

4. ეჭვგარეშეა, რომ ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა უცხოელი ქვეშევრდომების დაცვა, ხშირად კი ოდესის მოსახლეობისაც, ყველა შესაძლებელი ხერხით. წითელი ტერორის პირობებში ე. უშვერიძემ და მისმა კოლეგებმა შეძლეს გადაერჩინათ სხვადასხვა ეროვნების ადამიანების სიცოცხლე.

სწორედ ამ მოღვაწეობაზე გვიამბობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების მოსამსახურეთა პროფესიონალური ცენტრალური კავშირის წერილი, რომელიც შეიცავს თხოვნას უნივერსიტეტის პროფესორებისა და სასამართლო დაწესებულებების მოსამსახურეებისადმი დახმარების შესახებ, რომლებიც დააპატიმრა ოდესის საგანგებო კომისიამ, რომლებიც მძევლად არიან აყვანილი, რის გამოც ისინი იმყოფებიან დაცვის ქვეშ კონკრეტული დანაშაულის წარდგენის გარეშე (35, 15-17); ოდესაში დროებით ჩამოსული პოლონეთის მოქალაქეების თხოვნა (42, 48-49); შავი ზღვისპირეთის გერმანელი-კოლონისტების კავშირის ცენტრალური კომიტეტის წერილი (36, 50). აღნიშნულ პირველ წერილთან მიმართებაში საარქივო მასალებში არის ე. უშვერიძის შუამდგომლობა, გაგზავნილი ოდესის საგანგებო კომისიის სახელზე, რომელშიც გენერალური კონსული, თან ურთავს რა აგრეთვე პროფკავშირების აღმასკომის წერილს, აღნიშნავს, რომ „ოდესაში 10 თვის მუშაობის მანძილზე, საქართველოს საკონსულო იყო ხელისუფლების 4-ჯერადი შეცვლის მოწმე, მაგრამ საკონსულოს ამოცანა, როგორც სავსებით ნეიტრალური დაწესებულებისა ყველა მომენტში რჩებოდა მოცემული ხელისუფლების პოლიტიკური კურსის დამოუკიდებელი და ერთი და იგივე: ყველა გაჭირვებულის ხვედრის შემსუბუქება“ (43, 9-10).

ამ მოვლენების შესახებ წერს თავად ე. უშვერიძე საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი მოხსენებაში: „საქართველოს საკონსულოს პოპულარობას ხელს უწყობდა აგრეთვე ის, რომ საქართველოს საკონსულომ, ჩემი სახით, აიღო მძიმე პასუხისმგებლობა წითელი ტერორის მსხვერპლთა ხვედრის შესამსუბუქებლად. მე იმის მუქარით, რომ მთელი მსოფლიოს გასაგონად გამოვაქვეყნებდი ოდესის საგანგებო კომისიის ქმედებების შესახებ, ვახერხებდი თითქმის ყოველთვის გამენტავისუფლებინა წითელი ტერორის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირები“ (12, 84).

პოლონეთის მოქალაქეების წერილში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსულის მისამართით გამოხატულია მადლიერება „ჩვენს თანამემამულეებზე – პოლონელებზე ზრუნვის გამო, რომლებიც იმყოფებოდნენ პატიმრობაში და ცდილობდნენ სამშობლოში გამგზავრებას. ჩვენ გთხოვთ თქვენ კვლავაც არ მიატოვოთ ისინი დაცვის გარეშე და დაეხმაროთ მათ სადილების და შემწეობის გაცემით“ (34, 45).

5. მოხალისეთა არმიის ნაწილების მიერ ქალაქის დაპყრობის შემდეგ, 1919 წლის აგვისტოში, სამხედრო ხელისუფლებამ მოითხოვა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს დაუყოვნებლივ დახურვა: „ოდესაში მოხალისეთა სარდლობამ იხილა ქართული გენერალური საკონსულოს მოღვაწეობა, რომელიც ერთადერთი იყო

მოხალისეთა არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. ამ დროს, როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობა ჯერ არ იყო აღიარებული სამხრეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მიერ, რომლის წარმომადგენელიც გენერალი ბარატოვი გაემგზავრა თბილისში მოლაპარაკებების საწარმოებლად. რუსი ჯარი მიუახლოვდა ქართულ საზღვრებს. საქართველოს რესპუბლიკის გენერალური კონსული ოდესაში [ევსეი ილარიონის-ძე] უშვერიძე ეახლა ოდესის გორნიზონისა და რუსეთის საზღვაო სარდლობის უფროსს, მაგრამ ურთიერთობა ადგილობრივ რუსულ ხელისუფლებასა და ქართველ წარმომადგენლებს შორის არ არის მთლად გარკვეული“ (10, 2).

ამ მოვლენებს ე. უშვერიძე აღწერს შემდეგნაირად: „მაგრამ ვიდრე ამ ევაკუაციას მივალწვედი, მე, როგორც საქართველოს კონსულს, მომიწია მთელი რიგი რეპრესიების გადატანა მოხალისეთა არმიის წარმომადგენლების მხრიდან, რომლებიც ოდესაში შემოსვლის პირველივე დღიდან ჩადგნენ მტრულ დამოკიდებულებაში ჩემს მიმართ, როგორც საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელთან. 1 სექტემბერს, ოდესის საკონსულოს ერთწლიანი არსებობის დღეს - მე მივიღე ოდესის გარნიზონის უფროსის მიმართვა, რომელშიც მე მთავაზობდნენ საკონსულოს ფუნქციის შეწყვეტას, მე ამჯერად გამოეხატე მხოლოდ ფორმალური პროტესტი, მომართვის გათვალისწინებით, დავხურე საკონსულო და დაუყოვნებლივ მივიღე საკონსულოს საქმეების ლიკვიდაციის და ერთდროულად ქართველი მოქალაქეების ევაკუაციის ზომები“ (12, 81).

თავისი დამოკიდებულება საქართველოსადმი და საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულოსადმი ოდესაში, ნოვოროსიისკის ოლქის გენერალმა ნ. ნ. შილინგმა გაახმოვანა შემდეგნაირად: „არანაირი ურთიერთობები საქართველოსთან ჩვენ არ გავგაჩნია. მას არ ეძლევა ნება იყოლიოს კონსული“ (1).

1919 წლის 18 აგვისტოს გამოიცა შილინგის ბრძანება ოდესაში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს დახურვის შესახებ (18, 54).

ამ მოვლენებზე მოწმობს ქ. ოდესის გარნიზონის უფროსის 1919 წლის 29 აგვისტოს №1080 წერილი, გამოგზავნილი ე. უშვერიძის მისამართით: „საქართველოს საკონსულმ ოდესაში შეწყვიტა არსებობა. თქვენ შეგიძლიათ მომმართოთ მე, როგორც კერძო პირმა, ხოლო როგორც საქართველოს ქვეშევრდომი, უნდა მომმართოთ იმ უცხოური წარმომადგენლობის მეშვეობით, ქ. ოდესაში, რომელმაც აიღო თავის თავზე საქართველოს ქვეშევრდომების ინტერესების დაცვა“ (20, 24).

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს დახურვამ და გენერალური კონსულის გამგზავრებამ გამოიწვია პოზიტიური ემოციების ტალღა საქართველოს მიმართ უამრავი ოდესელის მხრიდან. ე. უშვერიძეს ესტუმრა მრავალი დელეგაცია სხვადასხვა საზოგადოებრივი და ნაციონალური ჯგუფების წარმომადგენელთა სახით: პოლონეთის კოლონიიდან, სომხეთის კოლონიიდან, შავი ზღვისპირეთის გერმანელ-კოლონისტთა საბჭოდან, ადგილობრივი გერმანული და ესტონური კოლონიებიდან, ოდესისა და ხერსონის გუბერნიის საზოგადოებრივი და სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა კავშირიდან, რომლებიც გამოთქვამდნენ მადლიერებას მათი თანამემამულეების, კოლეგების, მეგობრების, ნათესავების დახმარებისა და გადარჩენის გამო (18, 55). ეპისკოპოსი ალექსი მადლობას სწირავდა „ქართული-სულის გმირებს, საუკეთესო ძმებს სარწმუნოებით“ სასულიერო პირების გადარჩენისთვის ბოლ-

შევიკებისგან (2). საქართველოს საკონსულოს დახურვამ ფართო გამოხმაურება პოვა ოდესის პრესაში (14, 4).

გამგზავრების წინ ე. უშვერიძე და მისი თანამშრომლები მოინახულეს უცხოელი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა და ადგილობრივმა საზოგადო მოღვაწეებმა, რომლებმაც აღნიშნეს ე. უშვერიძის ღვაწლი, რის შესახებაც მათ ამცნეს ანტანტის ქვეყნების მთავრობებს. საფრანგეთის ადგილობრივი სარდლობისგან ე. უშვერიძემ მიიღო მადლობის წერილი (19).

საფრანგეთის საქველმოქმედო საზოგადოების დროებითმა პრეზიდენტმა ლონტიემ საფრანგეთის კოლონიის სახელით მადლობა გადაუხადა ე. უშვერიძეს იმისთვის, რომ ის მოთმინებითა და ზრუნვით ეპყრობოდა ფრანგ მოქალაქეებს: „საქართველოს კონსულსა და მის თანამშრომლებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ ყოველთვის, როცა ჩემს თანამემამულეებს მოუწევთ პოლიტიკურ მოვლენებზე საუბარი, რომელთა მოწმეებიც თავად იყვნენ, კონსულისა და მისი თანამშრომლების სახელები, წრფელი გულიდან მომდინარე მადლიერების გრძობით განმსჭვალული ყოველთვის იქნება მათ ბაგეებზე“ (22). საარქივო დოკუმენტებში არის რამდენიმე წერილი ფრანგულ ენაზე ოდესის საფრანგეთის საქველმოქმედო საზოგადოების ბლანკზე, რომელიც დათარიღებულია 1919 წლის 22 აგვისტოთი და დამისამართებულია «Одесский листок»-ში (20, 18-19).

1919 წლის 11 სექტემბერს საქართველოს გენერალური საკონსულოს წევრები სპეციალური იალქნიანი ხომალდით გაემგზავრნენ საქართველოში. საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს დახურვის თაობაზე გახეთი «Одесский листок» 1919 წლის 11 სექტემბერში წერდა: „გუშინ გემით „ჩერნომორი“ ბათუმის მიმართულებით გაემგზავრა საქართველოს საკონსულოს შემადგენლობა. საკონსულოს წევრები ევსეი უშვერიძის მეთაურობით ტოვებენ შესანიშნავ მოგონებებს ოდესელების გულებში, ვინაიდან ჩვენი ქალაქის უამრავი მცხოვრები „წითელი ტერორის“ დღეებში პოულობდა დაცვას ქართველი წარმომადგენლის მხრიდან... ვიმედოვნებთ, რომ როცა კვლავ დამყარდება ნორმალური ურთიერთობები, ისინი კვლავ დაბრუნდებიან ჩვენთან...“ (21).

სამი თვის შემდეგ, საფრანგეთის და ინგლისის სარდლობისადმი აპელაციის შემდეგ ე. უშვერიძე დაბრუნდა ოდესაში და სათავეში ჩაუდგა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განსაკუთრებულ ეკონომიკურ მისიას სამხრეთ უკრაინასა და რუმინეთში“. მაგრამ ეს უკვე სხვა ისტორიაა, რომლის შესახებაც მოძიებულ საარქივო დოკუმენტებში არაფერია ნათქვამი.

6. ე.ი. უშვერიძის მომავალი რთულად წარიმართა. ის გაასახლეს ტვერის ოლქის ქ. კაშინში. შემდგომ, 1942 წლის 7 თებერვალს, დააპატიმრეს და 1942 წლის 14 დეკემბერს რფ სკ მუხ. 58-10 ნ.2 სამხედრო ტრიბუნალის მიერ მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. 1943 წლის 20 აგვისტოს სსრკ ნკვდ სამხედრო ტრიბუნალის მიერ განაჩენი შეუცვალეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთით. ე. უშვერიძე სასჯელს იხდიდა „სამხრეთ რკინიგზის ნკვდ- ბანაკში“. უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ 1943 წლის დეკემბერში საქმე შეწყდა. ეს ე. უშვერიძის პიროვნების კიდევ ერთი გამოცანაა.

ამ მოვლენების შესახებ, ჩვენი აზრით, ირიბად მოწმობენ 1919 წლის საარქივო მონაცემები: საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი 1919 წლის 28 ნოემბრის №1 მოხსენება, საქართველოს ეროვნული არქივი - რამდენიმე სტრიქონი

მსხვილად არის ხაზგასმული წითელი ფანქრით: „... სადილებით სარგებლობდა რუსული ინტელიგენციაც, ეს უკანასკნელნი მარადებოდნენ შესასვლელი ბარათებით, იმისთვის, რომ შიგნით ვერ შეეღწია საბჭოთა მუშაკებს“ (11, 58). სავარაუდოა, რომ მათ შორის ამ სტრიქონებსაც ემყარებოდა ბრალდებები ე. უშვერიძის მიმართ.

როგორც ე. უშვერიძის შვილთაშვილი აღნიშნავს, იგი გათავისუფლდა მხოლოდ 50-იან წლებში. შემდგომ ცხოვრობდა თბილისში, მუშაობდა საარბიტრაჟო სასამართლოში. გარდაიცვალა 1960 წელს (19).

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით აგვესახა ამ სტატიაში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს არქივის (1918-1919 წლების) ყველა მასალა. ის შეიცავს ზღვა ინფორმაციას ორი, სულით ამაყი, უკრაინელი და ქართველი ხალხის დიპლომატიური ურთიერთობებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესახებ. როგორც ცნობილია, ისტორია მეორდება და ქართველი და უკრაინელი ხალხი ისევ ერთ ნაგშია, რომელსაც აქანავებს ჩვენი აგრესიული მეზობელი და მნიშვნელოვანია საქართველოსა და უკრაინის ურთიერთდახმარება და ერთმანეთის მხარდაჭერა. და დიპლომატებსა და დიპლომატიას ამ ბრძოლაში სულაც არ უკავიათ ბოლო ადგილი.

ლიტერატურა:

1. Беседа с Генералом И. Н. Шиллингом, «Одесский Листок», 1919, 5 сентября.
2. Благодарность епископа, «Одесские новости», 1919, 23 августа.
3. В Грузинском консульстве, «Одесский Листок», 1918, 4 октября, №208.
4. В Грузинском консульстве, «Одесские новости», 1919, 20, 30 августа.
5. В грузинском обществе, «Одесские новости», 1918, 9 ноября.
6. Вынужденный отъезд Грузинского консульства, «Одесский Листок», 1919, 23 августа, №96.
7. Въезд в Грузию, «Одесские новости», 1919, 26 января.
8. Генеральное консульство в Одессе, «Одесский Листок», 1918, 17 (4) сентября, №195.
9. Грузинское генеральное консульство в Одессе. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
10. Грузия и Россия, «Одесский Листок», 1919, 22 августа, №95.
11. Доклад №1 Министру иностранных дел Республики Грузия о деятельности консульства от 28 ноября 1919 г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
12. Доклад №2 Министру иностранных дел Республики Грузия о деятельности Грузинского консульства в Одессе от 28 ноября 1919 г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
13. Защита интересов иностранцев, «Одесский Листок», 1919, 15 августа.
14. К отъезду грузинского консульства, «Одесский Листок», 1919, 22 августа, №95.
15. К отъезду грузинского консульства, «Одесский Листок», 1919, 25 августа, №98.
16. Матяш І. Українсько-грузинські дипломатичні відносини в 1919-1921 рр.: політичні завдання та організаційні форми, Україна і Грузія у міжнародних відносинах: історія та спільні виклики сучасності. До століття встановлення дипломатичних відносин: Збірка наукових праць. Упоряд. Ірина Матяш, Тамаз Путкарадзе; Вступне слово: Валерій Смолій, Ігор Долгов; Інститут історії України НАН України, Наукове товариство історії дипломатії та міжнародних відносин. Київ: Інститут історії України НАН України, 2018.

17. Музичко, О. Є. Грузини в Одесі: історія та сучасність, Генеральне Консульство Грузії в м. Одесі. Одеса: ВМВ, 2010.
18. Музичко О. Є. Грузини в історії Південної України: спільне море та доля / О. Музичко; Ред. Т. Нішніанідзе; Наук. ред.: д. істор. н., проф. З. Абашидзе, д. філол. н., проф. О. Мушкудіані. Одеса: ВМВ, 2016.
19. Музичко О., Перший грузинський консул в Одесі Овсій Іларіонович Ушверідзе: толерантність як принцип дипломаті, Південний захід. Одесика. Історико-краєзнавчий науковий альманах. Вип. 21. Одеса: Друкарський дім, 2016.
20. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
21. «Одесский Листок», 1919, 11 сентября, №208.
22. «Одесские новости», 1919, 24 августа.
23. Отъезд военнослужащих, уроженцев Кавказа, «Одесские новости», 1918, 21 декабря.
24. Письмо Атташе британской секции швейцарской миссии в России от 11 июня 1919 г. (англ.) Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
25. Письмо в редакцию, «Одесский Листок», 1919, 24 августа, №97.
26. Письмо Дипломатического представителя Азербайджанской Республики в Украине от 24 апреля 1919 г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
27. Письмо Императорского консула Персии от 31 августа 1919 г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
28. Письмо Итальянского благотворительного общества от 15 сентября 1919 г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
29. Письмо Итальянского консула в Киеве от 4 июня 1919 г. Национальный архив Грузии. – Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
30. Письмо Королевского Норвежского Консула от 11 июня 1919 г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
31. Письмо Начальника Гарнизона г. Одессы от 29 августа 1919 г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
32. Письмо от немецкой колонии (нем.) Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
33. Письмо Поверенного в делах Финляндии от 4 апреля 1919 г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
34. Письмо польских граждан от 4 августа 1919 г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
35. Письмо Профессионального центрального союза служащих государственных и общественных учреждений от 15 июля 1919 г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
36. Письмо Центрального комитета Союза немцев-колонистов Черноморского края от 21 августа 1919 г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
37. Протокол заседания Консулов: Нидерландского, Норвежского и Датского, Шведского, Персидского, Швейцарского, Германского, Грузинского от 9 апреля 1919г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
38. Протокол заседания Консулов: Нидерландского, Норвежского и Датского, Швейцарского, Германского, Персидского и Грузинского от 13 апреля 1919г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.

39. Протокол заседаний Коллегии Консулов Одессы 13 апреля 1919 г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
40. Протокол 5-го заседания Консулов в Одессе от 4 мая 1919 г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
41. Протокол Соединённого заседания Киевской, Харьковской и Одесской Консульских Коллегий от 8 июня 1919 г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
42. Прошение граждан Польши, временно пребывающих в Одессе Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
43. Ходатайство в Одесскую Чрезвычайную Комиссию от 16 июля 1919 г. Национальный архив Грузии. Фонд 1871. Описание 1. Дело 1.
44. Царцидзе Т. Діяльність Генерального консульства Грузії в Одесі (1918-1919 рр.) / Тимур Царцидзе, «Одеські вісті», 2015, 25 липня.

Tymur Korotkyi, Amiran Khevtsuriani
Yevsey Ushveridze –
the activities of the Consul General of Georgia in Odessa in 1918-1919
Summary

The paper focuses on the the history of the formation of Georgian-Ukrainian relations in 1918-1919 through the prism of the activities of Consulate General of the Republic of Georgia in Odessa. The main attention is paid to the personality of the Consul General of the Republic of Georgia in Odessa, Yevsey Illarionovych Ushveridze, and his activities during the period of revolutionary events in Odessa for the protection of citizens of the Republic of Georgia, foreign nationals, personnel of foreign consular missions. The little-known documents of the Archives of the General Consulate of the Republic of Georgia in Odessa in 1918-1919 are analyzed.

Тимур Короткий, Амиран Хевцურიани
Евсей Ушверидзе –
Деятельность Генерального консула Грузии в Одессе в 1918-1919 гг.
Резюме

В статье рассмотрена история становления грузино-украинских отношений в 1918-1919 гг. через призму деятельности Генерального консульства Республики Грузия в Одессе. Основное внимание уделено личности Генерального консула Республики Грузия в Одессе Евсея Илларионовича Ушверидзе и его деятельности в период революционных событий в Одессе по защите граждан Республики Грузии, иностранных подданных, персонала иностранных консульских представительств. Исследованы малоизвестные документы Архива Генерального консульства Республики Грузия в Одессе 1918-1919 гг.

ასმათ გუგაია
(საქართველო)

**ზვილის აყვანისა და მიწობით აღზრდის შედარებით –
სამართლებლივი ანალიზი**

სამოქალაქო სამართლის სოციალური ღირებულება, უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება იმ ფუნქციური შესაძლებლობებით, რომლებიც სამართლის მოცემულ დარგს გააჩნია. სამოქალაქო სამართალი სამართლის ის დარგია, რომელსაც იურიდიულ ენაზე გადააქვს ცივილიზაციის ყველაზე მთავარი მიღწევები – პიროვნების თავისუფლება, კერძო საკუთრება, თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობა და სხვ.

სამოქალაქო სამართალი სხვა სოციალური ღირებულებებითაც გამოირჩევა. კერძო ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობების სამოქალაქო სამართლით მოწესრიგების გზით ხდება ადამიანის მრავალფეროვანი მატერიალური თუ სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე მხოლოდ მეოცე საუკუნის მიწურულს ეძლევა საშუალება ჩამოყალიბდეს სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ჯანსაღია მისი წევრების უფლებათა დაცვის სრულფასოვანი მექანიზმებით. საზოგადოების გაჯანსაღებისთვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამოქალაქო სამართლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: შვილად აყვანა, მეურვეობა და მზრუნველობა, შვილობილად მიღება.

სამოქალაქო სამართალი, სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, კერძო ხასიათის, ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობების მოწესრიგებას ახერხებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხერხებითა და მეთოდებით, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, კერძო სამართლის სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობით გამოიხატება. რამდენადაც ყველა ადამიანს, თავისი ცნობიერებისა და ნებისყოფის მდგომარეობის მიუხედავად, ქმედუნარიანობასა და ქმედუნარობას გარკვეული მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები გააჩნია, რომელთა დაკმაყოფილების საშუალებას საბაზრო ეკონომიკის პირობებში უფლებები წარმოადგენს, სამოქალაქო სამართლით ყველა ფიზიკურ პირს მინიჭებული აქვს სამოქალაქო უფლებაუნარიანობა, ანუ უნარი, პქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. სამართალსუბიექტურობა, როგორც წესი, გულისხმობს უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ერთიანობას. სამართლის სუბიექტად ფიზიკური პირის აღიარებისათვის აუცილებელი არ არის დასახელებული ელემენტების დამთხვევა ერთ პირში. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებად აღიარებული არიან არა მხოლოდ ის პირები, რომელთაც ერთდროულად აქვთ უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, არამედ ის პირებიც, რომლებსაც მხოლოდ უფლებაუნარიანობა გააჩნიათ. სამართალსუბიექტად მიიჩნევიან ის ადამიანებიც, რომელთაც თავიანთი ნების შესაბამისად არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ უფლებები და იკისრონ მოვალეობები, მაგალითად, მცირეწლოვნები 7

წლიდან ან ის არასრულწლოვნები, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი. უფლებაუნარიანობა მოიცავს არა მხოლოდ უფლებებს, არამედ მოვალეობების ფლობის უნარსაც. თუკი პიროვნებას თავისი ნებითა და მოქმედებით სხვადასხვა მიზეზის გამო, არ შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა ურთიერთობებში, აღიზარდოს საზოგადოების სრულფასოვან წევრად და ჩამოყალიბდეს სრულყოფილ ადამიანად, სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ ინსტიტუტებს არასრულწლოვნების ოჯახური გარემოს შექმნისა და აღზრდის სათანადო ფორმებს. ამ მიზანს ემსახურება შვილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის და შვილობილად ოჯახში მიღების ინსტიტუტი.

სამოქალაქო საოჯახო სამართალში აღნიშნულ ფორმათა მომწესრიგებელი ნორმები უნდა გაანალიზდეს კონკრეტულად არასრულწლოვნებთან მიმართებით. მეურვეობისა და მზრუნველობის, შვილად აყვანისა და შვილობილად მიღების, კანონით დადგენილ უფლებამოვალეობათა განხორციელების გზით, რომელიც იმავედროულად ნიშნავს ბავშვთა აღზრდის სფეროში ოჯახური ფუნქციის განხორციელებას.

ბავშვის ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა სრული და ჰარმონიული განვითარებისთვის იცხოვროს და აღიზარდოს ოჯახურ გარემოში. თუ იგი დარჩენილია მშობლების მეთვალყურეობისა და ზრუნვის გარეშე, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს ამ უფლების რეალიზაციას. ბავშვებზე ზრუნვა სახელმწიფოს განსაკუთრებული პეროგატივაა. ოჯახის მთავარი ფუნქცი, სხვა ფუნქციებთან ერთად, ღირსეული თაობის აღზრდაა. ბავშვი უაღრესად მგრძობიარეა და, ამდენად, ის ოჯახში ითვისებს ზნეობრივი მოქმედების უმარტივეს წესებს.

ბავშვის აღზრდა მშობლის არა მხოლოდ პირადი, არამედ უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვალეობაა. დიდი პედაგოგი მაკარენკო აღნიშნავდა: „ბავშვები არიან კაცობრიობის მომავალი მოქალაქენი, ბავშვის აღზრდა ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი სფეროა, ჩვენი ბავშვები არიან ჩვენი მოხუცებულობა, წესიერი აღზრდა ეს არის ჩვენი ბედნიერი მოხუცებულობა, ცუდი აღზრდა ეს არის ჩვენი დანაშაული სხვა ადამიანის წინაშე, მთელი ქვეყნის წინაშე“ (1).

ბავშვის (არასრულწლოვნების) აღზრდა და მათზე ზრუნვა სწორედ სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფუნქციაა. მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი განვითარება, პირველ რიგში, მართალია, მშობლის მოვალეობაა, მაგრამ ბავშვი მხოლოდ მშობელს არ ეკუთვნის. იგი სახელმწიფოსა და საზოგადოების კუთვნილებაცაა. ამ პრინციპიდან გამომდინარე, მათი აღზრდა განიხილება როგორც სახელმწიფო საქმე და მიიჩნევა არა მარტო ზნეობრივ, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობად, შემდგომში უფლება-მოვალეობათა წარმოშობით. ამიტომ საოჯახო კანონმდებლობა მიმართულია არა მხოლოდ მშობლის უფლების დაცვისკენ, არამედ ბავშვის აღზრდისათვის მოვალეობათა დაკისრებისა და მათთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის გაძლიერებისკენ.

საოჯახო კანონმდებლობა აძლიერებს მოთხოვნებს მშობლების მიმართ და მკაცრ პასუხისმგებლობას აკისრებს იმ მშობლებს, რომლებიც თავიანთ მოვალეობებს არ ასრულებენ ბავშვების აღზრდის საქმეში.

სსკ-ის 1198 მუხლით, მშობლები მოვალენი არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის,

აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერსების უპირატესი გათვალისწინებით.

სშირია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მიზეზთა გამო (მაგალითად, მშობლების გარდაცვალება, ავადმყოფობა, მშობლის უფლების ჩამორთმევა, ხანგრძლივი მივლინება), ბავშვები რჩებიან მშობელთა ზრუნვისა და მეთვალყურეობის გარეშე. რადგან ბავშვებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ საზოგადოებაში სრულყოფილი ურთიერთობების წარმართვა, მათი ხანგრძლივი ვადით უმეთვალყურეოდ დატოვება ყოველად დაუშვებელია. მათი აღზრდისა და მათზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა, რასაც იგი მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს მეშვეობით ახორციელებს, რომლის მოვალეობას წარმოადგენს იმ ბავშვების გამოვლენა, რომლებსაც ესაჭიროებათ დაცვა და მათთვის აღზრდის ფორმების დადგენა.

აღმზრდელობითი პროცესი მეტად რთული საქმეა და იგი მოითხოვს გარკვეულ ურთიერთობებს ბავშვებსა და აღმზრდელ პირებს შორის. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა ბავშვის აღზრდისათვის, გათვალისწინებული უნდა იქნეს ფსიქოლოგიური მომენტები, ბავშვებსა და აღმზრდელ პირებს შორის დამყარებული ურთიერთობები და, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის უნარი წარმართოს აღმზრდელობითი პროცესი.

სამოქალაქო კოდექსმა მეურვეობისა და მზრუნველობის და შვილად აყვანის საკითხები განათავსა მეხუთე წიგნში, რომელიც საოჯახო სამართალს ეძღვნება, რაც შეეხება ოჯახში შვილობილად მიღებას, იგი სამოქალაქო კოდექსით არ არის რეგლამენტირებული. სწორედ ასეთმა ხარვეზმა განაპირობა დამატებითი სავალდებულო ნორმის მიღება, კერძოდ, შვილად აყვანის წესის რეგლამენტაცია დეტალურად მოცემულია 1997 წლის 18 ოქტომბერს მიღებულ კანონში „შვილად აყვანის წესის შესახებ“ და ასევე, 1999 წლის 22 ივნისს მიღებულ კანონში „ობოლ და მშობელთა ზრუნვამოკლებული ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“.

აღნიშნული სამართლებრივი ნორმები დეტალურად არეგულირებს ზრუნვამოკლებული ბავშვების სამართლებრივ სტატუსს.

შვილად აყვანის ინსტიტუტის ძირითად მიზნებს წარმოადგენს იმ არასრულწლოვანი პირებისთვის აღზრდისა და რჩენისათვის ნორმალური პირობების შექმნა, რომლებიც დაობლდნენ ან მათ მშობლებს არ გააჩნათ შვილების აღზრდისათვის სათანადო პირობები (მშობლის უფლების ჩამორთმევა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადება, მძიმე მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა და სხვ.). შვილად აყვანა დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესების შესაბამისად.

შვილად აყვანით ბავშვი მუდმივად უნდა განიცდიდეს და გრძნობდეს მშობლებისგან კეთილგანწყობას, სიბოლსა და სიყვარულს, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმისათვის, რომ ნაშვილები საზოგადოების სრულფასოვანი წევრი გახდეს.

მეურვეებისა და მზრუნველების ბავშვებთან ურთიერთობას კანონი არ უთანაბრებს სისხლით ნათესაობაზე დამყარებულ ურთიერთობებს. შვილად აყვანა კი, სამართლებრივი თვალსაზრისით, სრულად უთანაბრდება მშობლების ღვიძლ შვილებთან ურთიერთობას. მშვილებელი და ნაშვილები იძენენ ანალოგიურ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც არსებობს ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილებს შორის.

მეურვეები და მზრუნველები იმავე მოვალეობებს ასრულებენ, რასაც ღვიძლი მშობლები და შვილად ამყვანები, თუმცა ისინი შეზღუდული არიან გარკვეულ უფლებებში, რადგან დაქვემდებარებული არიან კონტროლს – მეურვეები და მზრუნველები ანგარიშვალდებული არიან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების წინაშე. ვფიქრობთ, ცუდი არ იქნება, თუ ამგვარი კონტროლი დაწესდება შვილად აყვანის შემთხვევაშიც პირველი 5 წლის განმავლობაში.

მეურვეობა და მზრუნველობა არ წარმოშობს მშობლების მსგავს ქონებრივი ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მეურვეობა და მზრუნველობა არ მოითხოვს რეგისტრაციას სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში.

მეურვის ან მზრუნველის მოქმედებები შეიძლება გასაჩივრდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებში ნებისმიერი პირის მიერ, მათ შორის, თვით სამზრუნველო პირის მიერაც და მისი უფლებების შელახვის შემთხვევაში მოითხოვოს მზრუნველის გათავისუფლება დაკისრებული მოვალეობების შესრულებისგან. მეურვეები და მზრუნველები არ არიან ვალდებული არჩინონ სამზრუნველო და სამეურვეო პირები. საკმარისი სახსრების არარსებობის შემთხვევაში ბავშვის შესანახად სახსრების გაღება ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ.

განსხვავებით მეურვეობისა და მზრუნველობისა, შვილად აყვანა რეგისტრირებული უნდა იქნეს სამოქალაქო აქტების სარეგისტრაციო ორგანოში. შვილად აყვანის საკითხი განიხილება და წყდება სასამართლოს მიერ. მშვილებელსა და ნაშვილებს შორის, აგრეთვე, მათ ნათესავებს შორის ურთიერთიერთმოვალეობები წარმოიშობა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. სამოქალაქო რეგისტრაციას შესაბამის ორგანოებში გადამწვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვას თვალსაზრისით. რეგისტრაცია ამტკიცებს შვილად აყვანის ფაქტს, ხელს უწყობს შვილად აყვანის საიდუმლოების უზრუნველყოფას, საჭირო შესწორებები შეაქვს ჩანაწერებში ნაშვილები ბავშვის სახელის, მამის სახელის, გვარის, მშობლების დაბადების ადგილის, რიცხვისა და თვის შესახებ და შესაბამისი სააქტო ჩანაწერის საფუძველზე გასცემს დაბადების ახალ მოწმობას.

რადგან შვილად აყვანა წარმოადგენს მხოლოდ სამართლებრივ კავშირს (არა ბიოლოგიურს), ამიტომ კანონი იძლევა მისი შეწყვეტის შესაძლებლობას და მას უკავშირებს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს, კერძოდ, შვილად აყვანის ბათილად ცნობას.

მიუხედავად იმისა, რომ შვილად აყვანის შემდგომ წარმოშობილი ურთიერთობები, ფაქტობრივად, გათანაბრებულია ღვიძლ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობებთან, კანონმდებელი ამ ურთიერთობების საფუძველზე წარმოშობილ უფლებამოვალეობათა არაჯეროვნად შესრულებას ან შეუსრულებლობას სხვადასხვაგვარად უკავშირებს მშობლების ან მშვილებლების პასუხისმგებლობის საკითხს. მშობლის უფლების ჩამორთმევა ყველა შემთხვევაში არ იწვევს შვილად აყვანის გაუქმებას, ხოლო გარემოებები, რომლებმაც განაპირობა შვილად აყვანის გაუქმება, არ შეიძლება იყოს მშობლის უფლების ჩამორთმევის საფუძველი. თუ ნაშვილებმა მიაღწია ათი წლის ასაკს, აუცილებლად უნდა იყოს მისი ინტერესები გათვალისწინებული, შვილად აყვანის გაუქმებას ახორციელებს მხოლოდ სასამართლო და აუცილებელია იმ მოტივის მითითება, რამაც განაპირობა ამ აქტის გაუქმება.

შვილად აყვანის გაუქმებასა და მშობლის უფლების ჩამორთმევას შორის არსებობს განსხვავება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შვილად აყვანის გაუქმება საბოლოოა, ხოლო მშობლის უფლების ჩამორთმევის დროს, კანონი შესაძლებლად მიიჩნევს მის აღდგენას.

რაც შეეხება ოჯახში შვილობილად მიღებას, ის წარმოადგენს ბავშვთა დაცვის ახალ პროგრესულ მოდელს. მისი მიზანია ობოლ და მშობელთა მზრუნველობასმოკლებულ და სოციალურად დაუცველ ბავშვთა მასშტაბების შემცირება, მათი ოჯახურ გარემოში აღზრდა და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბება. პრობლემებისადმი ასეთმა მიდგომამ განაპირობა სწორედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 2 აგვისტოს N445 ბრძანებულების „საქართველოში მცხოვრებ უღელმამო ბავშვთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემა.

იმის გამო, რომ ბრძანებულება სრულად ვერ უზრუნველყოფდა მოსაწესრიგებელ ურთიერთობებს, სახელმწიფოს წინაშე მშობელთა მზრუნველობასმოკლებული ბავშვების მიმართ მდგარი ამოცანებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კანონის მიღება. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს პარლამენტმა 1999 წლის 22 ივლისს მიიღო კანონი „ობოლ და მშობელთა მზრუნველობასმოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“.

კანონი ადგენს შვილობილად აყვანის სამართლებრე პრინციპებს, აწესრიგებს ურთიერთობებს, რომლებიც მათი განხორციელებისას წარმოიქმნება სახელმწიფოსა და ბავშვის მიმღებ ოჯახს შორის; ადგენს შვილობილად აყვანის წესს, პროცედურას და ამ პროცედურის განხორციელების სამართლებრივ გარანტიებს.

საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც სურს აღსაზრდელად აიყვანოს ბავშვი, განცხადება შეაქვს განათლების სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლებიც აღრიცხავენ ასეთ მოქალაქეებს და მათ მონაცემებს გადასცემენ შესაბამის სამსახურს საინფორმაციო ბანკში შესატანად.

განცხადებისა და მასზე დართული დოკუმენტების საფუძველზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ამოწმებენ შვილობილის აღზრდის მსურველ პირთა საყოფაცხოვრებო პირობებს, ადგენენ აქტს და ამზადებენ დასკვნას საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის თაობაზე.

დადებითი დასკვნის არსებობისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები შვილობილის აღზრდის მსურველებთან, მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, დებენ ერთთვიან ხელშეკრულებას ბავშვის გადაცემის შესახებ, რაც საჭროა მისი ადაპტაციისთვის.

საადაპტაციო პერიოდი არ არის საჭირო სამ წლამდე ასაკის ბავშვისთვის, თუ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ბავშვი ვერ შეეგუა მიმღებ ოჯახს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის შემდგომი განთავსების შესახებ. თუ ბავშვი შეეგუა მიმღებ ოჯახს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და შვილობილის აღზრდის მსურველებს შორის ფორმდება ხელშეკრულება (ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) ბავშვის მიმღებ ოჯახში გადაცემის შესახებ, მხა-

რეთა შთანხმებით განსაზღვრული ვადით, რის საფუძველზეც იმ დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, საიდანაც გადაეცა ბავშვი მიმღებ ოჯახს, მიმღები ოჯახი იხსნება აღრიცხვიდან; მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსაგან განსხვავებით, მიმღები მშობლები იმყოფებიან ხელშეკრულებით ურთიერთობაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან და იღებენ ანაზღაურებას თავიანთი მოვალეობის შესრულებისათვის. გარდა ამისა, მათ შორის შეიძლება წარმოიშვას უფრო მჭიდრო კავშირი, ვიდრე სამეურვეო პირებსა და მეურვეებს შორის, რაზეც მიუთითებს მიმღები ოჯახის სუბიექტთა დასახელებები, „მიმღები ოჯახი“ და „შვილობილი“.

მიმღები მშობლები არიან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლები, იცავენ ბავშვის ინტერესებსა და უფლებებს ხელშეკრულების საფუძველზე სპეციალური უფლებამოსილების გარეშე. მცირეწლოვანი ბავშვის სახელით ან ინტერესების შესაბამისად დებენ გარიგებებს, იძლევიან თანხმობას 7-18 წლამდე არასრულწლოვნების მიერ დადებულ გარიგებებზე. აქვთ უფლება მოათავსონ ბავშვი სკოლამდელ აღმზრდელობით დაწესებულებებში. კანონით დადგენილი წესის მიხედვით მართავენ ბავშვის ქონებას. მიმღები მშობლები უფლებამოსილი არიან სასამართლო წესით მოითხოვონ ბავშვის დაბრუნება ნებისმიერი პირისგან, რომელიც კანონიერი საფუძვლის გარეშე ამყოფებს ბავშვს თავისთან, მათ შორის, ახლო ნათესავებისგან.

ბავშვის მიმღებ ოჯახში მოწყობა არ წარმოშობს მშობლებსა და ბავშვს შორის საალიმენტო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, თუმცა მიმჩნია, რომ საალიმენტო ვალდებულება უნდა წარმოიშვას ფაქტობრივ აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის საალიმენტო ვალდებულებების წარმოშობის საფუძვლების გათაღლისწინებით.

მიმღები მშობლები არ არიან უფლებამოსილი ხელი შეუშალონ ბავშვის ურთიერთობას თავის მშობლებსა და ახლო ნათესავებთან იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ასეთი ურთიერთობა ეწინააღმდეგება თვით ბავშვის ინტერესებს.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მიმღებ მშობლებზე გასცემს დამადასტურებელ დოკუმენტს, მოწმობას, რომელშიც მითითებულია მიმღები მშობლების გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი, ხელშეკრულების დადების თარიღი და ნომერი, ასევე, ბავშვის გვარი, სახელი, მამის სახელი და დაბადების თარიღი.

მიმღებ ოჯახში ბავშვების საერთო რაოდენობა, საკუთარი ბავშვების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს რვას. ასაკობრივი სხვაობა მშვილდებელსა და შვილობილს შორის უნდა იყოს არანაკლებ 15 წლისა.

მიმღებ ოჯახში ინვალიდი, სუსტი ჯანმრთელობის მქონე, ავადმყოფი ბავშვის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირთა თანხმობით, რომელთაც სურთ იმ ოჯახში აღსაზრდელად მიიღონ ბავშვი და რომელთაც გააჩნიათ საამისო პირობები, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური და მატერიალური შესაძლებლობები.

ბავშვი, რომელიც აღსაზრდელად გადაეცემა მიმღებ ოჯახს, ინარჩუნებს უფლებებს ალიმენტზე, პენსიაზე და სხვა სოციალურ დახმარებასა და კომპენსაციაზე, რომელიც გადაირიცხება ბავშვის სახელზე გახსნილ ანგარიშზე.

ბავშვის მიმღებ ოჯახში გადაცემის დროს ბავშვს უნარჩუნდება მისი კუთვნილი ქონება და იმ ფართობით სარგებლობის უფლება, სადაც ის ცხოვრობს მიმღებ ოჯახში გადასვლამდე. ბავშვის მიერ ქონებასა და საცხოვრებელ ფართზე საკუთრების ან სარ-

გებლობის უფლების შენარჩუნებაზე კონტროლის განხორციელების მოვალეობა ეკისრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

ბავშვის კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიას წარმოადგენს მისი უფლება იქონიოს მშობლებსა და სხვა ახლო ნათესაებთან ურთიერთობა. ბავშვის ურთიერთობა კანონიერ მშობლებთან დაიშვება მხოლოდ მიმღები მშობლის თანხმობით. დავის არსებობის შემთხვევაში, საკითხს წყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო წყვეტს, აგრეთვე, საკითხს მაშინაც, როცა მშობლები ვერ შეთახმდებიან არასრულწლოვნის სახელზე გვარსა და აღზრდასთან დაკავშირებით.

ლიტერატურა:

1. მაკარენკო ა., რჩეული თხზულებანი, თბ., 1950.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ბოლო რედაქციით.
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ბოლო რედაქციით.
4. გუგავა ა., პირთა სამართალსუბიექტობა და მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტი, თბ., 2005.
5. შენგელია რ., მეურვეობა და მზრუნველობა, თბ., 1998.
6. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2017.
7. ჩიკვაშიილი შ., საოჯახო სამართალი, თბ., 2004.
8. ნადიბაიძე ლ., შვილად აყვანის სამართლებრივი პრობლემები, დისერტაცია, თბ., 1998.

Asmat Gugava

Legal forms of upbringing children without parents' care in the family

Summary

Child upbringing and childcare are important functions of the state. The physical, mental, and moral development of the juvenile is a duty of a parent. But the child does not belong to the parent only. It is also a property of the state and society. Based on this principle, child's upbringing is considered as a state case and is considered not only moral, but also social work. That is why family legislation is directed not only to protect parental rights, but also to strengthen the obligation and responsibilities of childcare.

As for foster placement, it is a new model of child protection and upbringing. Fostering placement does not generate the rights and obligations that arise at the time of recruitment. It is of temporary nature and is a contractual obligation.

The issue of child adoption is considered by the law adopted on June 22, 1999 on "the adoption of the orphan and lack of parental care", which cannot meet the modern requirements and needs to be reviewed, revised, and elaborated in compliance with legal acts - adoption, healthy and decent generation upbringing.

Аснат Гугава

Сравнительно-правовой анализ усыновления и воспитания приемного ребенка

Резюме

Воспитание ребенка и забота о нем является важнейшей функцией государства. И хотя физическое, умственное и моральное развитие несовершеннолетнего является ответственностью родителя, ребенок не принадлежит только родителю, он также принадлежит государству и обществу. Поэтому семейное законодательство направлено не только на защиту прав родителей, но и на возложение обязательств и усиление ответственности при воспитании ребенка.

В Грузии 22 июня 1999 года был принят закон «О передаче на воспитание сирот и лишенных родительской заботы детей», который уже не удовлетворяет современные требования и необходимо в обязательном порядке пересмотреть его, заново урегулировать и разработать/принять соответствующие правовые акты.

ასმათ გუგავა
(საქართველო)

**მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის სამოქალაქო სამართლებრივი
რეგულირება საქორწინო ხელშეკრულების მიხედვით**

კერძო საკუთრებათა ურთიერთობებისა და საბაზრო მეურნეობის დამახასიათებელი პრინციპები დღის წესრიგში აყენებს საკითხს ადამიანთა ქცევების ახლებურად დარეგულირების შესახებ. დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ქცევის რეგულირების გარეშე საზოგადოება არ არსებობდა და რომ ადამიანთა ქცევის მოწესრიგება გარკვეული ნორმების საფუძველზე ხდებოდა და ხდება დღესაც. ეს ნორმებია: მორალური ნორმები, ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები და სამართლებრივი ნორმები. ამასთან, სამართალი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა.

საოჯახო ურთიერთობები რეგულირდება როგორც ზნეობრივი ნორმებით, ჩვეულებებითა და რელიგიური წესებით, ისე სამართლებრივი ნორმებით. სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობების ახლებურად გადაჭრისა და გადაწყვეტის ისეთი ინსტიტუტის დამკვიდრება, როგორცაა საქორწინო კონტრაქტი. სოციალისტურ სამეურნეო ურთიერთობებს სავსებით შეესაბამებოდა მეუღლეების საკუთრებაში არსებული ქონების განსაზღვრის ის წესი, რომელიც სახელმწიფო რეგულირების შინაარსთან თანაფარდობაში იყო. ყოველ მოქალაქეს შეეძლო ჰქონოდა მხოლოდ შრომითი შემოსავალი და ისიც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით. მეუღლეებს შეიძლებოდა ჰქონოდათ საკუთრებაში მხოლოდ საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი: ავეჯი, ხელფასი და სხვა უმნიშვნელო დანაზოგი. დღეს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ქონების შექმნისა თუ მისი საკუთრებაში რაოდენობრივი განსაზღვრის საკითხი მთლიანად ადამიანთა და მათ შორის მეუღლეთა პირად ნებასა და თავისუფლებას ეფუძნება. მეუღლეებს ერთად ცხოვრების პერიოდში შეუძლიათ შეიძინონ ნებისმიერი ქონება შეუზღუდავი ოდენობით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს. საქორწინო კონტრაქტი, განქორწინების შემთხვევაში, მოდავე მეუღლეთა ქონებრივი ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

საბაზრო ურთიერთობები განსხვავებულ პრინციპებზეა აგებული. დღეს ერთ-ერთ მეუღლეს შეიძლება კერძო საკუთრებაში ჰქონდეს საწარმოები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ქონება, რომელთა შემოფარგვლა საოჯახო დანიშნულებით შეუძლებელია. სწორედ ამიტომ ამკვიდრებს კანონი მეუღლეთა ქონების ბედის განსაზღვრის ახალ ინსტიტუტს – საქორწინო კონტრაქტს. იგი სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი საინტერესო ინსტიტუტია, რომლის საშუალებითაც მეუღლეებს ეძლევათ შესაძლებლობა თავიანთი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში, ასევე განქორწინებისას.

საქორწინო ხელშეკრულებით განისაზღვრება მეუღლეთა ქონებრივი ხასიათის ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველები.

კანონი იძლევა შესაძლებლობას მეუღლეებმა ან დასაქორწინებელმა პირებმა დადონ საქორწინო კონტრაქტი და განსაზღვრონ მისი პირობები და ვადები. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ყველა ის წესი და პირობა, რომელიც საერთოდ, ხელშეკრულების დადებისთვისაა საჭირო. საქორწინო კონტრაქტი არ წარმოადგენს სავალდებულო ხასიათის აქტს. მისი დადება მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. კანონის თანახმად, ხელშეკრულებაში არ შეიძლება განისაზღვროს ოჯახის სხვა წევრთა ქონებრივი ხასიათის უფლებები და მოვალეობები.

საქორწინო ხელშეკრულება სოციალისტური სამართლისთვის ამორალურ გარემოებად მიიჩნეოდა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კი ჩვეულებრივი მოვლენაა და დიდი ხანია დამკვიდრებულია. აღნიშნული ხელშეკრულება უცხოეთის საოჯახო ურთიერთობებში ფართოდ გამოიყენება მეუღლეთა ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების დასარეგულირებლად.

რადგან ქართულ სინამდვილეში საკონტრაქტო ხელშეკრულება სიახლეს წარმოადგენს, მას ჯერ კიდევ არ აქვს ფართოდ გავრცელებული სახე და ამდენად, სტატისტიკის თვალსაზრისით მცირე რაოდენობა დასტურდება, ამიტომაც მსჯელობას ვერ წარვმართავთ საკონტრაქტო ხელშეკრულებზე პრაგმატულობის კუთხით. თუმცა საქართველოში გაჩნდნენ მდიდარი ადამიანები, რომელთათვისაც ქონებრივი მდგომარეობის სტაბილურობა მნიშვნელოვანია და მათ სურთ შეინარჩუნონ ერთპიროვნული ქონებრივი უფლებები. მეწარმეებისთვის, რომელთაც აქვთ მსხვილი ბიზნესი, ან იმ პირებისთვის, რომელთაც წინა ქორწინებიდან განიცადეს ქონებრივი დანაკარგი და ხელახალი დაქორწინებისას უნდათ, რომ თავი დაიცვან მატერიალური კრახისაგან, საქორწინო კონტრაქტი კარგი საშუალებაა, რადგან სწორედ ის წარმოადგენს მეუღლეებისთვის ქონებრივი სტაბილურობის გარანტიას. საქორწინო კონტრაქტს, მდიდარ ადამიანთა გარდა, ჩვენს ქვეყანაში ის მეუღლეები ან დასაქორწინებელი პირებიც დებენ, რომელთაგან ერთ-ერთი უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

საქორწინო კონტრაქტით რეგულირდება ქონებრივი ხასიათის ურთიერთობები და იგი არ ითვალისწინებს პირადი ხასიათის ურთიერთობების რეგულირებას. ეს უკნასკნელი ზნეობისა და მორალის სფეროს განეკუთვნება.

საქორწინო კონტრაქტი სამოქალაქო გარიგებაა და მისი მომწესრიგებელი ნორმები ატარებს დისპოზიციურ ხასიათს, რაც მხარეებს აძლევს არჩევანის საშუალებას, თვითონ განსაზღვრონ საერთო და ინდივიდუალურ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქორწინო კონტრაქტი შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს (სსკ. 1173 მ.). ქორწინების რეგისტრაციამდე დადებული ხელშეკრულება ძალაში შედის შესაბამის სახელმწიფო ორგანოში ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ქორწინება არ შედგა, ქორწინებამდე წყვილთა მიერ დადებული საქორწინო კონტრაქტი უქმდება. საკონტრაქტო ხელშეკრულება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ.

საქორწინო ხელშეკრულების დადება წყვილებისთვის ვალდებულებას არ წარმოადგენს. თუ ისინი არ ისარგებლებენ ამ შესაძლებლობებით, მაშინ მათი ქონებრივი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საოჯახო კანონმდებლობის მიერ დადგენილი

წესით. საკონტრაქტო ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და მოწმდება სა-
ნოტარო წესით. მითითებული ფორმის დაუცველობა იწვევს ხელშეკრულების ბათი-
ლობას.

საქორწინო ხელშეკრულება მოიცავს მეუღლეთა შორის 3 სახის საკუთრების
ფორმას: **საერთოს, ინდივიდუალურს და წილობრივს**. დროთა განმავლობაში, შესაძ-
ლებელია საკუთრების რეკვიზმა განიცადოს ტრანსფორმაცია, გადავიდეს ერთი ფორმი-
დან მეორეში, მაგალითად, ინდივიდუალური საკუთრება გადაიქცეს მეუღლეთა საერ-
თო საკუთრებად, ან პირიქით. საქორწინო კონტრაქტით შეიძლება გათვალისწინებული
იქნეს როგორც ამჟამინდელი ქონება, ისე მომავალი ქონებაც.

საქორწინო ხელშეკრულებას უნდა გააჩნდეს ხელშეკრულებისთვის დამახასია-
თებელი აუცილებელი რეკვიზიტები: ხელშეკრულების დადების ადგილი, თარიღი, ვა-
დები, იმ პირთა ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი, რომლებიც დებენ ხელშეკრულე-
ბას, ხელშეკრულების დამდები პირების ხელმოწერები.

საქორწინო კონტრაქტი, როგორც გარიგების ერთ-ერთი სახე, მჭიდროდაა დაკავ-
შირებული სამართალსუბიექტურობის საკითხთან. ასეთი ხელშეკრულების დადების
უფლება აქვთ ქმედუნარიან პირებს. სამოქალაქო კანონმდებლობით, გამონაკლის შემ-
თხვევაში ქორწინება დაიშვება 16 წლის ასაკიდან და ისიც იმ შემთხვევაში, როცა არ-
სებობს სათანადო პირთა წერლობითი თანხმობა ან სასამართლოს გადაწყვეტილება
ქორწინების ნებართვის თობაზე. თუ კანონით გათვალისწინებული წესი დაცული არ
იქნება, მაშინ არასრულწლოვნის მიერ დადებული საკონტრაქტო ხელშეკრულება არ
იქნება ნამდვილი და იგი ბათილად გამოცხადდება.

იმ სრულწლოვანი პირების მიერ, რომლებიც სპირტიანი და ნარკოტიკული ნივთი-
ერებების მოხმარების გამო სასამართლომ შეზღუდულ ქმედუნარიანებად სცნო, მაგ-
რამ შემდეგ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აღმოაჩნდნენ ოჯახები, ქორწინებამდე
დადებული კონტრაქტი ინარჩუნებს ნამდვილობას. იმ შემთხვევაში, თუ პირებს მოთ-
ხოვნის საფუძველზე დაენიშნათ მზრუნველი (ავადმყოფობის, ფიზიკური ნაკლის გა-
მო), მაგრამ არ არიან აღიარებული შეზღუდულქმედუნარიანებად სასამართლომ მიერ,
კონტრაქტის დადებისას კანონი არ ითვალისწინებს მზრუნველის თანხმობას.

როგორც აღვნიშნეთ, საქორწინო კონტრაქტი ფართოდაა დანერგილი უცხოეთის
ქვეყნებში. თუმცა, პირველ ხანებში იქაც გამოითქმებოდა უარყოფითი შეხედულებები
ამ საკითხზე. მაგ., ინგლისში, ამერიკაში საქორწინო კონტრაქტისადმი უარყოფით და-
მოკიდებულებას ამართლებდნენ იმით, რომ ხშირად ამგვარი შეთანხმებები განქორწი-
ნების მაპროვოცირებელი იყო და პირებს ჯერ კიდევ დაქორწინებამდე უბიძგებდა გან-
ქორწინებისკენ. უარყოფითმა დამოკიდებულებამ შემდგომში ტრანსფორმაცია განიცა-
და, რადგან საკონტრაქტო ხელშეკრულება კარგი საშუალება აღმოჩნდა როგორც ხან-
გრძლივი და დროში გაწელილი სასამართლო პროცესების, ისე მეუღლეთა შორის ქო-
ნებასთან დაკავშირებული დავების თავიდან ასაცილებლად.

საქორწინო ხელშეკრულების შინაარსში მეუღლეებმა შეიძლება გააერთიანონ
მთელი თავიანთი ქონება ან ნაწილი დატოვონ ინდივიდუალურ საკუთრებაში, ანდა თა-
ნაზიარ საკუთრებაში. ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება:
მოდრავი ან უძრავი სახით, ფასიანი ქონებრივი უფლებები და სხვა (ქონებაში იგულ-
სხმება როგორც ამჟამინდელი, ისე მომავალი ქონება).

საინტერესოა, როგორია ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პირების უფლება საქორწინო კონტრაქტთან მიმართებით. უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივი ქორწინების რაოდენობა დღითი დღე იზრდება და, როგორც რეგისტრირებული ქორწინების ალტერნატიული სახე, სულ უფრო და უფრო იმკვიდრებს ადგილს ე.წ. საოჯახო ურთიერთობაში. წყვილები ფაქტობრივი ქორწინების გზას ირჩევენ, რისი მიზეზიც მრავალგვარია, მაგრამ ამ მიზეზებს აქ არ განვიხილავთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ფაქტობრივ ქორწინებას მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს, ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ პირებს არ აღიარებს მეუღლეებად და არ მიიჩნევს ოჯახად, ამიტომაც არ ითვალისწინებს; უფრო მეტიც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ „ფაქტობრივ ქორწინებაში ან ქორწინებამდე“ მყოფი პირები საქორწინო კონტრაქტს გააფორმებენ, კანონი მას არ აღიარებს ნამდვილ გარიგებად.

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი ვადით. მაგ., მეუღლეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ქორწინებიდან სამი წლის მანძილზე ქონება იყოს მხოლოდ და მხოლოდ მათი ინდივიდუალური საკუთრება და ამ ვადის გასვლის შემდეგ ის გადაიქცეს საერთო საკუთრებად. ეს ხდება მაშინ, როცა მეუღლეები დარწმუნებული არ არიან ქორწინების სტაბილურობაში ან შესაძლებელია, თავიანთი ქონებრივი უფლება-მოვალეობები დაუკავშირონ გარკვეული პირობების დადგომას. მაგ., ბავშვის დაბადებამდე ქონება იყოს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო ბავშვის დაბადების შემდეგ გადავიდეს საერთო საკუთრებაში ან პირიქით.

საქორწინო კონტრაქტით არ შეიძლება (სსკ 1179 მ.) განისაზღვროს ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს რომელიმე მეუღლეს. კონტრაქტით არ/ვერ იკრძალება:

- 1) ურთიერთრჩენის მოვალეობა;
- 2) ერთ-ერთი მეუღლის მიერ შვილების რჩენა;
- 3) საალმენტო ვალდებულებების შეცვლა;
- 4) სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.

საქორწინო კონტრაქტში მიუღებელია ისეთი პირობების გათვალისწინებაც, რომლებიც მძიმე მატერიალურ ან ზნეობრივ მდგომარეობაში ჩააყენებს ერთ-ერთ მეუღლეს. მაგ., დაიწყოს მათხოვრობა, პროსტიტუციით არჩინოს ოჯახი. ასევე, შეუძლებელია შეიზღუდოს მეუღლის უფლება მიიღოს მემკვიდრეობა მეორე მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, თავისი ნება-სურვილით უანდერძოს ქონება სხვას და სხვა კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციური უფლებები.

რადგან საქორწინო ხელკრულება ძირითადად განგრძობად ხასიათს ატარებს, კანონით დაშვებულია, რომ მთელი რიგი გარემოებების ცვლილებების შედეგად მოხდეს კონტრაქტის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა (სსკ 1181 მ.). ცვლილებები შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე სხვა გარემოებებით. მაგალითად, შეიცვალოს პირთა ქონებრივი მდგომარეობა ან მათი პირადი ურთიერთდამოკიდებულება და სხვ. კონტრაქტის პირობების შეცვლამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქონიოს ზეგავლენა კანონით გათვალისწინებულ აუცილებელ მოთხოვნებზე და იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

საქორწინო კონტრაქტი შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. ცალმხრივი უარი ხელშეკრულების შეცვლაზე ან გაუქმებაზე დაუშვებელია, იგი შეიძლება შეწყდეს როგორც ქორწინების, ისე განქორწინების პერიოდში. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს ცნობილი ბათილად სასმართლოს მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ იმ საფუძვლებით, რომლებითაც ხდება, საერთოდ, გარიგების ბათილად ცნობა. ეს საფუძვლებია: ფორმის დაუცველობა, ხელშეკრულების მონაწილეთა სამართალსუბიექტურობის ნაკლი, გარიგების პირობების კანონთან შეუსაბამობა და სხვ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქორწინო კონტრაქტი არსებული თუ მომავალი მეუღლეების ქონებრივი ინტერესების დაცვის საიმედო საშუალებაა, თუმცა მისი **პრაქტიკაში გამოყენება იშვიათად ხდება. რაც ჩვენი აზრით, განპირობებული უნდა იყოს ქვეყნისა და მოქალაქეების დაბალი ეკონომიკური დონით და, ასევე, საზოგადოების დაბალი სამართლებრივი კულტურით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქორწინო კონტრაქტი, უდავოდ, დროული და საინტერესო ინსტიტუტია ქართულ კანონმდებლობაში. რაც მთავარია, იგი ბორკილებს, ანუ ვალდებულებას კი არ წარმოადგენს მოქალაქეებისთვის, არამედ უფლებას, რომლის გამოყენება სრულადაა დამოკიდებული დასაქორწინებელ თუ უკვე დაქორწინებულ პირთა ნებაზე.**

ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ბოლო რედაქციით.
2. კარტოზია მ., საქორწინო ხელშეკრულება, დისერტაცია, 2004.
3. შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობითი სამართლი, თბ., 2011.
4. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბ., 2017.
5. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბ., 2004.

Asmat Gugava

Ante-nuptial contract in Georgian legislation

Summary

In Georgian reality, ante-nuptial contract is a novelty that is rarely used in practice. Most of the people who are willing to maintain individual property rights are mostly wealthy. Apart from wealthy people, ante-nuptial contract is made by spouses or intended spouses, one of whom is a citizen of a foreign country.

Ante-nuptial contract is regulated by property relations and does not involve regulations of personal relationships. Ante-nuptial contract is a civil transaction and its regulatory norms have a disposable nature that gives parties the opportunity to determine the issues related to common and individual property.

Ante-nuptial contract can be entered as before the registration of a marriage, so at any time after the registration. The ante-nuptial contract acquires legal force only after marriage registration.

Ante-nuptial contract includes three forms of ownership: general, individual, and equity. Over time, the proprietary regime may experience transformation (change the form). For example,

the individual property may become a common property of spouses and/or vice versa. Ante-nuptial contract can include current property, as well as property acquired by spouses in the future.

Ante-nuptial contract is a reliable means of protecting the interests of spouses or intended spouses, although, as mentioned above, it is rarely used in practice. In our view, this fact is conditioned by low economic level of the country, as well as low legal culture of society.

Аснат Гугава

***Регуляция правовых гражданских отношений имущества
супругов по брачному договору***

Резюме

Брачный договор содержит 3 формы собственности между супругами: общую, индивидуальную и долевую. С течением времени режим собственности может претерпеть трансформацию, перейти из одной формы в другую, например, индивидуальная собственность может перейти в общую собственность супругов, и/или наоборот. Брачным договором может быть предусмотрено как настоящее имущество, так и будущее. Брачный договор может быть заключен как до, так и после регистрации брака, в любое время. Контрактный договор вступает в юридическую силу только после регистрации брака.

Можно сказать, что брачный контракт является надежным средством защиты имущественных интересов будущих супругов, хотя, как уже было отмечено, на практике используется крайне редко. По нашему мнению, это обусловлено невысоким экономическим уровнем страны и граждан, а также невысокой правовой культурой общества.

ლია სვანიძე
(საქართველო)

სულისა და სხეულის ერთიანობის ჰარმონია

საკვლევი პრობლემის იდენტიფიკაცია, მისი გამომწვევი მიზეზების მოძიება, საკითხის გადაჭრის გენერირება გაცილებით თვალნათელია, თუ ეფექტის მიღების ცოცხალ და ჭეშმარიტ მაგალითს უჩვენებთ. გავისხენოთ სტეფანე ცვაიგის მოგონება ლევ ტოლსტოის ცხოვრებიდან: „ნამდვილ ავადმყოფობაზე ტოლსტოიმ სიბერემდე არ იცოდა, დაღლილობაც არ ეუფლებოდა მას შეუსვენებელი, დაძაბული მუშაობის დროს. გრძნობის ორგანოები მუდამ მზადყოფნაში ჰქონდა, მას არ ესაჭიროებოდა ხელოვნური გამღიზიანებელი საშუალებები... ამის მაგივრად ისეთი სიჯანსაღით, ენერჯის მოზღვავეების ფუფუნებით გამოირჩეოდნენ ეს „დისციპლინირებული“ გრძნობის ორგანოები, რომ სულ მცირეოდენ შეხებასაც კი შეეძლო მოეყვანა ისინი მოძრაობაში: 67 წლის ასაკში მოისურვა ველოსიპედის ტარების შესწავლა, 70 წლისამ – ციგებით სიარული, 80 წლის ყოველდღიურად სრულყოფილად ვარჯიშობდა და ჯანსაღად გრძნობდა თავს“ (5, 26-28).

შესანიშნავი მაგალითია ბუმბერაზ ქართველ მეცნიერ-მკვლევარზე დიმიტრი უზნაძეზე: „მკვლევარმა ახალგაზრდობაშივე მოასწრო თავის ფილოსოფიურ თვალთახედვაში ადამიანის არსებობის მთელი სამყარო მოეცვა და აზროვნების საოცარი ხელოვნებით დაეკავშირებინა მოვლენები ერთმანეთს... ის სიცოცხლის შემოქმედი, ბუნების მომწესრიგებელი და მისთვის დანიშნულების მიმცემი. ეს მისწრაფება ზღვარდაუდებელია და მისი შემოქმედებაც უსასრულო, რაც მისი ცხოვრების აზრი და არსია“ (1, 18-19).

ჩვენს რთულ ეპოქაში, როდესაც მოზღვავეებულა ფსიქოგენური დაძაბულობა, აუცილებელია ისეთი ფაქტორების მიგნება, რომლებიც შეამცირებენ სულსა და სხეულს შორის დისონანსის წარმოშობის მიზეზებს. ბოლო ათწლეულში ექიმებთან და ფსიქოლოგებთან ისმის უჩვეულო გამოთქმა „სიხარულის პროფილაქტიკა“. როგორც ცხოვრების პრაქტიკა გვინვენებს, სიხარულის განცდა ეძლევა უმეტესწილად ჯანსაღ სხეულს, სადაც არსებობს სხეულისა და სულის ერთიანობის ჰარმონია, სადაც პოზიციური სიცოცხლით არის შევსებული სხეული – „მხოლოდ განუზომლად ვრცელი და მრავალფეროვანი სიცოცხლით სავსე სხეულს შეუძლია, აღქმის შეუზღუდაობით და განფენილობით სრულყოფილი და ენერჯით სავსე სიცოცხლე მისცეს თავის ტვინსაც“ (4, 378).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი უმნიშვნელოვანესი სიტუაცია – ძალიან რთულია და საპასუხისმგებლო ლიდერის, ხელმძღვანელის საქმიანობა, რომელიც თავისთავად გვევლინება მუდმივი თავდასხმის წყაროდ იმ ადამიანებზე, ვინც ამ ურთულეს სფეროში მოღვაწეობს. პირველ რიგში, ძირითადად, სისტემატურად დაძაბულია მისი უმაღლესი ნერვული სისტემა, მისი ნერვული სისტემის საქმიანობა, რომელიც მუდმივად იმყოფება სამი ფაქტორის ზემოქმედების ქვეშ. ესენია:

1. უზარმაზარი მოცულობა ტვინის მუშაობის – ანალიტიკურ-სინთეზური მოქმედება; 2. დროის ქრონიკული დეფიციტი (როდესაც ადამიანი დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფება და შთანთქავს მთელ რესურსებს, რაც ორგანიზმს გააჩნია) და 3. პირადი მოტივაციის უმაღლესი დონე. ყოველივე ზემოთქმულს ემატება აურაცხელი პერსონალური პასუხისმგებლობა, რომელიც მიძიმე ტვირთად აწევს ხელმძღვანელს შტატგარეშე ამოცანების სისტემატურად გადაწყვეტის დროს, რის გამოც ძალიან ხშირად წარმოიშობა ექსტრემალური სიტუაცია.

აღნიშნული ფაქტორები უდიდეს ზეგავლენას ახდენს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ამ ფაქტორების ტრიალით გამორჩეული პათოლოგია „ინფორმაციული პათოლოგიის“ სახელწოდებით მოინათლა.

ადამიანის ორგანიზმის ასეთი შინაგანი მდგომარეობა მოითხოვს მისი სუბიექტის სიცოცხლის დაცვის მექანიზმის გამონახვას. მაგალითად, ფსიქიკური გადაღლა, საქმის კეთების სურვილის დაკარგვა, მთელი რიგი საქმიანობის პროცესების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულების გაჩენა ჩვენ წინაშე აყენებს აუცილებლობას გამოვიმუშავოთ თავდაცვის უნარი – პირველ რიგში, გამოვიჩინოთ დიდი სიფრთხილე ურთიერთობის საკითხებში. მშვიდად მივიღოთ ჩვენი კოლეგების წარმატებები: ძალიან არ გადავიტანჯოთ თავი სინდისის ქეჯნით; სიღრმისეულად არ განვიცადოთ სხვისი პრობლემები და ა.შ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა დავასახელოთ ურთიერთობის მაღალი კულტურა (1, 326-389), რაც სრულყოფილად მოითხოვს კარგი ტონის წესების დაცვას – ეს გახლავთ უნარი ადამიანში შეეხოს სულიერების ქვაკუთხედს, რომელსაც მასში ცენტრალური ადგილი უკავია.

ურთიერთობის ფასდაუდებელი ინსტრუმენტებია, აგრეთვე, თვითკონტროლი და თვითრეგულაცია, რისი დახმარებითაც ხორციელდება ცხოვრების წესის გამშვენიერება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა მივიღოთ ეროვნული თავისებურებები. მაგალითად, იაპონელები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ თავიანთ ჯანმრთელობას, მოვალეობასა და პასუხისმგებლობასთან შედარებით. დიდ წარმატებებსაც აღწევენ და უდიდეს სიამოვნებას განიცდიან იმ საქმიანობით, რაც სხვა ადამიანთა საკეთილდღეოდ უნდა გაიღონ.

ამერიკელი პუბლიცისტი, ფსიქოლოგი ჰენრი ტორო დაკვირვებისა და კვლევების შედეგად ამტკიცებს, რომ ადამიანი თავის ჯანმრთელობაზე იმის მიხედვით მსჯელობს, თუ როგორ განიცდის სიხარულს, როგორ უხარია... ადამიანი უნდა მისწრაფვოდეს მაჟორული განწყობილებისაკენ, კარგი ხასიათისაკენ. სიხარული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და შესანიშნავი ფაქტორია და ეფექტური წამალი – ყველა ადამიანისათვის ხელმისაწვდომი.

მხიარული ადამიანები შეუდარებლად მშვიდად იტანენ ცხოვრებისეულ სირთულეებსაც და თვით ავადმყოფობასაც (დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანისათვის საკუთარი და სხვების ტემპერამენტის ცოდნას). სასარგებლოა ვიცოდეთ ფსიქიკური ტიპის თავისებურებები პროფესიის შერჩევის, აღზრდის, პიროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხთა მოსაწესრიგებლად და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად.

ცნობილია ორი გამოკვეთილი ფსიქიკური ტიპი. მათ პირობითად უწოდებენ „ა“ და „ბ“ ფსიქიკურ ტიპებს. როგორც ცნობილია, 20-25 პროცენტი ადამიანებისა

ფლობს ე.წ. „სასტარტო მზადყოფნას“ პირადი ემოციონალური მზადყოფნისათვის – სპორტსმენი ძალიან დელავს შეჯიბრების წინ; პიანისტი დელავს სცენაზე გასვლის წინ; ასევე, დელავს ქირურგი ოპერაციის დაწყების წინ, გოგონა პირველი პაემანის წინ და მსგავსი მაგალითები უამრავია. ზოგისათვის ასეთი მდელვარება უმტკივნეულოდ გაივლის ხოლმე. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მდელვარება იწვევს შესამჩნევ ფიზიოლოგიურ ცვლილებებს – წნევის აწვევა, გულისცემის აჩქარება, სუნთქვის რითმის დარღვევა, პულსის ცემის აჩქარება და ა.შ. არის ისეთი შემთხვევები, როცა ფსიქოლოგიურ პლანში კარგავენ თავიანთი ძალის რწმენას, ზოგჯერ მძიმე, რთულ მდგომარეობაშიც ვარდება ადამიანი. როგორ დავიხსნათ საკუთარი თავი ამ და სხვა მსგავს შემთხვევაში? პირველ რიგში, სიღრმისეულად და სრულყოფილად უნდა გავიცნოთ დასახელებული ორი ფსიქიკური ტიპი „ა“ და „ბ“.

პირველ – „ა“ ფსიქიკურ ტიპს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომელთაც ახასიათებთ გამძაფრებული პასუხისმგებლობის გრძნობა, არიან დიდი პატივმოყვარეობის პატრონები, სისტემატურად მიიღტვიან პირადი წარმატების მისაღწევად, რისთვისაც ძალ-ღონეს არ ზოგავენ: შრომობენ, მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული მიზნები – „ა“ ტიპის ადამიანები გამოირჩევიან დაწინაურების მძარფი სურვილით, რაც მათი სიხარულის ძლიერი წყაროა. ისინი ბავშვობიდანვე მიიღტვიან პირველობისაკენ – მასწავლებელს ხელის აწევით ევედრებიან გაკვეთილის მოყოლას, შეკითხვის მიცემას, აქტივობას...

ფსიქიკური ტიპი „ბ“ მშვიდი, აუჩქარელი, გაწონასწორებულია. ისინი ერიდებიან გადაძაბვას, ზედმეტ სამუშაოს, ზედმეტ ურთიერთობებს. უყვართ და კიდევ შეუძლიათ დასვენება. მათ მოსწონთ და უყვართ, მოუთმენლად ელიან ნათესავებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობებს. ისინი ცხოვრების დაძაბულობას ადვილად ეგუებიან, ასევე, ადვილად ეგუებიან ხელმძღვანელობისგან დავალებების მიცემასაც. თავის თავს შთააგონებენ, რომ უმაღლეს დონეზე შეასრულონ ის საქმე, რაც საჭიროა და რაც ევალებათ. „ა“ ფსიქიკური ტიპის ადამიანს სუსტი თვითკონტროლის გრძნობა გააჩნია, ნაკლებ ყურადღებას უთმობს საკუთარ ჯანმრთელობას და თავისი ქცევის თვითრეგულაციას.

„ბ“ ფსიქიკური ტიპის ადამიანებს პოტენციალური უპირატესობები აქვთ. მათ გაცილებით ძლიერი ჯანმრთელობა აქვთ და, შესაბამისად, მაღალია მათი შრომისუნარიანობაც. როგორც სამედიცინო მონაცემებიდან ჩანს, „ა“ ფსიქიკური ტიპის ადამიანები გაცილებით სუსტები არიან, ვიდრე „ბ“ ტიპისანი. „ა“ ტიპის ადამიანები გაცილებით უფრო დაბნეულები არიან ექსტრემალურ სიტუაციაში, ვიდრე „ბ“ ტიპის ადამიანები. ისეთი უარყოფითი ემოციები, როგორიც არის: დარდი, შიში, გაცილებით მაღალია „ა“ ტიპის ადამიანებში, ხოლო „ბ“ ტიპისა ადვილად უმკლავდებიან მათ და ადვილს უთმობენ სიტუაციების რაციონალურ შეფასებას.

ცხადია, ადამიანის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა გაცილებით მდიდარი და წინააღმდეგობრივია, მაგრამ წარმოდგენილი „ა“ და „ბ“ ფსიქიკური ტიპის ჯგუფების კარგად ცოდნას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს აღზრდის, კადრების შერჩევის, ურთიერთობის მოწესრიგების სიტუაციებში. ჯანმრთელი ადამიანები ნაყოფიერად შრომობენ და უმეტესად შემოქმედებითი საქმიანობით არიან დაკავებული. ისინი კარგად ფლობენ ურთიერთობის ტექნოლოგიებს და გააჩნიათ ჯანსაღი იუმორის გრძნობა, მოთმინებით იღებენ კრიტიკას, არიან თვითკრიტიკულებიც. მათ

სამუშაო ადგილებზე სუფევს ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატი. დაკვირვებამ და სათანადო გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ სულისა და სხეულის თანაარსებობის ჰარმონია ერთმნიშვნელოვნად გვიჩვენებს, რომ ეს არის ჯანმრთელობის უტყუარი ფაქტორი, ხოლო ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმი ფლობს გასაოცარ უნარს თავისი ცხოველუნარიანობის შესანარჩუნებლად მოიპოვოს ეფექტური რეზერვები. ეს რეზერვები უდიდეს ეფექტს გვაძლევენ განათლების მიღებაში, სპორტში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში და ცხოვრების ყოველ განზომილებაში.

სავალალოა, რომ თანამედროვე პირობებში ადამიანთა დიდი უმეტესობა ავად ხდება მოძრაობის დაქვეითებისა და ნერვული გადაძაბვის გამო. ავადმყოფთა შორის არიან, აგრეთვე, გულ-სისხლძარღვთა სენით დაავადებულებიც; ბევრი პენსიაზე გადის უდროოდ, კიდურების მწყობრიდან გამოსვლით.

ცნობილია, რომ ვინც არ ან ვერ აფასებს საკუთარ ჯანმრთელობას, იგი გაცილებით ნაკლებად აფასებს და უფრო ხილდება სხვის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას. ამ შემთხვევაში დარღვეულია სულისა და სხეულის ერთიანობის ჰარმონია.

ცნობილია ამერიკელმა ფიზიოლოგმა და ფსიქოლოგმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯონ ეკლსმა დაამტკიცა (და არა მხოლოდ მან), რომ ტვინი უნდა განვიხილოთ არა როგორც ფსიქიკურ პროცესთა გენერატორი (წარმოქმნელი), არამედ როგორც ამ პროცესების დეტექტორი (გამომჟღავნებელი), რაც იმას ნიშნავს, რომ ტვინი კი არ წარმოქმნის ფსიქიკურ პროცესებს, არამედ ამჟღავნებს მათ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ორგანიზმს ცხოველმოქმედება მხოლოდ მაშინ გააჩნია, როდესაც იგი არის ჯანმრთელი. მარტივად რომ ვთქვათ, ჯანმრთელია ადამიანის ისეთი მდგომარეობა, როდესაც იგი არ არის ავად და სრულყოფილი ფიზიკური, სოციალური, სულიერი კეთილდღეობაა მისი უმნიშვნელოვანესი საზრუნავი. თუ განვაზოგადებთ ჯანმრთელობის დეფინიციას, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯანმრთელი ადამიანი ხასიათდება მისი უმაღლესი შემგუებლობით ცხოვრების პირობების ცვალებადობის მიმართ, ფსიქიკური გაწონასწორებით და სოციალური ოპტიმიზმით; ჯანმრთელი ადამიანები ფლობენ მეტად სანდო ფიზიკურ, ფსიქიკურ და მორალურ მახასიათებლებს, რომელთა მეშვეობითაც ეწევიან აქტიურ შრომით მოღვაწეობას, ფლობენ ადამიანებთან ურთიერთობის კომფორტს, სათუთად ეპყრობიან ოჯახს. ისინი, როგორც წესი, სულით არ ეცემიან მძიმე ცხოვრებისეული განცდების დროსაც კი. მათთან ადვილად არ გამოიყოფა „შიშის ჰორმონები“, რომლებიც ანგრევენ ადამიანის ჯანმრთელობას და ზიანს აყენებენ მათ მდგომარეობას, მაშინ როდესაც ნამდვილ სიხარულს განიცდიან ისინი, ვინც ცხოვრობს მრავალფეროვნად, აქვს ჯანსაღი მსოფლმხედველობა, თანამიმდევრული და ზნეობრივი ნორმების პატივისცემა. ამ კონტექსტში გავეცნოთ და გავითავისოთ „მენეჯმენტის ფსიქოლოგიის ძირითადი პრინციპები“ (1, 120-133).

აღნიშნული პროცესების გათავისება და ადეკვატური შემეცნება ეხმარება ადამიანს მისი შინაგანი სამყაროს, სულიერი მდგომარეობის მოწესრიგებაში; ფსიქოლოგიურ ჭრილში ადამიანის ცხოველმოქმედების ამაღლებას ხელს უწყობს მთელი რიგი ფაქტორები. პირველ რიგში, შთაბეჭდილების მოხდენის პროცესი, რომლის მეშვეობითაც წარმოიშობა ჩვენი გრძნობა – ემოციები. მეტად მნიშვნელო-

ვანია ესთეტიკური შთაბეჭდილებები, რომლებიც აყალიბებენ ჩვენი ორგანიზმის ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობის მდგომარეობას. ეს პროცესები ჩვენი შემეცნების ალგორითმს ქმნიან, ანუ ყალიბდება სანქცია (დადებითი ან უარყოფითი), რაც წარმოადგენს ადამიანის რეაქციას ქცევის განსაზღვრულ ტიპზე. **ვერც ერთი სანქცია ვერ უზრუნველყოფს დანაშაულებრივი ქცევისაგან თავშეკავებას, თუ არ ამუშავდა პიროვნების ღირებულებით-ნორმატიული მექანიზმი [გავაცნობიეროთ საკუთარი ქცევა რეფლექსიის, თვითდაკვირვების მეშვეობით]** (2, 16).

ასევე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მიერ მის ხელთ არსებული დროის გონივრულ გამოყენებას. არავითარი შრომის რიტმი, არავითარი ნერვული განცდის სიმძაფრე არ იწვევს ჰიპერდროის წარმოშობას, თუ ძლიერ უარყოფით დაძაბულობას დროზე შეცვლით სიმშვიდის პერიოდით. მძიმე შრომას არ შეუძლია ხანგრძლივად, შეუსვენებლად გაგრძელდეს (განსაკუთრებული გამონაკლისის გარეშე...). ტვინის ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის სასურველია ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ადამიანები, რომლებსაც სძინავთ 7-8 საათი, უფრო მეტს ცოცხლობენ, ვიდრე ისინი, ვისაც 5-6 საათი, ან 10 საათი სძინავთ 24 საათში. სასურველია, ყველა ადამიანს ჰქონდეს „ჰობი“. ექიმი გვიჩვენებს საყვარელ მუსიკას (ამბობენ საუკეთესოა ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია, რომელსაც მაგიური ძალა აქვს). საუკეთესოა ბუნებასთან ხშირი კავშირი, ბუნებაში სიარული, ბუნების მოფერება; მზის სხივები გვჩუქნიან უბადლო სხივებს და სიცოცხლეს გვიხანგრძლივებენ.

უბადლო ძალით სარგებლობს ჰიგიენის ტრიადა (ჰიგიენა ბერძნულიდან ითარგმნება – სამკუთხედს ნიშნავს, რომელიც ჯანმრთელობის საწინდარია და რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ფსიქო-ფიზიკურ კეთილდღეობას; სულიერს, ფიზიკურს და სოციალურს. ამ ფაქტორთა პოზიტიური ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე ხელს უწყობს მისი ჯანმრთელობის მაქსიმალურ შენარჩუნებას). ჰიგიენა თითქმის ორთობიოზს (3, 369) უტოლდება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ნორმების ცოდნას. ამ კონტექსტში უდიდეს როლს ასრულებს (მრავალთა შორის) მართვის პრობლემა.

მართვის სისტემის შექმნის, მიზნის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების დროს, აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ წარმოიშობიან ეს მიზნები, რა ფაქტორები უწყობენ ან უშლიან ხელს მის ნორმალურად შექმნის პროცესს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ რაც მიზანმიმართულია, შეიძლება მიზანშეწონილი არ იყოს. ადამიანმა უნდა შეძლოს გარე სამყაროს მოვლენათა დროის თანმიმდევრობაში ასახვა, ე.ი. მიზან-შედეგობრივი კავშირების დამყარება ინფორმაციის ამოღების საფუძველზე. ეს შესაძლებლობას იძლევა, თუნდაც ალბათობით, აიგოს მომავლის პროგნოზები, რაც დროის მოგების შესაძლებლობას იძლევა ქცევის ოპტიმიზაციისთვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიზანი უბრალო როდია, იგი მომავალი სისტემის ისეთი მოდელია, რომელიც: 1. ითვალისწინებს ამოსავალი სიტუაციის თავისებურებებს და მოვლენათა შემდგომი განვითარების პროგნოზირებას ახდენს; 2. ფლობს პროგნოზულ მოვლენათა მსვლელობის შეცვლის უნარს საჭიროების შემთხვევაში.

ადამიანები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული სხვადასხვა სოციალური სისტემის მეშვეობით, დაწყებული ოჯახით და დამთავრებული კაცობრიობით. ჩვენ არა მხოლოდ ვმართავთ, არამედ გვმართავენ კიდევ: ვასრულებთ თხოვნას, მითი-

თებას, განკარგულებას და სხვ. თუ ადამიანს გარედან ეძლევა მიზანი, რა პირობებში შეიძლება მიიღოს და შესძლოს მიზნის მიღწევა? ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს ძირითადი 4 კანონი:

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია: 1. კომუნიკაციის საშუალებებისა და რეცეპტორების სიჯანსაღე, მისი წესრიგში მოყვანა, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიღებას ცდომილების გარეშე; 2. საერთო ენის არსებობა მიმღებსა და გადამცემს შორის, მიმღების უნარი ამოიღოს ინფორმაციის აზრი (მაგალითად, ბულგარეთში, უბრალოდ, თანხმობის ნიშნით თავის დაქნევა ნიშნავს უარყოფას, ხოლო თავის გადაქნევა ნიშნავს დადებითს, რაც ძალიან აფერხებს უცხოელებთან საერთო ენის გამონახვას); 3. მოცემული ინფორმაცია მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული; 4. მიზნის შინაარსის სიახლოვე ამ მიზნის მიმღების შინაგან მრწამსთან (თუნდაც არა აბსოლუტურად საპირისპირო).

მიზნის შექმნასა და მართვას ხელს უშლის არამხოლოდ გარეგანი აკრძალვები; მისი წამოყენების, დასახვის დროს გასათვალისწინებელია რესურსები, საშუალებები, რაც ჩვენს ხელთ არის და რაც მიზნის მიღწევისათვის არის აუცილებელი.

როგორც ცნობილია, მიზნის წარმოქმნის პროცესი (გვინდა შეგახსენოთ, რომ მიზანი მართვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, მისი სრული დეფინიციაა: მიზანდასახული, მიზანმიმართული და მიზანშეწონილი ზემოქმედება სამართავ ობიექტზე) ყოველთვის უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს, ჩვენი ცხოვრების გზა დაფარულია შეუსრულებელი იმედებით, ოცნებებით. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ჩვენ არ ვიცით მიზნის დასახვა? რა მოთხოვნები უნდა აკმაყოფილებდეს მიზნის წარმოქმნა? ამ მოცემულ შეკითხვაზეც პასუხს იძლევა მოცემული 4 კანონი: 1. მიზანი უნდა იყოს სუბიექტურად მიმზიდველი, სასურველი. იგი უნდა იყოს ინდივიდუალური ნდომის, ინტერესების პროდუქტი. ცხადია, ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ ადამიანი ეგოისტი უნდა იყოს, მაგრამ არც იმ უდავო ჭეშმარიტების უარყოფა შეიძლება, რომ რაც უფრო დიდი სიამოვნებით კეთდება საქმე, მით უფრო მეტად დიდია მისი წარმატებით შესრულების შესაძლებლობა. ხშირად ადამიანის ტრაგედია იმით არის გამოწვეული, რომ იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ისეთ საქმეს აკეთებს, რომელიც, ასე ვთქვათ, მისი საქმე არ არის. იგი ვერ პოულობს თავის თავს, ვერ აგლენს თავის შესაძლებლობებს, არ არის ბედნიერი. სახეზეა სრული ჭეშმარიტება, რომ დარღვეულია სულისა და სხეულის აუცილებელი თანაარსებობის ჰარმონია; 2. მიზნის წარმოშობის დროს აუცილებელია მისი (ამ მიზნის) დირექტულების გათვალისწინება; დროის, საჭირო რესურსების, ენერჯის, ჯანმრთელობის დანახარჯების, ზნეობრივი ნორმების ცენტრში მოქცევა და გათვალისწინება – ღირს კი ეს მიზანი ამ საშუალებად? მიზნის შერჩევა კიდევ სხვა შესაძლებლობებზე უარის თქმასთან არის ზოგჯერ დაკავშირებული და ეს უარის თქმა შესაძლოა მეტად ძვირად დაუჯდეს ადამიანს. ამ საკითხთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება გავისხენოთ სვეტონიუსის ბრძნული გამონათქვამი იულიუს კეისარის შესახებ: „...იგი არასოდეს არ იწყებდა ბრძოლას ან ომს, თუ არ იყო დარწმუნებული, რომ გამარჯვებისას უფრო მეტს მოიგებდა, ვიდრე დაკარგავდა დამარცხების შემთხვევაში. იმათ, ვინც ცდილობდა წარმატებისათვის მიეღწია დიდი საშიშროებისა და დანაკარგის ფასად, კეისარი მეთევზეს ადარებდა, რომელიც თევზს ოქროს ანკესით იჭერს და თუ ოქროს ანკესი გაწყდა, ვერავითარი ნადავლი ვერ აა-

ნაზღაურებს დანაკარგს“; 3. მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ პრინციპულად მისაღწევი, არამედ უნდა შეესაბამებოდეს როგორც რეალურ სიტუაციას, ისე ჩვენს შესაძლებლობებს. ხშირად ამ ფაქტის უარყოფას ცხოვრებისეულ კრახამდე მიყვავართ. ობიექტურად რომ განისაზღვროს მიზნის მიღწევის ალბათობა, გათვალისწინებული იქნეს საკუთარი, აუცილებელი რესურსები და შესაძლებლობები – მართვის უდიდესი ხელოვნებაა; 4. მიზანს უნდა ჰქონდეს მაქსიმალურად მკაფიო ხასიათი და მდგრადობა. ბუნდოვანი სურვილები, გაურკვეველი მისწრაფებები, ამორფული ინტერესები თავის მიზნობრივ გაფორმებას მოითხოვს. იმისათვის, რომ საქმიანობა იყოს პროდუქტიული და შინაგანი კმაყოფილება მოგვანიჭოს, მიზანს სტაბილურობა უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოვრება მიზნის მიღწევის მცდელობის მიზნად გადაიქცეოდა. ადამიანმა, როგორც მრავალმიზნობრივმა სისტემამ, ყველანაირად უნდა სცადოს თავიდან აიცილოს შეუთავსებელი მიზნების დასახვის უდიდესი საშიშროება, რამეთუ ეს გარდაუვლად მიგვიყვანს შინაგან კონფლიქტამდე.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანი ის გახლავთ, რომ ყველა საშუალება იქნეს გამოყენებული, რათა არ დაირღვეს სხეულისა და სულის ერთიანობის ჰარმონია, რაც, ჩვენი აზრით, სისტემურად არის ჩამოყალიბებული. ცხოვრებამ და გამოცდილებამ დაადასტურა, რომ შინაგანი კონფლიქტების აუტანელი შედეგები გამოწვეულია სწორედ ამ ჰარმონიის არარსებობით ან დარღვევით. ეს ფაქტორი თავისი „სრულყოფილებით“ გამოვლინდა პიროვნებათაშორისი ურთიერთობების მრავალფეროვან ვითარებაში (პირველ რიგში, პოლიტიკაში, მართვაში, ინდივიდუალურად – ადამიანთა შორის – რაც სავალალო შედეგებითაც დასტურდება და რაც აუცილებლად მოითხოვს რეაგირებას).

ლიტერატურა:

1. სვანიძე ლ., ლექციები ეკონომიკურ ფსიქოლოგიაში. შემეცნებითი სწავლება, თბ., 2016.
2. სვანიძე ლ., კონსპექტი „ურთიდაულ ფსიქოლოგიაში“, 2002.
3. ჯინჯიხაძე ჯ., პედაგოგიურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2017.
4. Вересаев В. В., Собр. соч. М., 1961, т. 1.
5. Цвайг С., Певец своей жизни. Лев Толстой. Л., 1928.

Lia Svanidze

The harmony of the unity of soul and body

Summary

The work comprehensively covers those important factors that secure the co-existence, unity harmony of the human soul and body, his/her normal existence, the state of physical, spiritual and social well-being, taking into account preservation of physical and mental health of the human.

Therefore, the work clearly presents the role of unity harmony of the soul and body for the human health, where it is characterized by highest estimation, adaptation to living conditions, and social optimism.

The researches clearly demonstrated that healthy humans possess more reliable physical, mental and moral purposefulness, thanks to which they are engaged in the active labor activity, have a high comfort of relations, relatively painlessly overcome the obstacles.

The work displays how individual can realize his/her own inner potential by means of his/her will-power, correct individual behavior, amplify the confidence in his/her own abilities. The author substantiates that there are some unused internal resources in human body and mentality, actualization of which is the precondition of mental and physical health improvement.

Based on the above mentioned, we think that studying the ways for addressing the mentioned problems is very important.

Лия Сванидзе
Гармония единства души и тела
Резюме

В работе рассмотрены важнейшие факторы, которые обеспечивают сосуществование души и тела, единую гармонию, его нормальное существование, физическое, духовное и социальное положение, с учетом физического и духовного здоровья. Соответственно, в работе хорошо представлена роль единства души и тела для здоровья.

Исследования показали, что здоровые люди владеют надежной физической, психической и моральной целеустремленностью, с помощью чего занимаются активной рабочей деятельностью, имеют высокий комфорт взаимоотношений, сравнительно легко преодолевают препятствия.

В статье на живых фактах показано, что, исходя из своей воли, личности могут раскрыть свой внутренний потенциал, скорректировать индивидуальное поведение, укрепить веру в свои силы.

По мнению автора, в самом человеческом организме и психике есть нераскрытые внутренние ресурсы, актуализация которых является предпосылкой психического и физического здоровья. Исходя из вышесказанного, думаем, что очень важно дальнейшее исследование рассмотренных в работе проблем.

მზია ტალახაძე
(საქართველო)

**ეკონომიკური ამოცანების მოდელირება დიფერენციალური
განტოლებებით**

მეცნიერების სხვადასხვა დარგის ამოცანების მათემატიკურ მოდელირებაში დიფერენციალურ განტოლებებს უკავიათ მნიშვნელოვანი ადგილი. მათი გამოყენება საკმაოდ ეფექტური და გავრცელებული საშუალებაა. ბევრი რეალური პროცესი აღიწერება მარტივად და სრულად დიფერენციალური განტოლებებით. ამიტომაც სრულიად გასაგებია ის ყურადღება, რაც ეთმობა დიფერენციალურ განტოლებათა შედგენას.

ჩვენი მიზანია მათემატიკის თანამედროვე მეთოდებით შევისწავლოთ ეკონომიკის მეცნიერებათა და ტექნიკის სხვადასხვა გამოყენებითი ამოცანები. კერძოდ, გამოყენებითი ამოცანების მოდელირება მოვახდინოთ დიფერენციალური განტოლებებით. ეს ამოცანები წარმოიქმნება მეცნიერული მოღვაწეობის ან წარმოების პროცესში.

დიფერენციალურ განტოლებათა შედგენის შესწავლის დამახასიათებელ თავისებურებებს წარმოადგენს მრავალი მაგალითის შესწავლა.

პირველი რიგის განტოლება

დიფერენციალური განტოლებები წარმოადგენენ ერთ-ერთ ძირითად მათემატიკურ ინსტრუმენტს ბუნებრივი პროცესების მოდელირების აგებაში.

დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებითი მნიშვნელობა ძალიან დიდია. სანამ გადავიდოდეთ გამოყენებით ამოცანებზე, საჭიროა ჩამოვაყალიბოთ ყველა აუცილებელი თეორიული ინფორმაცია. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ წარმოვიდგინოთ მათემატიკური მოდელის აგების და კვლევის პროცესი.


განსაზღვრება. დიფერენციალური განტოლება ეწოდება განტოლებას, რომელსაც აქვს სახე $F(x, y, y', y'', \dots, y^{(n)}) = 0$, სადაც $F(t_0, t_1, t_2, \dots, t_{n+1})$ არის ფუნქცია, რომელიც განსაზღვრულია R^{n+2} სივრცის რაღაც D არეზე. x არის დამოუკიდებელი ცვლადი, y არის x -ის ფუნქციაა, $y', y'', \dots, y^{(n)}$ მისი წარმოებულებები.

განტოლების რიგი ეწოდება განტოლებაში შემავალი y -ის წარმოებულის უმაღლეს რიგს.


$f(x)$ ფუნქციას ეწოდება განტოლების ამონახსნი $(a; b)$ შუალედზე, თუ ყველა x -სათვის $(a; b)$ -დან შესრულებულია პირობები: 1) $f(x)$ ფუნქციასათვის არსებობს k -ური რიგის წარმოებულები (სადაც $k \leq n$ დიფერენციალური განტოლების რიგია). 2. შესრულებულია ტოლობა $F(x, f(x), f'(x), \dots, f^{(k)}(x)) = 0$. ამონახსნის გრაფიკი ეს არის ინტეგრალური მრუდი.

მაგალითი 1. ამოვსხნათ განტოლება $y' = 0$. მისი ამონახსნი: $f(x) = const$ განსაზღვრულია $(-\infty; +\infty)$. აღვნიშნოთ, რომ ეს მუდმივი ნებისმიერის და ამონახსნი – ერთადერთი არა, არამედ არის ამონახსნთა უსასრულო სიმრავლე (ნახაზი 1).

მაგალითი 2. ამოვსხნათ განტოლება $y' = \varphi(x)$, სადაც $\varphi(x)$ არის $(a; b)$ შუალედზე უწყვეტი ფუნქცია. ვთქვათ, $\varphi(x)$ ფუნქციის პირველყოფილი ფუნქციაა $F(x)$. მაშინ განტოლებას აქვს ამონახსნთა უსასრულო სიმრავლე $(a; b)$ -ზე და ყველას აქვს სახე $y = f(x) = F(x) + C$, სადაც C ნებისმიერი მუდმივია (ნახაზი 2), არსებობს პირდაპირი ხერხი ამოვირჩიოთ ამ ამონახსნებიდან ერთ-ერთი, მოვითხოვოთ, რომ რომელიღაც $x_0 \in (a; b)$ წერტილისთვის სრულდებოდეს პირობა $y(x_0) = y_0$. მაშინ ჩავსვათ x_0 ამონახსნში ვღებულობთ პირობას $y_0 = F(x_0) + C$, განსაზღვრავს $C = y_0 - F(x_0)$ და ამასთან ერთად ერთადერთ ამონახსნს მითითებული პირობით.



ნახაზი 1.



ნახაზი 2.

განვიხილოთ მნიშვნელოვნად ზოგადი სიტუაცია, ვიდრე გეჰონდა მაგალითებში. დაუშვათ, გამოსაკვლევ განტოლებას აქვს სახე $y' = f(x, y)$. ეს არის პირველი რიგის განტოლება ამოხსნილი y' მიმართ. ტერმინი „ამოხსნილი“ ნიშნავს, რომ y' გამოსახება დანარჩენი სიდიდეების საშუალებით, ზოგადი სახის $F(x, y, y') = 0$ განტოლებისგან განსხვავებით, რომლიდანაც y' გამოსახვა შესაძლებელია სრულად არ მოხერხდეს. ჩამოვყალიბოთ მნიშვნელოვანი თეორემა.

თეორემა 1 (კოშის ამოცანის ამონახსნის არსებობის და ერთადერთობის შესახებ)

ვთქვათ, $f(t_1, t_2)$ უწყვეტი ფუნქციაა $D \subset R^2$ არეში, ამასთან, $\frac{\partial f}{\partial t_2}(t_1, t_2)$ არსებობს და შემოსაზღვრულია $D \subset R^2$ -ში. მაშინ ნებისმიერ წერტილისთვის

$(x_0; y_0) \in D$ კოშის ამოცანა:
$$\begin{cases} y' = f(x, y) \\ y(x_0) = y_0 \end{cases}$$

აქვს ამონახსნი, ამასთან, ერთადერთი იმ აზრით, რომ თუ არსებობს მისი ორი y_1 და y_2 ამონახსნი განსაზღვრული შესაბამისად (a_1, b_1) და (a_2, b_2) ინტერვალებზე, რომლებიც შეიცავენ x_0 წერტილს, მაშინ ისინი ემთხვევა ამ ინტერვალთა $(a; b)$ კვეთაზე.

შენიშვნა 1. თუ თეორემა 1-ში არ დავადებთ პირობებს $\frac{\partial f}{\partial t_2}(t_1, t_2)$ ქცევებსა და

არსებობაზე, მაშინ შეიძლება ვამტკიცოთ მხოლოდ ამონახსნის არსებობა. მოცემული მტკიცება ცნობილია პიანოს თეორემის სახით.

შენიშვნა 2. ამბობენ, რომ დიფერენციალური განტოლების $y_1(x)$ ამონახსნი (a_1, b_1) ინტერვალზე არის $y_2(x)$ ამონახსნის გაგრძელება (a_2, b_2) ინტერვალზე თუ

$(a_2, b_2) \subset (a_1, b_1)$ და $y_1(x) \equiv y_2(x)$, (a_2, b_2) ინტერვალზე. ასევე ამბობენ, რომ $y(x)$ ამონახსნი მაქსიმალურია ან არაგაგრძელებადია D მიმართ, თუ $y(x)$ არ ფლობს გაგრძელებებს მთლიანად მოთავსებულს D -ში.

ამ შენიშვნის საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თეორემის პირობებში არსებობს ერთადერთი მაქსიმალური არაგაგრძელებადი კოშის ამოცანის ამონახსნი.

თეორემის გეომეტრიული აზრი მდგომარეობს შემდეგში: $y' = f(x, y)$ განტოლების მარცხენა მხარე y' წარმოადგენს მხების დახრის კუთხის ტანგენსს საძიებელი ფუნქციის გრაფიკის მიმართ (x, y) წერტილში, ხოლო მარჯვენა მხარე $f(x, y)$ გვაძლევს მის რიცხვით მნიშვნელობას ამ წერტილში. ამიტომ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ განტოლება იძლევა მიმართულების ველს D არეზე, ანუ ყოველ $(x, y) \in D$ წერტილში მიმაგრებულია ვექტორი, რომელიც გვიჩვენებს საძიებნი ინტეგრალური მრუდის მიმართ მხების მიმართულებას.

ამიტომ თუ შესრულებულია თეორემა 1-ის პირობები, მაშინ ყოველ $(x, y) \in D$ წერტილზე გადის ერთადერთი არაგაგრძელებადი ინტეგრალური მრუდი.

მაგალითი 3. განვიხილოთ კოშის

$$y'(x) = \begin{cases} \alpha x^{\alpha-1} \sin(1/x) - x^{\alpha-2} \cos(1/x), & x \neq 0 \\ 0, & x = 0 \end{cases}$$

ამოცანა საწყისი პირობებით $y(0) = 0$, სადაც $\alpha \in (1; 2)$. ადვილი დასანახია, რომ მოცემული ამოცანის ამონახსნია

$$y(x) = \begin{cases} x^\alpha \sin(1/x), & x \neq 0 \\ 0, & x = 0 \end{cases}$$

მიუხედავად იმისა, რომ 1 თეორემის პირობები არ სრულდება, ამონახსნი არსებობს. ამგვარად, თეორემა 1-ის პირობები არის აუცილებელი.

განტოლებები განცალკეული ცვლადებით

განსაზღვრა 1. განცალკეულ ცვლადებიანი განტოლება ეწოდება განტოლებას, რომელსაც აქვს სახე $y' = f(x)g(y)$, სადაც $f(x)$ უწყვეტია რომელიღაც $(a; b)$ შუალედში, ხოლო $g(y)$ უწყვეტია $(c; d)$ -ზე, ამასთან, $g(y) \neq 0$ $(c; d)$ -ზე. რადგანაც

$$\frac{dy}{dx} = f(x)g(y) \Leftrightarrow \frac{dy}{g(y)} = f(x)dx$$

ვაინტეგრროთ ბოლო გამოსახულების ორივე მხარე ვღებულობთ

$$\int \frac{dy}{g(y)} = \int f(x)dx$$

$\frac{1}{g(y)}$ ნებისმიერი პირველყოფილი ადენიშნით $G(y)$ -ით, ხოლო $f(x)$ -ის ნებისმიერი პირველყოფილი $F(x)$ ეს გამოსახულება გადავწეროთ შემდეგი სახით $G(y) = F(x) + C$. ეს საძებნი ინტეგრალური მრუდია. განვიხილოთ ასეთი სახის განტოლებათა მაგალითები.


მაგალითი 5. განვიხილოთ განტოლება $y' = ay, a \neq 0$. ცხადია, ამონახსნი $y \equiv 0$. თუ $y \neq 0$, მაშინ განტოლება შეიძლება შევცვალოთ $\int \frac{dy}{y} = a \int dx$, საიდანაც $\ln|y| = ax + C$ თუ ჩავთვლით, რომ $y > 0$ მაშინ $\ln y = x + C$, საიდან $y = e^C \cdot e^{ax}$ ან $y = ke^{ax}, k = e^C$ ანალოგიურად, როცა $y < 0$ ვღებულობთ $y = k_1 e^{ax}, k_1 < 0$, ნახაზი 3.

მაგალითი 6. განვიხილოთ განტოლება $y' = 2\sqrt{|y|}$ ცხადია, ამონახსნი $y \equiv 0$. როდესაც $y > 0$, გვაქვს:


$$\frac{dy}{dx} = 2\sqrt{y} \Leftrightarrow \frac{dy}{2\sqrt{y}} = dx \Leftrightarrow \int \frac{dy}{2\sqrt{y}} = \int dx \Leftrightarrow \sqrt{y} = x - C, \text{ საიდანაც } x \geq C \text{ და}$$

$y = (x - C)^2$. ანალოგიურად, როცა $y < 0$, ვპოულობთ $y = -(x - C)^2, x \leq C$ (ნახაზი 4).

წერტილებში $(C; 0)$ ამონახსნის ერთადერთობა ირღვევა. შევნიშნოთ: ეს არ ეწინააღმდეგება ერთადერთობის თეორემას: $f(x, y) = 2\sqrt{|y|}$ და ფუნქცია $\frac{\partial f}{\partial y}$ არ არის შემოსაზღვრული $(x_0; 0)$ წერტილის ნებისმიერ მიდამოში.



ნახაზი 3.



ნახაზი 4.

ფულადი ანაბრის ზრდის მოდელი დიფერენციალური განტოლებების საშუალებით
 ამოცანა. თანხა A დადებულია ანაბარზე შემნახველ ბანკში r პროცენტად წელიწადში. ვიპოვოთ თანხის ცვლილების კანონი პირობით, რომ ნამატი ერიცხება უწყვეტად.

ამოვხსნათ კერძო ამოცანები.

ა) ბანკში შემნახველ ანაბარზე შეტანილია 10000 ლარი, 2% წლიური დარიცხვით. რამდენი წლის შემდეგ იქნება ანაბარზე 20000 ლარი.

ბ) რამდენი წლის შემდეგ გაორმაგდება ანაბარზე შეტანილი 1 ლარი, თუ წლიური დარიცხვაა 3%.

ამოხსნა. ანაბარზე შეტანილ თანხაზე წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს, პროცენტის დარიცხვის შედეგად, თანხა იქნება:

$$P = A(1 + r).$$

თუ პროცენტი დაერიცხება ყოველ ნახევარ წელიწადში, მაშინ $P = A(1 + \frac{r}{2})^2$.

თუ პროცენტი დაერიცხება კვარტალურად, მაშინ $P = A(1 + \frac{r}{4})^4$.

თუ პროცენტი დაერიცხება ყოველთვიურად, მაშინ $P = A(1 + \frac{r}{12})^{12}$.

ზოგად შემთხვევაში გაზრდილი თანხა წლის ბოლოს იქნება $P = A(1 + \frac{r}{m})^m$.

თუ დაერიცხება წლიური, წელიწადში, მაგალითად, 365-ჯერ, ანუ ყოველდღიურად, წლის გასვლის შემდეგ საერთო თანხა იქნება:

$$P = \left[A(1 + \frac{r}{m})^m \right]^n$$

თუ პროცენტების დარიცხვის რიცხვი უსაზღვროდ გაიზრდება, მაშინ

$$P = \lim_{m \rightarrow \infty} \left[A \left(1 + \frac{r}{m} \right)^m \right]^n = A \lim_{m \rightarrow \infty} \left[\left(1 + \frac{r}{m} \right)^{\frac{m}{r}} \right]^{nr} \quad (1)$$

რადგან $\lim_{m \rightarrow \infty} \left(1 + \frac{r}{m} \right)^{\frac{m}{r}} = e$, მაშინ (1) ტოლობა მიიღებს სახეს: $P = Ae^{nr}$.

შევცვალოთ $n t$ -თი, მივიღებთ თანხას, დაგროვებულს t დროის გასვლის შემდეგ

$$P = Ae^{rt}.$$

დროის dt მცირე შუალედის განმავლობაში P თანხის ნაზარდი იქნება

$$dP = d(Ae^{rt}) = rAe^{rt} dt = rPdt.$$

განვაცვალოთ ცვლადები, მივიღებთ ამოცანის დიფერენციალურ განტოლებას

$$\frac{dP}{P} = rdt \quad (2).$$

ა) ვაინტეგრირებთ (2) ტოლობა და ინტეგრალის საზღვრებად ჩავსვით საწყისი

და საბოლოო პირობები გვექნება $\int_{10000}^{20000} \frac{dP}{P} = 0,02 \int_0^t dt$,

საიდანაც $\ln P \Big|_{10000}^{20000} = 0,02 \Big|_0^t$ ან $\ln 2 = 0,02t$ და საძებნი დრო

$$t = \frac{\ln 2}{0,02} = \frac{0,693}{0,02} = 34,66.$$

ა) ვაინტეგრირებთ (2) ტოლობა ამოცანის პირობების გათვალისწინებით, მივიღებთ

$$\int_1^2 \frac{dP}{P} = 0,03 \int_0^t dt$$

საიდანაც $\ln 2 = 0,03t$

და საძებნი დრო $t = \frac{\ln 2}{0,03} \approx 23,1$ წელი.

სახელმწიფოში ვალუტის შეცვლის მოდელი დიფერენციალური განტოლებების საშუალებით

ამოცანა. სახელმწიფოს ბრუნვაში აქვს 2 მილიარდი (ერთეული) ვალუტა. მთავრობამ გადაწყვიტა ბრუნვაში შემოიღოს ფულის ახალი ნიშნები. ყოველდღიურად ბანკებში შედის 10 მილიონი ერთეულის შესაბამისი ძველი კუპიურა. ბანკში შესული ძველი კუპიურების ნაცვლად ბრუნვაში გადის შესაბამისი რაოდენობის ახალი ფულადი ნიშნები.

ვთქვათ, $x = x(t)$ აღნიშნავს ბრუნვაში მყოფი ახალი ვალუტის რაოდენობას დროის t მომენტისთვის, ამასთან, $x(0) = 0$.

ა) შევადგინოთ მათემატიკური მოდელი დიფერენციალური განტოლების სახით, რომელიც აღწერს ახალი ვალუტის ბრუნვაში შესვლას;

ბ) ვიპოვოთ რამდენი დრო დასჭირდება ძველი ვალუტის 70% შეცვლას ახალი ვალუტით.

• ა) დროის t მომენტიდან $t + \Delta t$ მომენტამდე ბრუნვაში მყოფი ახალი ვალუტის რაოდენობა შეიცვლება $x(t + \Delta t) - x(t) = \Delta x$ სიდიდით. მეორე მხრივ, რადგან დროის ერთეულში (ერთ დღეში) ბანკში შედის 10 მილიონი ძველი ვალუტა, ამიტომ Δt დროში ბანკში შევა $10^7 \Delta t$ რაოდენობის ძველი ვალუტა. სწორედ ეს რაოდენობა იცვლება ახალი ვალუტით დროის განსახილველ Δt შუალედში. ამრიგად,

$$\Delta x = 10^7 \Delta t, \text{ ანუ } \frac{\Delta x}{\Delta t} = 10^7$$

ზღვარზე გადასვლით, როდესაც $\Delta x \rightarrow 0$ მივიღებთ შემდეგ დიფერენციალურ განტოლებას $\frac{dx}{dt} = 10^7$,

მარტივად ვახვევებთ, რომ ამ დიფერენციალური განტოლების ამონახსნია $x(t) = 10^7 t + C$, სადაც C ნებისმიერი მუდმივია.

თუ გავითვალისწინებთ ამოცანის საწყის პირობას $x(0) = 0$, მაშინ მივიღებთ $C = 0$. ამრიგად, ახალი ვალუტის ბრუნვაში შესვლის პროცესი აღიწერება $x(t) = 10^7 t$ ფუნქციით.

• (ბ) იმისათვის, რომ ვიპოვოთ 70% ძველი ვალუტის შეცვლისთვის საჭირო დრო, ჯერ გამოვთვალოთ ბრუნვაში მყოფი 2 მილიარდის 70%:

$$\frac{2 \cdot 10^9 \cdot 70}{100} = 14 \cdot 10^8$$

გავუტოლოთ ეს რიცხვი ფუნქციას $x(t)$ და ვიპოვოთ t :

$$x(t) = 10^7 t = 14 \cdot 10^8$$

$$\text{აქედან } t = 14 \cdot 10 = 140$$

ამრიგად, 70% ძველი ვალუტის შეცვლას ახლით დასჭირდება 140 დღე.

ლიტერატურა:

1. ტალახაძე მ., ქიმიური სინთეზის ამოცანების მოდელირება დიფერენციალური განტოლებებით, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, 2018, №30.
2. პონომარევი კ., დიფერენციალურ განტოლებათა შედგენა, 1973 (რუსულ ენაზე).
3. Математические методы решения химических задач. М., 2013.
4. ნატროშვილი დ., გიორგაშვილი ლ., უსანეთაშვილი მ., ჯანიაშვილი გ., მათემატიკა ეკონომისტებისათვის, თბ., 1999.

Mzia Talakhadze
Modelling economic tasks through differential equations
Summary

Differential equations take an important place in math appendixes of different fields of science. They present quite an effective and common way of solving tasks by using natural science and technique. Many real processes are described easily and completely with differential tasks. Therefore, the interest toward creating differential equations is quite natural.

Our aim is to show different tasks of natural science and technique and support modern methods to study creation of differential equations. These tasks are derived in the process of scientific research or production.

Our goal was to study the following tasks of economics: the growth model of cash-deposit through differential equations and the model of currency change through differential equations.

Мзия Талахадзе
Моделирование экономических задач дифференциальными уравнениями
Резюме

В приложениях математики к различным отраслям науки дифференциальные уравнения занимают важное место. Использование их наиболее эффективное и распространенное средство решения прикладных задач естествознания и техники. Многие реальные процессы с помощью дифференциальных уравнений описываются просто и полно. Поэтому вполне понятно то внимание, которое уделяется вопросу составления дифференциальных уравнений.

Наша цель - изучить следующие задачи экономики: модель роста денежных вкладов дифференциальными уравнениями и модель изменения валюты в государстве дифференциальными уравнениями.

როინ ბერია, ნათო ტოლორა
(Грузия)

КОМПЬЮТЕРНОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ КОМБИНИРОВАННОГО МЕТОДА КИРХГОФФА И КОНЕЧНЫХ РАЗНОСТЕЙ ВО ВРЕМЕННОЙ ОБЛАСТИ

Введение. В современных условиях, с целью построения диаграмм излученных полей на расстояний, стало необходимым моделирование электромагнитных излучений электрических устройств (мобильный телефон, антенна и др.) Для разрешения данной задачи в электродинамике применяются такие известные методы, как метод моментов, метод вспомогательных излучателей, метод конечных разностей и другие.

В данной работе для решения электродинамических задач нами создан новый метод, который представляет собой комбинированный вариант метода конечных разностей во временной области (FDTD) и метод Кирхгоффа (КМ), совместное применение которого обусловлено отдельно взятыми недостатками каждого из этих методов.

В частности, применение метода (FDTD) возможно только в ограниченной области пространства и времени, что безусловно неприменимо для достаточно больших расстояний и тем более для построения диаграмм излученных электромагнитных полей. Построение диаграмм возможно с помощью метода Кирхгоффа, который представляет собой математическое обобщение метода Гюйгенса-Френеля. Коротко опишем примененный нами метод конечных разностей во временной области, метод Кирхгоффа и комбинированный метод Кирхгоффа и конечных разностей (FDTD+ КМ).

Метод конечных разностей во временной области. В случае трехмерных задач, этот метод состоит в следующем: связь между векторами напряженностей электрического и магнитного полей и их источниками отражается в уравнениях Максвелла:

$$\left. \begin{aligned} \operatorname{rot} \vec{H}^{sc} &= \vec{J} + \frac{\partial \vec{E}^{sc}}{\partial t}, \\ \operatorname{rot} \vec{E}^{sc} &= -\frac{\partial \vec{B}^{sc}}{\partial t}, \\ \operatorname{div} \vec{E} &= \frac{\rho}{\epsilon_0}, \quad \operatorname{div} \vec{H} = 0, \quad \vec{D} = \epsilon_0 \vec{E}, \\ \vec{B} &= \mu_0 \vec{H}, \quad \frac{\partial \rho}{\partial t} + \operatorname{div} \vec{J} = 0, \end{aligned} \right\} \quad (1)$$

где, \vec{H}^{sc} и \vec{B}^{sc} векторы напряженности рассеянного магнитного поля и индукции соответственно. \vec{E}^{sc} и \vec{D}^{sc} векторы напряженности рассеянного электрического поля и индукции соответственно, \vec{J} да ρ плотности электрического тока и заряда соответственно.

В пространстве происходит выбор трехмерной сетки специального типа, в узлах которого расположены различные компоненты электрических и магнитных полей. Такая сетка показана на рис.1. В этой схеме между временным и пространственным шагами существует следующая связь: $\Delta x = \Delta y = \Delta z = c \Delta t$, где c скорость света в вакууме. При такой

дискретизации разностные схемы для производных пространственных и временных полей имеют вид:




Рис. 1 Дискретизация пространства для компонентов электрических и магнитных полей

$$\left. \begin{aligned}
 (i, j, k) &= (i\Delta x, j\Delta y, k\Delta z), n = n\Delta t \\
 F^n(i, j, k) &= F(i\Delta x, j\Delta y, k\Delta z, n\Delta t) \\
 \frac{\partial F^n(i, j, k)}{\partial x} &= \frac{F^n\left(i + \frac{1}{2}, j, k\right) - F^n\left(i - \frac{1}{2}, j, k\right)}{\Delta x} \\
 \frac{\partial F^n(i, j, k)}{\partial t} &= \frac{F^{n+\frac{1}{2}}(i, j, k) - F^{n-\frac{1}{2}}(i, j, k)}{\Delta t}
 \end{aligned} \right\} \quad (2)$$

С учетом разностной схемы (2) в системе уравнений Максвелла (1), можно получить соответствующие выражения для компонентов электрических и магнитных полей, в которых значения полей в данной точке узла и в данный момент времени, записываются с помощью компонентов полей в прилежащих узлах и в предыдущий момент времени. Это дает возможность нахождения значений полей в последующий момент времени, с помощью уже известных компонентов. Например, для составляющей E_x электрического поля имеем:

$$\begin{aligned}
E_z^{n+1}(i, j, k+1/2) = & \frac{1 - \frac{\sigma(i, j, k+1/2)\Delta t}{2\varepsilon(i, j, k+1/2)}}{1 + \frac{\sigma(i, j, k+1/2)\Delta t}{2\varepsilon(i, j, k+1/2)}} E_z^n(i, j, k+1/2) + \\
& + \frac{\Delta t}{\varepsilon(i, j, k+1/2)} \cdot \frac{1}{1 + \frac{\sigma(i, j, k+1/2)\Delta t}{2\varepsilon(i, j, k+1/2)}} \times \\
& \times \left[\frac{H_y^{n+1/2}(i+1/2, j, k+1/2) - H_y^{n+1/2}(i-1/2, j, k+1/2)}{\Delta x} + \right. \\
& \left. + \frac{H_x^{n+1/2}(i, j-1/2, k+1/2) - H_x^{n+1/2}(i, j+1/2, k+1/2)}{\Delta y} \right]
\end{aligned} \tag{3}$$

Согласно выше указанной схеме выражения напряженностей электрического и магнитного полей записываются также и для других составляющих.

В этих формулах, специальный выбор величин σ , ρ' , ε , μ , дает возможность вставить в узлы сетки метода конечных разностей рассеивающие поверхности веществ или объемные тела различных типов.

Метод Кирхгоффа. Как известно, метод Кирхгоффа представляет собой математическое обобщение принципа Гюйгенса-Френеля, главная идея которого заключается в том, что в некоторой точке пространства $M(x, y, z)$ возмущения представляют собой результат интерференции полей, излучаемых вторичными источниками. Вторичные источники расположены между реальными источниками и точкой $M(x, y, z)$, проходящей через поверхность S (рис. 2.)




рис. 2. Геометрия метода Кирхгоффа

Пусть $U(M)$ и $G(M)$ представляют собой комплексные функции точки $M(x, y, z)$, в объеме V , ограниченной поверхностью S имеют непрерывные частные производные первого и второго порядка. Тогда согласно теореме Грина

$$\oint_V (G\Delta U - U\Delta G) dV = \oint_S \left(G \frac{\partial U}{\partial n} - U \frac{\partial G}{\partial n} \right) ds, \tag{4}$$

где $\frac{\partial}{\partial n}$ представляет собой производную поверхности S вдоль нормали \vec{a} . Пусть функция U представляет собой комплексную амплитуду волнового поля и внутри объема V удовлетворяет однородному уравнению Гельмгольца.

FDTD + KM. Описание комбинированного метода. Как уже отметили, из-за ограничения компьютерных ресурсов (FDTD) метод не дает возможность длительных расчетов в достаточно больших областях, поэтому для нахождения диаграммы полей в большой области стало необходимым введение комбинированного метода. Один из таких методов приведен в нашей работе. Это есть компьютерный метод (FDTD + KM).

Вначале расчеты методом FDTD + KM ведутся в ограниченной области, которая дает возможность определить временные функции поля внутри этой области. Переведем временные результаты с помощью метода Фурье

$$G(\omega) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_{-\infty}^{\infty} F(t) e^{-i\omega t} dt . \quad (4)$$

Затем с помощью формулы (3) находим значения поля в любой точке пространства $M(x,y,z)$, что дает возможность нахождения диаграммы полей в большой области. Нахождение поля в большой области методом Кирхгоффа возможно только с помощью замкнутой поверхности, который полностью размещен в тонко оспариваемых областях внутри идеально согласованных слоев. В наших расчетах применяются сферические поверхности, которые разделены на элементарные ds поверхности и в центрах которых возможно определение приблизительных значений поля, с помощью соответствующих компонентов в узлах куба.

Тестирование метода. Для изучения диаграммы излученного поля на расстоянии, произошло тестирование метода с помощью микроскопической антенны конечных размеров. Известно, что микроскопические антенны обладают такими особенными свойствами, которые превращают их в альтернативный вариант мобильной связи, включая радарные устройства.

В таком случае полностью изучены электродинамические свойства микроскопических антенн (рис. 3). Как известно, с помощью этой задачи происходит тестирование комбинированного метода Кирхгоффа и метода конечных разностей.




рис. 3. Геометрия антенны. начало координатной системы OXYZ находится в центре антенны: a=5мм, b=3мм, c=2мм, d=15мм.

Микроскопическая антенна состоит, с одной стороны, из металлического заземленного диэлектрика и, с другой стороны, из металлической пластинки малых размеров. Питание этой антенны возможно с помощью микролиний между землей и пленкой, также с помощью коаксиального кабеля.

В общем, металлическая пластинка может иметь форму прямоугольника, круга и так далее. Форма антенны зависит от его эксплуатации, в том числе может иметь комплексную геометрию.

В данном случае рассмотрено возбуждение микроскопической антенны квадратных размеров с помощью прямой полосы. Размеры антенны таковы: сторона квадрата $a=5\text{мм}$, длина полосы $b=3\text{мм}$, толщина диэлектрика $c=2\text{мм}$, сторона квадрата диэлектрика $d=15\text{мм}$. Составляющая напряженности электрического поля между металлической пластинкой и заземленным слоем изменяется во времени следующей формулой:

$$E_z^+(t) = \sin\left(\frac{2\pi}{\lambda} ct\right), \quad (5)$$


Где c скорость света и $\lambda = 3$ см длина волны. В возбужденной области для компонентов вектора z напряженности электрического поля имеем: $E_z = E_z^{sc} + E_z^+$, где E_z^{sc} есть составляющая вектора z . Значение этой величины указывает на то, насколько оптимизированы параметры антенны.

Для нахождения излученного поля в дальней зоне применяем метод Кирхгоффа. Для этого временные значения напряженности векторов электрического и магнитного полей, вычисленные в средней точке сферической поверхности из временной области методом Фурье переводятся в частотную область с помощью (4). При таком представлении диаграмма электрического поля вычисляется по формуле:

$$E_\theta(\theta, \varphi) = \oint_s -e^{ik\rho} \left[\sqrt{\frac{\mu_0}{\epsilon_0}} (\vec{n}_\theta \times \vec{n}') \cdot \vec{H}(\vec{r}, \omega) + [\vec{n}_\theta \times \vec{n}'] \cdot \vec{E}(\vec{r}, \omega) \right] ds.$$

$$E_\varphi(\theta, \varphi) = \oint_s -e^{ik\rho} \left[\sqrt{\frac{\mu_0}{\epsilon_0}} (\vec{n}_\varphi \times \vec{n}') \cdot \vec{H}(\vec{r}, \omega) + [\vec{n}_\varphi \times \vec{n}'] \cdot \vec{E}(\vec{r}, \omega) \right] ds.$$

где $\rho = x_0 \cos \varphi \sin \theta + y_0 \sin \varphi \cos \theta + z_0 \cos \theta$, $[(x)_0, y_0, z_0]$ – координаты искомого электромагнитного поля на искомой поверхности диаграммы, \vec{n}_φ – внешняя нормаль поверхности S , λ , ϵ_0 и μ_0 электрическая и магнитная проницаемости, \vec{n}_φ и единичные векторы точки наблюдения, $\vec{E}(\vec{r}, \omega)$ и $\vec{H}(\vec{r}, \omega)$ напряженности электрического и магнитного полей на вспомогательной сферической поверхности s .



რის. 4. E_{θ} დიაგრამა на плоскости $\varphi = 0$

На рис. 4 показано, что излучение происходит пластинкой антенны под углом 90° . Диаграмма излученного поля превышает 180° и дает хорошую зону покрытия в сторону антенны.

Изучение антенн другой геометрии показало, что получение более тонкой диаграммы возможно с помощью расположения микроантенн на плоской или цилиндрической поверхности.

Полученные результаты сверены с результатами решений, полученных методом вспомогательных излучателей. Из сравнения стало ясно, что результаты хорошо сочетаются друг с другом и погрешность составляет всего лишь 1-2%, то данный комбинированный метод успешно можно применять для эффективного решения электродинамических задач такого типа.

Литერатура:

1. Yee K., IEEE Trans. on Ant. and Prop., vol. AP-14, pp. 302-307. May, 1966.
2. Berenger J., As PML for the Absorption of EM Waves. J. Phys. vol. 114, pp. 185-200, Aug., 1994.
3. Beria R., Shubitidze Ph., Jobava R., Karkashadze D., Zaridze R., Pommerenke D., Frei S., Fdtd method problems of penetration of transient fields of electrostatic discharge into a cavity. Kharkov, MMET '98 International Conference Proceedings. IEEE Catalog Number 98EX114. June 2-5, 1998.
4. შუბითიძე ფ., ეკონომუ დ., ბერია რ., შამათავა ი., სასრული ზომის მიკროზოლოგანი ანტენების გამოსხივება. სოხუმის უნივერსიტეტის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 14-15 მაისი, 1999.

როინ ბერია, ნატო თოლორაია
კირხოფისა და დროით არეში სასრული სხვაობების კომბინირებული
მეთოდის კომპიუტერული მოდელირება
რეზიუმე

თანამედროვე პირობებში აუცილებელი გახდა ელექტრონულ მოწყობილობათა (ანტენა, მობილური ტელეფონი და სხვ.) ელექტრომაგნიტური გამოსხივების მოდელირება მათ მიერ შორ ზონაში გამოსხივებული ველების დიაგრამის პოვნის მიზნით. აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად ელექტროდინამიკაში გამოიყენება ისეთი ცნობილი მეთოდები, როგორებიცაა: მომენტების მეთოდი დროით და სიხშირულ არეში, დამხმარე გამომსხივებლების მეთოდი, სასრული სხვაობების მეთოდი და სხვ.

მოცემულ ნაშრომში ელექტროდინამიკის ამოცანების ამოსახსნელად ჩვენ მიერ შექმნილია ახალი კომბინირებული მეთოდი. ეს მეთოდი წარმოადგენს დროით არეში სასრული სხვაობებისა (FDTD) და კირხოფის მეთოდის (KM) კომბინირებულ ვარიანტს, რომელთა კომბინირებული გამოყენება განპირობებულია ცალკე აღებული თითოეული მეთოდისათვის დამახასიათებელი რიგი ნაკლოვანებებით.

მიღებული შედეგები შედარებულია იმავე ამოცანის ამოსხნის შედეგებთან, რომელიც მიღებულია დამხმარე გამომსხივებლების მეთოდის (MAS) გამოყენებით. შედარებამ ცხადყო, რომ შედეგები კარგ თანხვედრაშია ერთმანეთთან და ცდომილება შეადგენს დაახლოებით 1-2%, ანუ მოცემული კომბინირებული მეთოდი შესაძლებელია წარმატებით გამოვიყენოთ ამ ტიპის გარდამავალი ელექტროდინამიკური ამოცანების ეფექტურად გადასაწყვეტად.

Roin Beria, Nato Toloraya
Computer simulations of the combined Kirchhoff method
and finite differences in the time domain
Summary

In modern conditions, for constructing diagrams of radiated fields at a distance it became necessary to simulate electromagnetic radiation of electrical devices (antenna, mobile phone, etc.). To solve this problem in electrodynamics such well-known methods as the method of moments, the method of auxiliary emitters, the method of finite differences, and others are used.

In this paper, we created a new method for solving electrodynamic problems, which is a combined version of the time domain finite difference method (FDTD) and the Kirchhoff method (KM), the combined use of which is caused by the individual weaknesses of each of these methods.

The results obtained are compared with the results of solutions obtained by the method of auxiliary emitters. From the comparison it became clear that the results are well combined with each other and the error is only 1-2%. That is, this combination method can be successfully applied for effective solution electrodynamic problems of this type.

მილორად პავინი

„მამის, ძისა ანდა სამოს სულის სახელით ვერა“

თარგმანი შორენა კორტავასი

პოსტმოდერნისტი სერბი მწერლის მილორად პავინის მოცემული ესე წარმოადგენს ადამიანური საქმიანობების, ლიტერატურაში თაობების, ავტორების და, ზოგადად, ადამიანური ტიპაჟების კლასიფიკაციას. გაზომვის კრიტერიუმად აღებული ათონის მთაზე მოღვაწე ბერების ორი ორდენი - „კინოვიტები“ და „იდიორიტმიკოსები“ - აქ არაა კონფესიონალური მნიშვნელობით ნახმარი, თუმცა ათონის მთაზე მწერლის ყოფნის შედეგად გაკეთებული ექსკურსი ძალზედ შთამბეჭდავია. ესე სოციოლოგიური თვალსაზრისით ერთობ საინტერესოა!

მთარგმნელისაგან

საბერძნეთის უკიდურეს ნახევარკუნძულზე, სახელად ხალკიდისი, 1000 წელიწადზე მეტია არსებობს ბერ-მონაზონთა მართლმადიდებლური სახელმწიფო. მონასტერთა რიცხვი აქ დიდია, ხოლო ბერები, რომლებიც ამ მონასტრებში სახლობენ, არიან ურიცხვი: ბერძნები, სერბები (წმინდა მიწის ნახევარი უკავია მათ მონასტერს, ხილანდარს), რუსები, ბულგარელები და სხვანი. ის, ვინც ათონის წმინდა მთის მონასტრებს მონახულებს, შეიტყობს, რომ აქ ბერების ორი ტიპი სახლობს: კინოვიტები (სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან *χοιvus bios*, რაც „ერთობლივ ცხოვრებას“ აღნიშნავს) და იდიორიტმიკოსები – მარტოკაცნი. გაერთიანებული თავისებური სახის კომუნაში, ერთნი ცხოვრობენ სამოს წმინდა აღთქმით, ხოლო სხვები – თავისთვის და დანარჩენ ბერებთან თითქმის არ გადაიკვეთებიან (ცხადია, ეს არის უბრალოდ ათონზე მიღებული სამონაზვნო ცხოვრების ორი ტიპი და ამ სამონაზვნო ორდენებიდან თითოეული – მოვიხსენიოთ ისინი მსგავსად – იმ ადამიანთა მოღვაწეობის იშვიათ მაგალითებს გვაძლევს, ვისაც აურჩევიათ განდგომილი ანახორეცების ბედი). ამ ორ ორდენს, როგორც ჩვენ მათ მოვიხსენიებთ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება აქვს, უფრო ზუსტად კი – განსხვავება. მრავალი ასწლეული გავიდა, რაც თანამცხოვრებმა ბერებმა და მარტოკაცმა ბერებმა ერთმანეთში გადაინაწილეს საქმიანობის სფეროები, სხვადასხვა ხელობანი, სულიერი დისციპლინები. ადამიანური მოღვაწეობის სახეები დანაწილებულია დიდი სიზუსტით და მკაცრად და დაცული მათი ამ ფორმით მიღვენება.

მარტოკაცები და საძმო

ძნელია განსაზღვრო, ათონში როდის და რა პირობებში გადასწონის ამა თუ იმ სამონაზვნო ორდენის ძალაუფლება. ყოველთვის, როცა კინოვიტების (თანამცხოვრებთა) ერთი თაობა მონასტერში დიდ ზეგავლენას მოიპოვებს, წინა პლანზე გამოდის მათი საქმიანობის სფეროები. კინოვიტები (თანამცხოვრებნი), ჩვეულებრივ, სიამოვნებით და ხშირად ხდებიან მუსიკოსები (მგალობლები ეკლესიაში), მშენებლები და ქვის-მთლელები, სამხედროები (თუკი ამას გარემოება მოითხოვს), ექიმები ან ექიმბაშები, ასტრონომები, მევენახეები, მწერლები – ყველა ეს საქმიანობა სწორედ მათ ორდენს უკავშირდება. ჩაუღრმავდებიან რა მათ, არიან ყოველთვის შვიდი თავისუფალი მეცნიერების ფარგლებში, რომლებიც ჩვენთვის უხსოვარი დროიდანაა ცნობილი, განსაკუთრებით კი, მათემატიკური მეცნიერებების (არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა). ზემოჩამოთვლილ პოლულარულ დისციპლინათა გვერდით, პირველ ყოვლისა კი მუსიკასთან, არის ინტერესი სცენური ხელოვნებისადმი, თუმცა, ცხადია, ათონში იგი არაა.

მონასტერში მოსვლამდე, კინოვიტები, როგორც წესი, მსხვილ სახალხო მოძრაობებში მონაწილეობენ. ერესში ჩავარდნის შემთხვევაში, ისინი დოგმატიკოსები ანდა ხატმებრძოლები ხდებიან.

პირიქით, თუკი ამა თუ იმ თაობაში იდიორიტმიკოსების (მარტოკაცების) მხარე გადასწონის და ისე ხდება, რომ სწორედ ისინი დაიკავებენ გავლენიან პოზიციებს, დაიწყებენ წმინდა მთაზე მონასტრის მართვას, პირველ პლანზე წამოვა მათთვის მახასიათებელი საქმიანობები. მარტოკაცები უპირატესად მისდევენ ხელოვნებას, ქადაგებას, მიწათმოქმედებას, პედაგოგიკას, ლინგვისტიკას, მეთეფზეობას და ლოცმანობას. კინოვიტებისაგან განსხვავებით, იდიორიტმიკოსები უფრო მეტად ფართე საერთაშორისო მოძრაობებს მიეკუთვნებიან, ხოლო ერესში ჩავარდნილები ხდებიან კერპთაყვანისმცემლები. შვიდ თავისუფალ მეცნიერებათა შორის მათ, ჩვეულებრივ, აღაფრთოვანებთ ტრივიუმი, ანუ თავისი საქმიანობის სფეროდ ზეპირ დისციპლინებს ირჩევენ: რიტორიკას, გრამატიკას (რომელნიც მოიცავენ და იაზრებენ ლიტერატურულ ნაწარმოებებს) და დიალექტიკას, კამათის წარმოების ხელოვნებას, ე.ი. ლოგიკას.

მონასტერში ერთი ორდენი მეორეს სულაც არ გადასწონის თავისთავად ანდა ზუსტი თანმიმდევრობით, რაც თაობათა ცვლაზეა დამოკიდებული. ეს ცვლილებები შედეგია ამა თუ იმ სამონაზვნო ცხოვრების მისწრაფებათა ჩამოშლისა. მე გამიჭირდება შეფასება იმისა, თუ რა გარემოებებში შემოდიან ასპარეზზე კინოვიტები და რა გარემოებებში – იდიორიტმიკოსები. თუმცადა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მშვიდობიან დროს მონასტრებს მართავენ კინოვიტები, როცა მეფობს აყვავება, ხოლო ყველაზე მძიმე და ბურუსიან პერიოდში პირველ პლანზე გამოდიან იდიორიტმიკოსები, ანუ, როდესაც დგება განსაცდელი. თავის მსგავსთან მიმართებაში კინოვიტები და იდიორიტმიკოსები იქცევიან სრულიად განსაზღვრული ფორმით, ერთმანეთისგან განსხვავებულად. იდიორიტმიკოსები ერთმანეთს არ ეცნაურებიან, თუკი დაკავებულნი არიან მწერლობით, ერთმანეთის ნაშრომებს არ კითხულობენ. კინოვიტები კი დაყოფას, რომელზეც აქ საუბარი გვაქვს, არცკი ამჩნევენ. ეს, ცხადია, ზეგავლენას არ ახდენს კინოვიტების და იდიორიტმიკოსების თაობათა მონაცვლეობაზე, ხან ერთი, ხანაც მეორე ცხოვრების

სტილია პირველ პლანზე, რაც საშუალებას იძლევა განსაკუთრებით ინტენსიურად განვითარდეს ბერების ორ გვარს შორის დანაწილებული ადამიანური საქმიანობები. ამრიგადაა წმინდა მთაზე საუკუნეების მანძილზე ორ დიდ ჯგუფში გაერთიანებული ყველა ადამიანური ცოდნა. მონაცვლეობით, ხან მოიკრებენ ძალებს, ხანაც მეორე პლანზე გადადიან, მეცნიერთ და ხელოვანთ საშუალებას აძლევენ თაობების ცვლასთან ერთად ერთ რიტმში ისუნთქონ. ჩვენ ვხვდებით, რომ კაცობრიობა ამ ბერების დახმარებით სრულყოფს თავის მიღწევებს, ხელობათა სახეობებს, ხელოვნებას, ცოდნას მოქცევათა და მიქცევათა რიტმში.

სამონაზვნო ორდენის შეცვლა (განდევილება)

ცხოვრება ადამიანის არჩევანში ხანდახან ცვლილებებს შეიტანს. ათონში ხანდახან ასეც ხდება, რომელიღაც იდიორიტმიკოსი, მარტოკაცი უცებ ქვისმთლელი შეიქმნება (რაც მისი სულიერი სამოსთვის სრულებითაც არაა ნიშანდობლივი), ანდა კინოვიტი გახდება პოლიგლოტი, რაც სხვა ორდენის პრეროგატივაა. ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ ასეთ ბერს გაუჭირდება მოწოდების განხორციელება, ვინაიდან იგი წარმოადგენს სხვათა პრივილეგიას. როცა ვიმყოფებოდი წმინდა მთაზე, დავინტერესდი, როგორ ხდება იდიორიტმიკოსი კინოვიტი? რა უნდა მოიმოქმედოს ბერმა, რათა ერთი ორდენიდან გადავიდეს მეორეში. მე ასე მპასუხობდნენ, მან უნდა შეიცვალოს სახელი, უარი თქვას მშობლიურ ენაზე, დატოვოს მონასტერი, სადაც ადრე იმყოფებოდა და წავიდეს რომელიღაც სხვაში... თუკი ბერი თავის თავში ასეთი ღვაწლისთვის საჭირო ძაღას იპოვის – შეცვლის მთელს თავის ცხოვრებას და შეიცვლის მონასტერს, – მაშინ წამების გარეშე ახალ გარემოში, ახალ ორდენში შესძლებს თავისი მოწოდების რეალიზებას, რომელიც ელოდა მას წინარე ცხოვრებაში. მოწოდების ინტერესის თვალსაზრისიდან, ბერი გადარჩენილია, რაც შეეხება მისი სულის მთლიანობას, ამ თვალსაზრისით – არა. ვინაიდან ის, ვინაც საკუთარი თავისაგან განკურნება მოახერხა, ცუდად ამთავრებს.

მოვლენის ლიტერატურული სახეობა

აქ უკვე უნდა აღინიშნოს, რომ აწი ჩვენ სამონაზვნო ცხოვრების პრაქტიკას წმინდა მთაზე და არც სადმე სხვაგან არ შევეხებით. ყველაფერი, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, შესაძლოა აღმოჩენილი იყოს არა მხოლოდ ათონის ბერებს შორის, არამედ სინაზეც, არათუ ახლა, ადრეული ქრისტიანობის პერიოდებშიც. რატომ გვაინტერესებს ეს ყველაფერი? ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე დაგროვილი სამონაზვნო სიბრძნის გამოცდილება შესაძლოა გაცნობიერებულ იქნეს, იგი მოდის უხსოვარი დროიდან და ესმარება მათ თაობათა ცვლის სიძნელეებს და მონასტერში თავინათ მოვალეობებს გაართვან თავი. ჩვენ შეგვიძლია გამოცდილება გადმოტანილი წმინდა მთიდან, შემოვებრუნოთ ერისაკენ და არ ჩაუფრმავედეთ მას უფრო, ვიდრე გაგვიკეთებია. მაგალითად, ავიღოთ ლიტერატურული ცხოვრება. თვალში საცემია, რომ ლიტერატურა ყოველთვის არ იკავებს „პრივილეგირებული“ საქმიანობების რიცხვს. როგორც ნებისმიერი სხვა გვარი ადამიანური მოღვაწეობისა, ლიტერატურაც დროდარდო მოექცევა რაიმე სხვა

საქმიანობის ჩრდილში, რომელიც მოცემულ მომენტში უფრო რე „მნიშვნელოვანი“. ეს, ცხადია, მოსალოდნელია მაშინ, როდესაც საზოგადოებაში თავისი მნიშვნელობით გადასწონის იდიორიტმიკოსების, მარტოკაცების თაობა (ცხადია, არა ამ სიტყვის კონფესიონალური გაგებით), რომელთა მოღვაწეობის სფეროსთვის ლიტერატურა არის უცხო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მწერლის მდგომარეობა თავის ასპარეზზე განსაზღვრულია ისტორიული მომენტით, უფრო მეტად კი კუთვნილებით იდიორიტმიკოსების ანდა კინოვიტების თაობისადმი. ლიტერატურას უნდა შეეხედოთ ცალკეულ თაობაში სალიტერატურო ხელოვნებისადმი მიდრეკილების ქონისა და არქონის ცვლილებათა ფონზე.

მკითხველი, რომელიც კითხვის წყალობით დაგროვილ ენერჯიას არ ხარჯავს, ემგვანება ადამიანს, რომელიც საკვებიდან მიღებულ ენერჯიას რა არ წვავს, სუქდება. მწერალთან სულ სხვაგვარადაა საქმე. მწერლებს მკითხველებთან ანათესავებთ წმინდა მთიდან აღებული ზემოთ აღწერილი უნივერსალური მოდელი. იგი შეიძლება განვარცოთ ადამიანური საქმიანობის ყველა სახეობაზე, ხელოვნებისა და მეცნიერების ყველა დარგზე (რომლებსაც კი ჩვენ განმანათლებლობის ეპოქის შემდგომ შევეჩხებოთ). თითოეულ ჩვენგანს შეეძლო საკუთარი თავისათვის დაესვა შეკითხვა, რომელ ჯგუფს განეკუთვნება თავად – მარტოკაცებს თუ საძმოს ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. პასუხის პოვნის შემთხვევაში მივიღებდით შესაძლებლობას ცოტათი უკეთ გაგვეგო საკუთარი თავი, საკუთარი ეპოქა, ჩვენი საქმიანობა, უიღბლობები, სავარაუდო სირთულეები ანდა მიღწევები. ქცევის აღწერილი მოდელიდან ამოსვლისას თაობათა ცვლილებების დროს ადვილია შენთვის განსაზღვრო „ხელოვნებისა და მეცნიერების შედარებითი ისტორია“. ამ სფეროში შესაძლო გამოკვლევების შემდგომ, მომავალში, მსგავს ნაშრომში შეიძლება დაიძებნოს პასუხი შეკითხვაზე: რომელ ჯგუფს განეკუთვნებოდნენ, მაგალითად, უილიამ შექსპირი და სერვანტესი? ანდა, იონგი და აინშტაინი?

დასაწყისისთვის მე შევეცდები ზოგიერთი ცალკეული შემთხვევის აღწერას, რომელთა წარმოდგენაც შესაძლებელია ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი ასეთი მიდგომის დროს.

საძმოს სულით წერა

ამ ჯგუფს განეკუთვნებიან ბედის ნებიერები, ვინაიდან მათი ორდენის შიგნით იფურჩქნება საქმიანობის ის სახეები, რომლისადმიც მათ მიდრეკილება გააჩნიათ. თუკი ლიტერატურაზეა საუბარი, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მწერალი კინოვიტთა საძმოს განეკუთვნება და თავისი წმინდა საძმოს სულით წერს (კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ამჟამად ჩვენ ამ სიტყვებს და გამონათქვამებს ვიყენებთ არა კონფესიონალური აზრით). გავთამამდები და დარწმუნებით ვიტყვი, რომ ამ უკანასკნელთ, საბრძოლო და სამწერლო თვალსაზრისით, განეკუთვნება სერვანტესი, ისევე როგორც პლატონი ანდა ტოლსტოი, ჯარისკაცები და მწერლები იმედაროულად, გნებავთ ფილოსოფოსები. ყველა მათგანმა შეძლო ცხოვრებისეულ გზაზე თავისი სამწერლო მოწოდების განხორციელება განსაკუთრებული წინააღობის გარეშე. ანუ, დარწმუნე რა იმავე ჯგუფში, რომელსაც ბუნებრივი სახით განეკუთვნებოდნენ თავიანთი არსებითა და შემოქმე-

დებითი მიდრეკილებებით, მათ შეძლეს თვითრეალიზება. მათ არ ესაჭიროებოდათ არანაირი მამა, საკმარისი იყო სამშოსადმი მიკუთვნებულობა. მათთვის დიდ ძალისხმევას არ წარმოადგენდა სუსტი მამის დაფიცება, ვინაიდან მათ მიმართ ძრწოლა არ ჰქონდათ. ასე იქცეოდა პლატონი, როცა იფიცებდა სოკრატეს, ერთ-ერთ ჭეშმარიტ მარტოკაცს, რომელიც ნამდვილად ჰქონდა ოდიპოსის კომპლექსს, რამაც სიკვდილამდე მიიყვანა. რატომ და რისთვის, რამდენად დასჭირდა პლატონს – მწერალს, ჯარისკაცსა და საძმოს წევრს – ვიღაც ჭკვიანი აზრების მბუჭველი, მქადაგებელი? იგი მისთვის მხოლოდ გამართლება, ფიცისმიცემის ობიექტი იყო, როგორც ქრისტე ევანგელისტებისთვის.

სამწერლობო ხელოვნება – კიდევ ერთხელ ვთქვათ – განეკუთვნება სფეროს, რომელშიც მართავენ კინოვიტები. პლატონი არის ადამიანი, რომელიც განეკუთვნება საძმოს, იგი იყენებს lege artis და არანაირ აუცილებლობას მისთვის არ წარმოადგენს საკუთარი პიროვნება დაუქვემდებაროს მარტოკაცი მასწავლებლის ტალანტსა და ოსტატობას, რომელიც იმ თაობის ნაწილია, ვისაც მწერლობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია. პლატონი, უფრო მეტიც, მსგავსი ნიჭის, პოეტური ნიჭის წინააღმდეგეც გამოდის და შეიგრძნობს საკუთარ უფლებას. ეს ნიჭი მას და მის სამშოს ეკუთვნით, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანების თაობას. თუმცადა, პლატონი არისტოტელეს მისი დაცვის შესაძლებლობას უტოვებს. არისტოტელე, ასევე, იყო მარტოკაცი და ეს ნიჭი არც საგანთა წესრიგიდან გამომდინარე არ ეკუთვნოდა და არც თაობისადმი კუთვნილებიდან. არისტოტელემ მიმართა მას ისე, რომ „მასზე უფლება არ გააჩნდა“ (იგულისხმება მწერლობა – შ.კ.) ანალოგიურად, სერვანტესი არ იყო ვალდებული ქებათა ქება შეესხა თავისი საბრძოლო ამხანაგებისთვის. იგი ერთადერთი ჯარისკაცით, ღონ კისოტით დაკავდა, აქცია რა ეს უკანასკნელი მსოფლიოში ცნობილ მეომრად.

მამის სახელით წერა (anti-oedipus)

თუკი მწერლების პირველი ჯგუფი დეტალური გამოკვლევის წარმოებას მოითხოვს, მეორე მარტოკაცთა თაობას განეკუთვნება და ჩაჭყლენილია ორ მსხვილ სამშოს, მამების თაობასა და შვილების თაობას შორის; თუ ვიტყვით კონკრეტულად, მასწავლებელ პლატონსა და მოსწავლე ალექსანდრე მაკედონელს შორის. მსგავს ვითარებაში მავანს თაობისადმი კუთვნილების ძალით ლიტერატურულ შემოქმედებაზე უფლება არ გააჩნდა. ეს უფლება უნდა მოეპოვებინა ან შეზრდილიყო მამების თაობას, რომლებიც სამშოს სულით ცხოვრობდნენ, რის საფუძველზეც (გავისხენოთ საქმიანობათა დაყოფა კინოვიტებში) ლიტერატური საქმიანობა „გადავიდოდა“ მასზე. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ უფლება სალიტერატურო საქმიანობისთვის უნდა მოეპოვებინათ, ანუ გამოეგლიჯათ ბრძოლით. ორივე შემთხვევა ნაცნობია. აქ ჩვენ მხოლოდ ერთ შემთხვევაზე შევჩერდებით – როდესაც აღიარებას გამოითხოვდნენ ყოვლისშემძლე კინოვიტი მამებისაგან, ვისაც ტრადიციის მიხედვით მიაკუთვნებდნენ ლიტერატურით დაკავების ამ „უშუალო უფლებას“. ერთი და იგივე მეცნიერება, ხელოვნება, უნარები მარტოკაცთა ხელში კინოვიტების ამხანაგური თაობისაგან განსხვავებით იქცევა ვასალურად, მით უმეტეს, თუკი ეს დისციპლინები კინოვიტების სფეროს განეკუთვნება და თანაც, ისინი მოცემულ მომენტში საზოგადოების უპირატეს ფაქტორს წარმოადგენენ. გარკვეულ პერი-

ოდში ოსტატობის, უნარებისა და მეცნიერების ზოგიერთი სახეობა „ეკრძალება“ ადამიანთა ერთ ჯგუფს და იქცევა სხვა ჯგუფის პრივილეგიად. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი მწერალი, არისტოტელესი არ იყოს, არის მოქცეული ჩაქუნსა და გრდემლს შორის, კინოვიტების ორ მძლავრს თაობას შორისაა ჩაჭყლელი. თუკი იდიორიტმიკოსია და ეცდება წერას მიჰყოს ხელი (რისი უფლებაც, თაობისადმი კუთვნილებიდან გამომდინარე, არ გააჩნია) წერის უფლების გამოთხოვის ხარჯზე, მის წინაშე გადაშლილ სამწერლობო სფეროში იგი იღებს კალამს „მამის სახელით“. ეს ის შემთხვევაა, როცა მწერალს ანტიოიდიპოსის კომპლექსი უჩნდება.

როცა სუსტ მამას იფიცებდნენ, როგორც ეს იყო პლატონთან, როცა იგი სოკრატეს იფიცებდა – ეს სხვა შემთხვევაა. აქ ლაპარაკია ძლიერი მამის დაფიცებაზე, რაც გვაქვს ქრისტეს შემთხვევაში. ქრისტე თავისი ქცევით იძლეოდა მაგალითს, რომელშიც აისახებოდა ანტიოიდიპოსისეული კომპლექსი. მე-12 საუკუნის დასასრულსა და მე-13 საუკუნის დასაწყისში ათონზე ორი ბერი ცხოვრობდა, მამა-შვილი, ისინი მოგვიანებით სერბულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანთა დასს მიაკუთვნა. ნემანია, მამა, გახლდათ სახელოვანი მხედართმთავარი, ნემანიჩების სერბული სამეფო დინასტიის დამფუძნებელი და სერბული სახელმწიფოს მეთაური. მისი უმცროსი ვაჟი, უფლისწული, ხოლო მოგვიანებით კი განმანათლებელი, საბა, თავისი ძლევამოსილი მამის ჩრილში გაიზარდა. ჯერაც ახალგაზრდამ მიიღო სამონაზვნო წესი. წმინდა საბა სერბულ ლიტერატურაში ერთ-ერთი დიდი მწერალია. თუკი ორი წმინდანის მოღვაწეობის გვარს, ინტერესების მიმართულებას დავაჯამებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ნემანია წარმოადგენს თაობას, რომელიც (აქ კონსტრუირებული სქემის თანახმად) საძმოს სულით მჭიდროდაა შეკავშირებული, მაშინ როცა შვილი თაობისამდვილე კუთვნილების და არასამონასტრო ცხოვრების ძალით, შესაძლოა იყო იდიორიტმიკოსი. პრობლემა იმ მომენტიდან იჩინა თავი, როდესაც საბამ, მეფის ვაჟმა და ბერმა, ლიტერატურით დაკავება გადაწყვიტა, ანუ კინოვიტების საქმიანობით, ჯგუფისა ანდა თაობისა, რომელთანაც მას „მიკუთვნებულობის“ ძალით მიმარება არ გააჩნდა. ხელოვნების მსგავს დარგში საქმიანობა მისი, როგორც იდიორიტმიკოსის, სისხლის ჯგუფს არ შეესაბამებოდა. შეესაბამებოდა იგი მხოლოდ საკუთარი მამისა და მისივე თანატოლების, ანუ საძმოს სისხლის ჯგუფს. წმინდა საბას ორი გზა, ორი შესაძლებლობა ჰქონდა. მას შეეძლო მამის დამჯერე შვილად ქცეულიყო და სამონაზვნო წესზე სულაც უარი ეთქვა. მან აირჩია შემდეგი გზა – იდიორიტმიკოსის, ანუ თავისი ლიტერატურული მოწოდება დაუმორჩილა მამამისის საძმოს, კინოვიტების მიზნებს, გამოავლინა რა ამით ანტიოიდიპოსისეული კომპლექსი. მწერალი-იდიორიტმიკოსის ინდივიდუალური მოწოდება მსხვერპლად გაიღო და ჩაღვა მამამისის და ნემანიჩების დინასტიის სამსახურში და დაესმარა ამგვარად მე-13 საუკუნეში სერბული სახელმწიფოს აღორძინებას, რის საფუძველზეც ეს უკანასკნელი მე-14 საუკუნეში იქცა სამეფოდ. თავისი მონასტერი წმინდა მთაზე, ხილანდარი, მან ბერძნული კინოვიტური მონასტრის მოდელით მოაწყო და დააწესა ე.წ. თანამცხოვრებთა უსტარი...

მსგავსი დასკვნების მეოხეობით, ჩვენ კიდევ რამდენიმე ნაბიჯს გადავდგამთ ამ ვარაუდებით სავსე გზაზე.

შვილის სახელით წერა (oedipus)

დავსვათ ასეთი შეკითხვა: ვინ შეიქმნებოდა საბა თავისი სამწერლობო მოწოდება საზოგადო ინტერესებისათვის რომ არ დაექვემდებარებინა, ანუ მამისა და კინოვიტების საძმოს ინტერესებისათვის? მას შეეძლო აერჩია სხვა, მძიმე გზა, შეეძლო თავისი ნიჭი ბერი-კინოვიტების საჭიროებათა სამსახურში არ ჩაეყენებინა, იმათ სამსახურში, ვინც ლიტერატურას მოვალეობის გამო მისდევდა. ზემოხსენებულ ბერთა სიაში იყო მისი საკუთარი მამაც, ნემანია, ასევე მწერალი. თუკი აირჩევდა დაუმორჩილებლობის გზას, წმინდა საბა გამოავლენდა ოდიპოსის კომპლექსს. მან ეს არ გააკეთა. თუმცა ისეთებიც იყვნენ, ვინც მსგავსად მოიქცა. აქ ჩვენ ვუახლოვდებით შექსპირის შემთხვევას. შექსპირი ჩვენ მიერ იდიორიტმიკოსებად, მარტოკაცებად შერაცხული თაობის ყველა თავისებურებაში კარგად ეწერება. დრო და დრო მას უწევდა სამსახური გაეწია კინოვიტების მჭიდროდ შედუღაბებული თაობის საძმოსათვის და აქებდა მათ. ყველაფრის მიუხედავად, შექსპირმა შეძლო საკუთარი ლიტერატურული თვითმყოფადობის შენარჩუნება. ჩემი შთაბეჭდილებით, შექსპირი მწერლის უაღრესად იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს, ვინაიდან იგი არ დაექვემდებარა თანამედროვე უფროსი კინოვიტების ლიტერატურულ ზეწოლას. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ბერი სხვა სამონასტრო ორდენის ღირებულებებს ირჩევს, არ ყაბუღდება ვასალურ მდგომარეობაზე. ასეთი არჩევანისთვის ის იხდის განსაკუთრებულად მაღალ საფასურს, ამას მოითხოვს მისი მოწოდების რეალიზება. შექსპირი არად დაგიდევდათ გარემოებებს, არ თანხმდებოდა თავისი დისციპლინა თუ მოწოდება დაექვემდებარებინა ღირებულებებისთვის, რომლებიც კულტივირებული იყო იმათ წრეში, მინც ამ ღირებულებებზე უფლებებს აცხადებდა მათი დამცველისა და განმგრძობის როლში.

როდესაც შექსპირზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ შექსპირის თავდავიწყების მიზეზი მისი თანამედროვეებიც იყვნენ. დასკვნის სახით შეიძლება გვეთქვა, ლიტერატურა უცილოდ იყო შექსპირის ნომერ პირველი მოწოდება, მაგრამ მისი თაობის, მარტოკაცების, იდიორიტმიკოსების ნომერ პირველი მოწოდება ნამდვილად არ იყო. ამოვდივართ რა მსგავსი გაგებიდან, შეგვიძლია შექსპირის სონეტების ინტერპრეტირება. რაც შეეხება შექსპირის ეპოქის კინოვიტებს, მათ ვერ აპატიეს ამ უკანასკნელს პირველობა მწერალთა და პოეტთა წრეში, ვინაიდან ლიტერატურა მათი საძმოს პრივილეგიად ესახებოდათ. შექსპირი მათი წარმოდგენით, ერთ-ერთი მათგანი უნდა გამხდარიყო და არა მარტოკაცი. შექსპირი კიდევ ერთ საძმოში დამკვიდრდა, რომელიც, ასევე, სხვათა პრივილეგია იყო. ის დამკვიდრდა თეატრში და დარჩა იქ დღემდე. ამისათვის კინოვიტებისათვის კიდევ მოუწია საფასურის გადახდა. თავად მარტოკაცების ბუნება საშუალებას არ იძლევა ერთმანეთთან რაიმე საერთოს ქონის. ხდებიან რა მწერლები, ერთმანეთს არ კითხულობენ. მიმართავენ სახელდობრ მხოლოდ მომავალ თაობას, წერენ შვილის სახელით და არა მამის ან საძმოს წმინდა სულის სახელით. წერო შვილის სახელით არ ნიშნავს გქონდეს სწრაფი გაგების რაიმე გარანტია, არც სწრაფი აღიარების, შესაძლოა, ეს საერთოდ არ მოხდეს. კინოვიტების ორ თაობას შორის ჩვეულებრივ იმყოფება იდიორიტმიკოსების, მარტოკაცების ერთი თაობა. ისინი ზეგავლენას განიცდიან როგორც თავიანთი მამების საძმოს მხრიდან, ასევე საკუთარი შვილების მხრი-

დან. მხედველობაში მისაღებია, რომ შვილებთან მიმართებაში არსებობს იგივე პრობლემა, რასაც მწერალი აწყდება მამებთან მიმართებაში. მწერლისათვის, ცხადია, სულერთი არაა უსწრებდა თუ არა მას წინ სუსტი შვილების (იდიორიტმიკოსების) თაობა, როგორც ეს იყო მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულების შემთხვევაში (სწორედ მათი მეშვეობით გამოჩნდნენ ისინი „სუსტებად“, მარტოკაცებად). სულერთი არაა, ასევე, თუკი წინ უსწრებს მჭიდროდ შეკავშირებული შვილების, ძლიერების თაობა, როგორც იყო ჩვენს შემთხვევაში, ვინც დავიბადეთ დაახლოებით 1930 წელს, ძალზედ ახალგაზრდა ვიყავით ომისათვის, ხოლო ძალზედ მოხუცი 1968 წლისთვის, რომელიც ჩვენმა შვილებმა მოიმოქმედეს. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულთა საწინდარია ჩვენი რამდენიმე თაობა, კერძოდ კი, იდიორიტმიკოსების თაობა, სუსტი შვილები. ჩვენ მათ მორჩილებაში ვრჩებოდით, სანამ ჩვენი შვილების, კინოვიტების ძლიერმა თაობამ, „საძმომ“ არ განგესაზღვრა 1968 წელს. გერმანიაში, იაპონიასა და იტალიაში ომში დამარცხებამ სცენაზე გამოიყვანა ძლიერი შვილების ერთი-ორი თაობა, მათ საძმოში გაერთიანება შეძლეს ისე, რომ მამების მხრიდან, რომელმაც ომი წააგეს, შეფერხება არ ჰქონიათ. მათ შექმნეს გერმანული, იაპონური, იტალიური ეკონომიკური საოცრება. ამასთან, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების მთავრობაში მყოფ პირთა თაობაზე ისინი ერთი თაობით უმცროსები იყვნენ.

როგორც ყველა დანარჩენი, ლიტერატურაც, ცხადია, არ რჩებოდა ამ გარემოებებისგან ხელშეუხებელი. მარტოკაცები, რომლებმაც სამწერლობო მომავალი აირჩიეს, იძულებული შეიქმნენ ძლიერი მამების ან შვილებისაგან გამოეთხოვათ ან გამოეგლიჯათ უფლება სიცოცხლეზე. ისტორია ყოველ ჯერზე უბრალოდ მეორდებოდა.

ყველაზე საინტერესო შემთხვევა მაშინ გვაქვს, როდესაც ერთსა და იმავე პერიოდში თანაარსებობს ძლიერი მამა, კინოვიტი, მსხვილი, მნიშვნელოვანი ფიგურა, პოლიტიკოსი და სამხედრო, როგორც იყო დავუშვათ ტოლსტოი ან გოეთე, ხოლო წინა და მომდევნო თაობაში, სუსტი მამებისა და სუსტი შვილების, ანუ იდიორიტმიკოსების თაობაში, ვინმე დიადი მწერალი დოსტოევსკის (თუმცა, მის ორდენს არ შეესაბამებოდა სამწერლობო მოწოდება *lege artis*) ანდა ჰელდერლინის მსგავსი. მსგავსი ანალოგიით ალბათ საჭირო იყო შექსპირისათვის მოგვეძებნა „ძლიერი“ კინოვიტური წყვილი, მწერალი, რომელსაც შექსპირთან ექნებოდა (განუხორციელებელი) პატერნალისტური მიმართება და რომელიც ვერ შეძლებდა მისთვის საკუთარი ლიტერატურული ნების თავსმოხვევას, როგორც ეს დოსტოევსკისთან მიმართებაში ვერ მოახერხა ტოლსტოიმ, ანდა გოეთემ ჰელდერლენტან მიმართებაში.

შესაძლოა მსგავსი „წყვილების“ გაჩენით შეისხამდეს ებრაელებთან ხორცს ე.წ. ჰერმენტიული სახრისის კანონი. იგი მოითხოვს წმინდა საიდუმლოში არა ერთი, არამედ ორი პირის მონაწილეობას.

ყოველდღეობაშია ქალწული მარიამის სახელით წერა

მკითხველს სრული უფლება აქვს დასვას შეკითხვა, რატომ არ აისახა ეს განყოფილება ჩვენი ნაშრომის სათაურში. პასუხი ძალიან მარტივია: მიუხედავად იმისა, რომ წმინდა მთა სამხელიან ღვთისმშობელს (ტრიხერუსას – შ.კ.) ეძღვნება, იქ მობინადრე ბერებმა თაობათა ცვლისას ადამიანური მოღვაწეობის თავიანთი დიფერენციაციის

ჩარჩოებში ვერ შეძლეს ქალების ჩართვა, ვინაიდან ქალებს ათონის მთაზე ყოფნა უბრალოდ ეკრძალებათ. სხვა მხრივ კი, ამ შეკითხვაზე, რომელიც წმინდა მთაზე დიად რჩება, პასუხი თავადაც არ გამაჩნია. თაობათა მონაცვლეობის პროცესში კინოვიტებისა და იდიორიტმიკოსების საქმიანობაში განიხილო ქალის როლი, ძალიან ძნელია. რა რიტმით ვითარდება ქალის ცხოვრება, მამაკაცების მისწრაფებებსა და ინტერესებში ჯერაც ჩრდილში დარჩენილი? მე მგონი, ქალებთან მიმართებაში ბერებისათვის მახასიათებელი დიფერენციაცია ნაკლებად გამოსადეგია, თუმცა „ჩაით დანახული პეიზაჟის“ მკითხველი ბევრი ქალი იძახდა, რომ ისინი თავს შეიგრძნობენ მარტოკაცებად, ასევე ხშირად მომისმენია ქალისაგან, რომ ის თავისთავს კინოვიტების სამოს ნაწილად აღიქვამს. ჯვარცმული, მოქცეულნი ძლიერ მამათა და სუსტ შვილთა შორის, ანდა პირიქით, ძლიერ შვილთა და სუსტ მამათა შორის, ისინი მუდმივად იძულებული იყვნენ საკუთარი ოჯახის „სუსტ ნაწილზე“ ეზრუნათ (თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ყოველთვის სუსტის მხარეს დგებოდნენ). ჩვენ გავქვს საფუძველი განვაცხადოთ, ლიტერატურაში, ისევე როგორც წმინდა მთაზე, ქალი ყველაზე თვალშისაცემ და იმავდროულად ყველაზე უჩინარ ფაქტორს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, მე ასე მგონია, სათანადო ზომით მწერლები ჯერაც ვერ აცნობიერებენ, ვისთვის წერენ და მათ შემოქმედებაში რა ადგილი განეკუთვნება მკითხველ ქალს. ამისდა მიუხედავად, ზოგიერთი ავტორი, როგორც ჩვენს, ასევე მსოფლიო ლიტერატურაში მიიხნევა „ქალთა მწერლად. ჩვენთან ასეთია ვიოსლავ ილიჩი, იოვან დუდიჩი – პოეტები, თუმცა მათვე მიაკუთვნებენ ამ სტრიქონების ავტორსაც, ანუ მე, ვინც უპირატესად დაკავებული გახლავართ პროზით. მე ვიცი ერთი შემთხვევა, როცა ვინმე პერსონამ მდედრობითი სქესისა ნახა სიზმარში მამაკაცი, რომელიც მას ყველა მხირდან, სხეულის ყველა ფორიდან ანაყოფიერებდა. ამასთან, მამაკაცი იყო მწერალი, რომელთანაც ქალბატონს, მართალია, ნაცნობობა აკავშირებდა, მაგრამ რაიმეგვარი ახლო კონტაქტი არ ჰქონია. ქალბატონისათვის ეს იყო „ლიტერატურულ თესლებში თავისებური ჩაძირვა“, განაყოფიერება დეფლორაციის გარეშე. თავისებური აზრით, ასეც შეიძლება ითქვას: თითოეულ წიგნს თავისი მშობელი ჰყავს და მწერალმა კარგად უნდა გაიაზროს, ვინაა წიგნის დედა, რომელიც მან დაწერა, და ვინ მამა. უნდა გაიხსენოს მწერლები გვერდზე ცოლით, რომლებიც წერენ თავისი მამების, ძისა და სამოს წმინდა სულის და ასევე ყოვლადწმინდა ქალწული მარიამის სახელით. ასევე, უნდა გაიხსენონ წმინდა მთის სახელგანთქმული მცველი, სამხელიანი ღვთისმშობელი (ტრისერუსა – შ.კ.), რომლის მესამე ხელიც განეკუთვნება კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიად პოეტს, იოანე დამასკელს.

* * *

დასკვნის სანაცვლოდ ვიტყვი, რომ ქცევის მოდელი, რომელზეც აქ საუბარი იყო და როგორც მე მესახება, გვეხმარება გავიგოთ მიმართება ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის თაობათა ცვლის პროცესში. შესაძლოა, სინაღან და ათონიდან ბერებმა სფეროში, რომელიც განეკუთვნება არა ქიმიას, არამედ ადამიანური მოღვაწეობის მთელს კომპლექსს, ლიტერატურის ჩათვლით, აღმოაჩინეს პატარა „მენდელეევის სისტემა“. ამ რთული მიმართებების საკვლევადაც აღბათ 20 წელია საჭირო. ასე რომ, ჩვენი

ეპოქის მიერ დასმულ სხვა შეკითხვებთან ერთად, მივანდოთ ისინი შემდგომ ასწლეულს.

თუკი 21-ე საუკუნეში ამ სტრიქონებს ჩვენს შთამომავლებს წააკითხებენ, მათი ნაწილი წაკითხულზე რეაგირებას მოახდენს. როგორც კინოვიტები, გააკეთებენ დასკვნას, რომ მთელი ეს განსჯა ადამიანთა ორ ტიპზე, ორ ჯგუფზე მოკლებულია აზრს, ვინაიდან მათთვის უცხოა თაობებად დაყოფა. დანარჩენები კი, 21-ე საუკუნის იდიორიტმიკოსები, იტყვიან, რომ აქ დაწერილი მართებულია, თუმცადა შემდეგ დაივიწყებენ მოცემულ სტრიქონებს, რადგანაც იდიორიტმიკოსები ერთმანეთს არასოდეს ეხმარებიან. და თუ ეს სიმართლეა, რისთვის უნდა დაუჭირონ მათ მხარი ვიღაც იდიორიტმიკოსის ჰიპოთეზას მე-20 საუკუნიდან, სახელად მილორად პავიჩი.

Milorad Pavic

To write in the name of the father, in the name of the son, or in the name of the spirit of brotherhood?

Summary

The article presents a translation of the work of the Serbian writer, postmodernist Milorad Pavic “To write in the name of the father, in the name of the son, or in the name of the spirit of brotherhood?”. The work of Milorad Pavic is interesting from a sociological point of view. The paper presents the classification of types of brotherhood on the holy mountain Athos, the classification of penitentiary among writers, and the classification of human activities. Milorad Pavic classifies Plato, Aristotle, Shakespeare, Dostoevsky, Goethe into different groups. The author tells about those writers who write specially for women. The work is especially interesting for students who take a course on postmodern sociological theories. Once again we would like to emphasize that this work is important for its classification approach to literary activity.

Милорад Павич

Писать во имя отца, во имя сына или во имя духа братства?

Резюме

В статье представлен перевод работы сербского писателя, постмодерниста Милорада Павича «Писать во имя отца, во имя сына или во имя духа братства». Работа Милорада Павича интересна с социологической точки зрения. В статье представлена классификация видов братства на святой горе Афон, классификация пенитенциарных учреждений среди писателей и классификация человеческой деятельности. Милорад Павич разделяет Платона, Аристотеля, Шекспира, Достоевского, Гете на разные группы. Автор рассказывает о тех писателях, которые пишут специально для женщин. Работа особенно интересна для студентов, которые проходят курс обучения по постмодернистским социологическим теориям. Еще раз хотелось бы подчеркнуть, что эта работа важна ввиду предоставленного в ней классификационного подхода к литературной деятельности.

<p>რუსუდან ხომერიკი..... 3</p> <p><i>პოსტმოდერნიზმის ზოგიერთი ნიშან-თვისება თურქულ ლიტერატურაში</i></p> <p>Rusudan Khomeriki</p> <p><i>Some features of postmodernism in Turkish literature</i></p> <p>Русудан Хомерики</p> <p><i>Некоторые особенности постмодернизма в турецкой литературе</i></p>
<p>ლილიანა ჯანაშია..... 10</p> <p><i>მხატვრული თარგმანი და ლიტერატურული კომპარატივისტიკა</i></p> <p>Liliana Janashia</p> <p><i>Literary translation and comparative literature</i></p> <p>Лилиана Джанашия</p> <p><i>Художественный перевод и литературная компаративистика</i></p>
<p>ემა კილანავა..... 14</p> <p><i>პასივის პირიანი ფორმების სტრუქტურების ზოგიერთი დისტრიბუციული თვისება თანამედროვე ინგლისურ ლიტერატურულ დიალოგში</i></p> <p>Emma Kilanova</p> <p><i>On some distributive features of the structures with the finite forms of passive in modern English literary dialogue</i></p> <p>Эмма Киланова</p> <p><i>Некоторые дистрибутивные свойства структур с личными формами пассива в современном английском литературном диалоге</i></p>
<p>თამარ დიასამიძე..... 19</p> <p><i>კომუნიკაციის ლინგვოკულტუროლოგიური ბუნება</i></p> <p>Tamar Diasamidze</p> <p><i>Linguistic and cultural nature of communication</i></p> <p>Тамар Диасамидзе</p> <p><i>Лингвокультурологическая природа коммуникации</i></p>
<p>ნინო ხუბერაშვილი..... 25</p> <p><i>შესიტყვებების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები უცხო ენის შესწავლის კუთხით ინგლისური ენის მაგალითზე</i></p> <p>Nino Khuberashvili</p> <p><i>Problems related to teaching collocations on the example of English language</i></p> <p>Нино Хуберашвили</p> <p><i>К проблемам, связанным с использованием словосочетаний при изучении иностранных языков (на примере английского языка)</i></p>

ირმა კარანაძე	30
<i>სარეკლამო ტექსტების შესწავლის ფსიქოლინგვისტური პრობლემები</i>	
Irma Karanadze	
<i>Psycholinguistic problems of studying advertising texts</i>	
Ирма Каранадзе	
<i>Психолингвистические проблемы изучения рекламных текстов</i>	
ეკატერინე ახვლედიანი	36
<i>რელიგიასთან დაკავშირებული ლექსიკის თარგმნის თავისებურებები (ორჰან ფამუქის რომანების ქართული თარგმანების მიხედვით)</i>	
Ekaterine Akhvlediani	
<i>The difficulties during the translation into Georgian of religious terms (in accordance with Orhan Pamuk's novels)</i>	
Екатерина Ахвледяни	
<i>Особенности перевода религиозной лексики (На материале грузинского перевода романов Орхана Памука)</i>	
დავით ახვლედიანი	42
<i>თარგმანში ეკვივალენტობის მიღწევა</i>	
David Akhvlediani	
<i>Achieving equivalence in translation</i>	
Давид Ахвледяни	
<i>Достижение эквивалентности в переводе</i>	
ირინე ბრუნჯაძე	47
<i>ინტელექტუალური ნიშნების თარგმნის თავისებურებები ქართულ და ინგლისურ ენებში ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მიხედვით</i>	
Irine Brunjadze	
<i>Peculiarities of translation of intellectual signs into Georgian and English languages according to "Granny, Iliko, Parion and I" by N. Dumbadze</i>	
Ирине Брунджадзе	
<i>Особенности перевода интеллектуальных знаков на грузинский и английский языки по роману Н. Думбадзе «Я, бабушка, Илико и Илларион»</i>	
ლოლა ბერიძე	55
<i>თოქ-შოუ როგორც სატელევიზიო დისკურსის ჟანრი</i>	
Lola Beridze	
<i>Talk show as a genre of television discourse</i>	
Лола Беридзе	
<i>Ток-шоу как жанр телевизионного дискурса</i>	

ბასამ იუსეფ იბრაჰიმ ბანათი.....	60
<i>პალესტინელი ქალების ცხოვრებისეული მიწრაფვებები</i>	
Bassam Yousef Ibrahim Banat	
<i>Life aspirations of Palestinian women</i>	
Бассам Юсеф Ибрахим Банат	
<i>Исследование жизненных устремлений палестинских женщин</i>	

მერი ჭანტურია.....	69
<i>ქართული და ამერიკული (აშშ) ოჯახების ურთიერთმიმართების საკითხისთვის</i>	
Meri Chanturia	
<i>Some issues of interrelations among Georgian and American (USA) families</i>	
Мери Чантурия	
<i>К вопросу о взаимоотношениях грузинских и американских (США) семей</i>	

სამართალმცოდნეობა – INTERNATIONAL RELATIONS –
МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ

თემურ კოროტკი, ამირან ხევცურიანი.....	74
<i>ევსეი უშვერიძე – საქართველოს რესპუბლიკის გენერალური კონსულის მოღვაწეობა ოდესაში 1918-1919 წწ.</i>	
Tymur Korotkyi, Amiran Khevtsuriani	
<i>Yevsey Ushveridze – the activities of the Consul General of Georgia in Odessa in 1918-1919</i>	
Тимур Короткий, Амиран Хевцуриани	
<i>Евсей Ушверидзе – деятельность генерального консула Грузии в Одессе в 1918-1919 гг.</i>	

სამართალმცოდნეობა – JURISPRUDENCE – ПРАВОВЕДЕНИЕ

ასმათ გუგავა.....	86
<i>შვილის აყვანისა და მინდობით აღზრდის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი</i>	
Asmat Gugava	
<i>Legal forms of upbringing children without parents' care in the family</i>	
Асмаг Гугава	
<i>Сравнительно-правовой анализ усыновления и воспитания приемного ребенка</i>	

ასმათ გუგავა.....	94
<i>მუქლღეთა ქონებრივი ურთიერთობის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება საქორწინო ხელშეკრულების მიხედვით</i>	
Asmat Gugava	
<i>Ante-nuptial contract in Georgian legislation</i>	
Асмаг Гугава	
<i>Регуляция правовых гражданских отношений имущества супругов по брачному договору</i>	

**პედაგოგია და ფსიქოლოგია – PEDAGOGY AND PSYCHOLOGY –
ПЕДАГОГИКА И ПСИХОЛОГИЯ**

ლია სვანიძე..... 100

სულისა და სხეულის ერთიანობის ჰარმონია

Lia Svanidze

The harmony of the unity of soul and body

Лия Сванидзе

Гармония единства души и тела

მათემატიკა – MATHEMATICS – МАТЕМАТИКА

მზია ტალახაძე..... 108

*ეკონომიკური ამოცანების მოდელირება დიფერენციალური
განტოლებებით*

Mzia Talakhadze

Modelling economic tasks through differential equations

Мзия Талахадзе

Моделирование экономических задач дифференциальными уравнениями

ფიზიკა – PHYSICS – ФИЗИКА

როინ ბერია, ნატო თოლორაია..... 117

*კირხოფისა და დროით არეში სასრული სხვაობების კომბინირებული
მეთოდის კომპიუტერული მოდელირება*

Roin Beria, Nato Toloraya

*Computer simulations of the combined Kirchhoff method
and finite differences in the time domain*

Ройн Берия, Нато Толорая

*Компьютерное моделирование комбинированного метода Кирхгофа и конечных
разностей во временной области*

თარგმანო – TRANSLATION – ПЕРЕВОД

მილორად პავიჩი..... 124

„მამის, ძისა ანდა სამშოს სულის სახელით წერა“

Milorad Pavic

*To write in the name of the father, in the name of the son, or in the name
of the spirit of brotherhood?*

Милорад Павич

Писать во имя отца, во имя сына или во имя духа братства?

ჟურნალის ელექტრონული ვერსია:
<http://www.nplg.gov.ge>

E-mail: indiradzagania5@gmail.com
Tel.: (+ 995 32) 2 54 14 49
Mob.: (+995 93) 93 20 91

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალაზე
პასუხისმგებელია ავტორი.

**Ответственность за содержание публикации
в журнале несет автор.**

**Authors are solely responsible for the content
of published materials.**



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. კოლიბაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



9771512436007